ევროკავშირი
საქართველოსთვის

IRC
ინოვაციისა
და ტრანზიციის
ცენტრი

KRDF
 კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

ქართველი ულტრა-მემარჯვენეები ეგზისტენციალური შიშების, პოლიტტექნოლოგიების და რუსული პოლიტიკური ომის პირობებში

ანტონ შეხოვცოვი

ანტონ შეხოვცოვი

პოლიტტექნოლოგიები, რუსული გავლენა და გადაშენების შიში: ქართველი ულტრა-მემარჯვენეების რეალობა

დათქმა

ეს პუბლიკაცია შესრულებულია ევროკავშირის მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური ზედამხედველობის გზით“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC) თანააპლიკანტებთან - დემოკრატიის ინსტიტუტთან (IOD) და კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან (KRDF) ერთად.

პუბლიკაცია მოამზადა დოქტორმა ანტონ შეხოვცოვმა. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და შესაძლოა ის არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ავტორის შესახებ

დოქტორი ანტონ შეხოვცოვი არის დემოკრატიული სამართლიანობის ცენტრის დირექტორი (ავსტრია) და მოწვეული პროფესორი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში (ავსტრია). მას აქვს დოქტორის ხარისხი ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯიდან (დიდი ბრიტანეთი). ის არის ავტორი წიგნებისა *ახალი რადიკალური მემარჯვენე პარტიები ევროპულ დემოკრატიებში* (2011), *რუსეთი და დასავლეთის უკიდურესი მემარჯვენეები: Tango Noir* (2017) და *რუსული პოლიტიკური ომი* (2023). შეხოვცოვმა ასევე გამოაქვეყნა მრავალი სტატია საერთაშორისო მედიაში და რამდენიმე აკადემიური სტატია ჟურნალებში *დემოკრატია, რუსული პოლიტიკა* და *სამართალი*, *ევროპა-აზიის კვლევები*, *ნაშრომები ნაციონალობის შესახებ*, *ცრურწმენის ნიმუშები* და *ოსტევროპა* და სხვა.

სარჩევი

შემოკლებები 9

1. შესავალი 11

2. ულტრა-მემარჯვენეები ევროპაში: პოლიტიკური მეცნიერებებისა და სოციალური ფსიქოლოგიის მიგნებები 13

3. პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურის მანიპულაცია 18
   3.1. პოლიტტექნოლოგიები და ულტრა-მემარჯვენეები 18
      3.1.1. ფრანგი სოციალისტების შეთქმულება 20
      3.1.2. ყალბი რუსი ლიბერალ-დემოკრატები და პუტინის ნამდვილი ფაშისტები 21
      3.1.3. უკრაინა: ყალბი ფაშისტები და ულტრა-მემარჯვენე „სპარინგ პარტნიორები“ 22
   3.2. რუსული პოლიტიკური ომი და ულტრა-მემარჯვენეები 23

4. ულტრა-მემარჯვენეები თანამედროვე საქართველოში 28
   4.1. აგრესიული ნაციონალიზმიდან ილუზიების დაკარგვამდე 28
   4.2. ნაციონალიზმების ჯახი 30
   4.3. „პატრიოტთა ალიანსი“ 35
   4.4. „ქართული მარში“ 43
   4.5. „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ 46

5. დასკვნა 60

აბრევიატურები

APG	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
CIB	კოორდინირებული არაავთენტური ქცევა
CIS	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
CM	კონსერვატორთა მოძრაობა
CPRF	რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია
EG	ევროპული საქართველო
ERI	ერთობა, რაობა, იმედი
EU	ევროკავშირი
FN	ეროვნული ფრონტი
GD	ქართული ოცნება
GM	ქართული მარში
GoC	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
IAO	მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა
LDPR	რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია
LGBT(Q)	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი (და ქვიარი)
MP	პარლამენტის წევრი
NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NATO	ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
OMU	ობიექტური მედიის კავშირი
PES	ევროპელი სოციალისტების პარტია
PP	ხალხის ძალა
TMT	ტერორის მართვის თეორია
UFGP	ქართველი პატრიოტების გაერთიანებული ფრონტი
UN	გაერო
UNM	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
US	ამერიკის შეერთებული შტატები
WCF	მსოფლიო საოჯახო კონგრესი

1. შესავალი

“ქართული საქართველოსთვის“, ასე ჟღერდა „ქართული მარშის“ ერთ-ერთი სლოგანი. მარშმა თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური, აღმაშენებლის გამზირი 2017 წლის 14 ივლისს დაიკავა. რამდენიმე ქართული ულტრა-მემარჯვენე ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ დემონსტრაციას 2000-მდე მონაწილე შეუერთდა. შემთხვევითი არ იყო იმ ქუჩის არჩევანი, რომელზეც “მარშმა“ ჩაიარა: პროტესტის სამიზნე „ქვეყანაში არალეგალურად მყოფი უცხოელები და უცხოელი კრიმინალები“ იყვნენ. აღმაშენებლის გამზირი ცნობილია თურქული და არაბული ბარებითა და მაღაზიებით.

“მარშს“ წინ ფეხშიშველი მღვდელი მიუძღვებოდა; მის უკან საპროტესტო აქციის ლიდერებს მონაცვლეობით მოჰქონდათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ერთიანი საქართველოს მეხუთე მეფის (1073-1125), დავით მეოთხე აღმაშენებლის, დიდი ხატი. დავით აღმაშენებელი საქართველოს მთავარი წმინდანი არ არის, ეს წმინდა გიორგია, მაგრამ “მარშის“ იდეოლოგიური დღის წესრიგი ყურადღების გამახვილებას დავით აღმაშენებელზე ითხოვდა: ამ მეფის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამხედრო წარმატება სელჯუკთა ლაშქრის დამარცხება იყო. ამ გამარჯვებამ თბილისი და საქართველოს დიდი ნაწილი მუსლიმთა მმართველობისგან გაათავისუფლა.

ეს ულტრა-მემარჯვენეთა პირველი შეკრება არ იყო თბილისში. ეს არც პირველი „ქართული მარში“ იყო. პირველი ასეთი აქცია 2011 წელს გაიმართა. ქუჩის პოლიტიკა დემოკრატიულ, ჰიბრიდულ ან ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემებში ერთნაირად მნიშვნელოვანია და ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო საქართველოშია, სადაც ორმა ყველაზე ცნობილმა ეროვნულმა ლიდერმა ძალაუფლება ხელში უფრო ქუჩის, ვიდრე საპარლამენტო ან პარტიული პოლიტიკის გზით ჩაიგდო ხელში. 2017 წლის „ქართულ მარშზე“ დაკვირვება იმ მიკროკოსმოსის გასაგებადაა საჭირო, რომელსაც ქართული ულტრა-მემარჯვენეები ქმნიან. აქციის მონაწილეები იყენებდნენ დასავლური და რუსული ყაიდის ანტი-იმიგრანტულ და ჰომოფობიურ რიტორიკას; ისინი ხაზს უსვამდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანობის განსაკუთრებულ ადგილს ქართული ნაციონალიზმის მათ ხედვაში; “მარშის“ გამოკვეთილი ლიდერები ცნობილნი არიან მათი კავშირებით რუსეთთან. მათი ნაწილი გარკვეულ პოლიტიკურ სინერგიას ავლენს საქართველოს მთავრობასთანაც.

ამ მოხსენების მიზანი საქართველოში მიმდინარე პროცესებში ულტრა-მემარჯვენეებზე დაკვირვებით უკეთესად გარკვევაა. ამ მოძრაობის ფესვები, ერთი მხრივ, ნაციონალისტური ტრადიციების რადიკალურ ფორმებშია. მეორე მხრივ, მათ ძალას მატებს ის პოლიტიკური მანიპულაციები, რომლებსაც მმართველი „ქართული ოცნების“ მიერ რუსული მავნე გავლენის გატარება და პოლიტიკური ტექნოლოგიები უდევს საფუძ-

ვლად.[1] ამ მიზნის მისაღწევად, პოლიტიკური მეცნიერებისა და სოციალური ფსიქოლოგიის მიგნებებზე დაყრდნობით, ჯერ მოკლედ მიმოვიხილავთ ევროპის ულტრა-მემარჯვენე მოძრაობებს; შემდეგ შევისწავლით პოლიტიკური ტექნოლოგიების ტაქტიკას და ავხსნით რუსული პოლიტიკური ბრძოლის პრინციპებსა და პრაქტიკას; და ბოლოს, წინამდებარე დისკუსიების გათვალისწინებით, განვიხილავთ ულტრა-მემარჯვენეთა ქართული მიმდინარეობის განვითარებასა და ამჟამინდელ მდგომარეობას.

ამ მოხსენების შეზღუდული მოცულობის გამო არ გვექნება საუბარი ქართული პოლიტიკის ულტრა-მემარჯვენე მთელ სპექტრზე. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ელექტორალურად რელევანტურები არიან ან/და ამკვიდრებენ მნიშვნელოვან ტენდენციებს ქართულ პოლიტიკაში. ამ დოკუმენტის კიდევ ერთი შეზღუდვა გამოიხატება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკის ჩამოყალიბებაში ნათამაშები როლის დეტალურ და სიღრმისეულ ანალიზზე უარის თქმაა - ეს თემა ცალკე დისკუსიას იმსახურებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმედი მაქვს ეს მოხსენება სარგებლის მომტანი იქნება და თავის წვლილს შეიტანს საქართველოში ილიბერალური პოლიტიკის თაობაზე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში და უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტშიც.

[1] ეს მოხსენება ვერ დაიწერებოდა კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის (?) მხარდაჭერის გარეშე. ავტორი მადლიერია (ანბანის მიხედვით) ნინო ბაქრაძის, გიორგი ბუტიკაშვილის, ეთო ბუზიაშვილის, ჯაბა დევდარიანის, თორნიკე გორდაძის, კორნელი კაკაჩიასი და თამარ კინწურაშვილის მათთან ამ კვლევის სხვადასხვა ასპექტის განხილვის შესაძლებლობისთვის. ავტორი მადლობას უხდის ირაკლი ფორჩხიძეს ამ მოხსენების პირველი პირის წაკითხვის შემდეგ გაზიარებული სიღრმისეული კომენტარებისთვის. ყველა შეცდომა ან გამორჩენა მხოლოდ ამ მოხსენების ავტორის პასუხისმგებლობაა.

2. ულტრა მემარჯვენეები ევროპაში: პოლიტიკური მეცნიერებისა და სოციალური ფსიქოლოგიის მიგნებები

პოლიტიკურ ტერმინ "ულტრა-მემარჯვენეს" სამი ასპექტი გააჩნია: "მემარჯვენე", "ულტრა" და მათი კომბინაცია. პოლიტიკის ფილოსოფოსი და მეცნიერი ნორბერტო ბობიო ტერმინ "მემარჯვენეს" თანასწორობასა და უთანასწორობას შორის არსებული ურთიერთმიმართების დახმარებით ხსნის.[2] ბობიო ამტკიცებს, რომ ადამიანები ერთდროულად არიან თანასწორ და უთანასწორო მდგომარეობაში, თუმცა მემარცხენეებს სჯერათ, რომ ადამიანები უფრო თანასწორობისკენ მიილტვიან ვიდრე უთანასწორობისკენ, მემარჯვენეებს კი პირიქით. მემარცხენეთა ინტერპრეტაციაში უთანასწორობათა დიდი ნაწილი სოციალური ცვლილებებით შეიძლება აღმოიფხვრას, მემარჯვენეები კი ამტკიცებენ, რომ უთანასწორობის მდგომარეობა ბუნებრივია და შესაბამისად, მისი აღმოფხვრა შეუძლებელია.[3]

ეს განსხვავება განსაზღვრავს იმ მოლოდინებსაც, რომლებიც მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს ხელისუფლებისგან აქვთ: მემარცხენეები მოელიან უთანასწორობის შესამცირებლად სოციალური რეფორმების გატარებას; მემარჯვენეები კი ეწინააღმდეგებიან ამ მცდელობებს, რადგან არსებულ განსხვავებებს ბუნებრივად მიიჩნევენ. აქ "მემარცხენეთა" და "მემარჯვენეთა" კატეგორიები უნდა განვიხილოთ ვებერისეული იდეალური ტიპის ფორმით. მემარცხენე პოლიტიკურ ძალთა დიდი ნაწილი აცნობიერებს, რომ შეუძლებელია ყველა უთანასწორობის აღმოფხვრა (თუმცა შესაძლებელია მათი განელება), ხოლო მემარჯვენე ძალები კი თანხმდებიან, რომ უთანასწორობათა შემამცირებელი პრაგმატული რეფორმები საზოგადოებისთვის სიკეთის მომტანია (თუმცა ეს ცვლილებები არ უნდა ატარებდეს რადიკალურ ხასიათს ან ძირს უთხრიდეს არსებული წესრიგის ფუნდამენტურ პრინციპებს).

ტერმინი "ულტრა" ნიშნავს, რომ ასეთი ძალები სცდებიან ტრადიციულ მემარჯვენეობას: ხელისფლებამ უნდა დაიცვას არსებული უთანასწორობები და ჩაახშოს (ამა თუ იმ გზით) სიტუაციის გამოსწორების ყველა მცდელობა.

თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში ტერმინი "ულტრა-მემარჯვენე" ძირითადად უფრო სპეციფიკურად გამოყენება და იმ პოლიტიკურ ძალებს ეხება, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ნამდვილ ან გამოგონილ განსხვავებებს სხვადასხვა ეთნოკულტურულ თემებს შორის და მხარს უჭერენ ამ განსხვავებების შენარჩუნებასა და დაცვას, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს პროცესი ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს ლახავს. "ეთნოკულტურული თემების" კონცეფციის მრავალგვარი ინტერპრეტაციის (ერები, რასები და ა.შ.) და მათ შორის წარმოსახვითი თუ ნამდვილი განსხვავებების ხაზგასმის მეთოდების სიმრავლის გამო, ტერმინი "ულტრა-მემარჯვენეები" ერთგვარი ქოლგაა, რომლის ქვეშაც ტრადიციული მემარჯვენეების ფლანგზე მოქმედი იდეოლოგების, ჯგუფების, მოძრაობების და პოლიტიკური პარტიების სიმრავლე მოიაზრება.

[2] Norberto Bobbio, *Left and Right*: *The Significance of a Political Distinction* (Chicago: University of Chicago Press, 1996).

[3] Bobbio, *Left and Right*, p. 67.

ეთნოკულტურული თემებისთვის და მათ შორის არსებული ნამდვილი თუ წარმოსახვითი განსხვავებებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელიც კაცობრიობის იმაზე გაცილებით მრავალრიცხოვანი სეგმენტისთვის არის ნაცნობი, ვიდრე ის ხალხია, ვისაც მემარჯვენეები შეიძლება ვუწოდოთ. ამ ფენომენის ფესვებისა და ბუნების გასაგებად, რაც აუცილებელია ერის მსგავს ეთნოკულტურულ ერთობებში ხალხის რწმენის ძალის გასააზრებლად, ჩვენი კვლევა ტერორის მართვის თეორიას (TMT) ეყრდნობა.

ტერორის მართვის თეორია სოციალური ფსიქოლოგიის თეორიაა[4], რომელსაც საფუძვლად კულტურული ანთროპოლოგის ერნესტ ბეკერის შრომები დაედო. ბეკერი ამტკიცებდა, რომ თვითგადარჩენისადმი ბიოლოგიური მიდრეკილების ექსკლუზიურად ადამიანებისთვის დამახასიათებელი სიკვდილის გარდაუვლობის გაგებასთან დაწყვილება ეგზისტენციალური და პარალიზური ტერორის პოტენციალს ქმნის.[5] ამ ტერორის დასაძლევად და მის სამართავად ადამიანებმა შექმნეს კულტურული რწმენის ნაირსახეობები ანუ მსოფლმხედველობები (იდეოლოგიები), რომლებიც მათ სიმბოლურ ან პირდაპირ უკვდავებას ჰპირდებიან.

ჩვენ შეგვიძლია უკვდავებისადმი მიმავალი სამი ძირითადი გზა გამოვყოთ. პირველი საიქიოს არსებობის რწმენას ეფუძნება: მართალია ადამიანები ფიზიკურად კვდებიან, მაგრამ მათი სულები ან იდენტობები არსებობას განაგრძობს - ეს *პირდაპირი* უკვდავებაა, რომელიც მსოფლიოს რელიგიების უმრავლესობისთვისაა საერთო. *სიმბოლური* უკვდავებისკენ ორი ძირითადი გზაა. ერთი მემკვიდრეობის გავლით: შემოქმედება, აღმოჩენები, მიღწევები და ა.შ., რომლებიც ხალხის კოლექტიურ მეხსიერებას შემორჩებიან და ავტორის შესახებ ხსოვნას მისი გარდაცვალების შემდეგ უზრუნველყოფენ. მეორე გზა „საკუთარ თავზე დიდი და ხანგრძლივად არსებული ერთობების იდენტიფიკაციაა“: ოჯახი, კლანი, ერი, კორპორაცია და ა.შ. მაგალითად, ოჯახის კონტექსტში ინდივიდუალური ადამიანები მათი მშობლებისა და ბებია-ბაბუის სიცოცხლეს აგრძელებენ, ხოლო სიკვდილის შემდეგ ამას მათი შვილები და შვილიშვილები აკეთებენ. მსგავსია წარმოსახვითი ეთნოკულტურული თემის მეშვეობით გადარჩენის ლოგიკაც: თემთან (მაგალითად, ერთან) ძლიერი იდენტიფიკაცია ინდივიდს ერის წარსულში, აწმყოსა და მომავალში ადგილის დამკვიდრებას ჰპირდება, რაც მათი სიცოცხლის გაგრძელებას ნიშნავს იქამდე, სანამ ეს ერი იარსებებს.[6]

აღსანიშნავია, რომ ამ კულტურული კოდების ან იდეოლოგიების გაზიარება ან მიღება არ არის საკმარისი ადამიანების სიკვდილისა და გაუჩინარების შიშისგან დასაცავად. პირდაპირი ან სიმბოლური უკვდავებისკენ მიმავალი გზების ფუნქციურობისთვის ხალხს საკუთარი ღირსების განცდა სჭირდება. ამ განცდას „კულტურულად დაფასებული თვისებების, ქცევისა და მიღწევების ქონა, პატივსაცემი როლების შესრულება და საკუთარი ღირსების შემლახველ ვითარებებში შესაბამისი თავდაცვითი რეაქციების გამოვლენა“ კვებავს.[7] მაგალითად, სიკვდილის შიშის დასაძლევად ამა თუ იმ მსოფლმხედველობით სარგებლობისთვის, ადამიანს მათი ოჯახის ან

[4] Jeff Greenberg, Sheldon Solomon, Tom Pyszczynski, “Terror Management Theory of Self-Esteem and Cultural Worldviews: Empirical Assessments and Conceptual Refinements”, *Advances in Experimental Social Psychology*, Vol. 29 (1997), pp. 61-139; Sheldon Solomon, Jeff Greenberg, Thomas A. Pyszczynski, *The Worm at the Core*: *On the Role of Death in Life* (London: Penguin Books, 2016).

[5] Ernest Becker, *The Denial of Death* (New York: Free Press, 1973).

[6] Other authors suggest additional pathways to literal and symbolic immortality, see, for example, Guy Brown, “The Future of Death and the Four Pathways to Immortality”, in Michael Hviid Jacobsen (ed.), *Postmortal Society*: *Towards a Sociology of Immortality* (London: Routledge, 2017), pp. 40-56; Stephen Cave, *Immortality*: *The Quest to Live Forever and How It Drives Civilization* (New York: Skyhorse Publishing, 2017).

[7] Greenberg, Solomon, Pyszczynski, “Terror Management Theory of Self-Esteem and Cultural Worldviews”, p. 66.

ერის კეთილდღეობაში შეტანილი საკუთარი წვლილის დანახვა ან განცდა სჭირდება. ასეთივე როლს ასრულებს მორწმუნეობა ან/და რწმენის დაცვა, ხელოვნებაში ან ტექნიკურ პროგრესში შეტანილი წვლილის საჯაროდ აღიარება.

„ტერორის მართვის თეორიის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონცეფცია *მოკვდაობის შემხსენებლებია*. ეს შეიძლება იყოს ინდივიდის სიკვდილთან თემასთან შეხების გამოცდილება: სასაფლაოები და დაკრძალვები, ომების, ძალადობის, პანდემიის და მსგავსი მოვლენების მედიის მიერ გაშუქება და ა.შ. მკვლევართა აზრით, „მოკვდაობის შეხსენება ზრდის კულტურული მსოფლმხედველობის ვალიდაციის მოთხოვნილებას და ისეთი ქცევის მოტივაციას, რომელიც ამ მსოფლმხედველობასთან თავსებადია“.[8]

„ტერორის მართვის თეორიისადმი“ მიძღვნილი ლიტერატურის დიდი ნაწილი მიუთითებს ეთნოკულტურული თემის წევრების მხრიდან მათთვის უცხო კულტურულ ან რელიგიურ ჯგუფთა გავლენისადმი მზარდ წინააღმდეგობას იმ მომენტებში, როცა მათ არსებობას ნამდვილი ან წარმოსახვითი საფრთხე უდგას.[9] ანალოგიური ქცევა შეიმჩნევა იმ დროსაც, როცა ძლიერი ჯგუფური იდენტობისა და დაბალი თვითშეფასების მქონე ხალხი მათი მოკვდაობის შემხსენებელ სიტუაციაში ვარდება: დაბალი თვითშეფასება მათ სიკვდილის შიშისგან ვერ იცავს, ხოლო “განსხვავებულთა“ მათ გვერდზე ყოფნა იდენტობის დაკარგვის საფრთხის გამამძაფრებელი და შესაბამისად, უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებაა.[10] ამის შედეგი თვითგანგრძობადობის კოლექტიური განცდის და ეროვნული იდენტობის დაცვის სურვილის გაძლიერებაა. ამასთან ერთად, იზრდება მისწრაფება თემის იმ წევრთა დასჯის, რომლებიც ერის კულტურული ნორმების დამრღვევებად განიხილებიან.

ასეთი ვითარების ყველაზე ექსტრემალური მაგალითი „დიდი ჩანაცვლების“ შეთქმულების თეორიით გამოწვეული მემარჯვენე ტერორიზმია. ამ თეორიის მიხედვით ლიბერალ-გლობალისტი ელიტები ევროპულ ქვეყნებში იმიგრაციის ზრდას უწყობენ ხელს, რათა ეტაპობრივად ჩაანაცვლონ ავტოქთონი ევროპელები შავკანიანი და მუსლიმი მიგრანტებით. შეთქმულების ეს თეორია რასასთან ან ქრისტიანობასთან ძლიერი თვითიდენტიფიკაციის მქონე ჯგუფებს აჩვენებს, რომ უკვდავების შეძენის მათი გზები საფრთხეშია მომხდურთა მხრიდან და მათ გადარჩენის ამ გზების დაცვისკენ უბიძგებს. ეს მემარჯვენე ტერორიზმი დასაშვებად მიიჩნევს მომხდურთა ჯგუფის წევრების ან მათი “ჩანაცვლების“ ინიციატორთა (ერის კულტურული კოდების დამრღვევთა) სიკვდილით დასჯას.[11]

მართალია ბოლო ხანებში „ჩანაცვლების

[8] Ibid., p. 97.

[9] See for example, Lori J. Nelson, David L. Moore, Jennifer Olivetti, Tippony Scott, “General and Personal Mortality Salience and Nationalistic Bias”, *Personality and Social Psychology Bulletin*, Vol. 23, No. 8 (1997), pp. 884-892; Holly A. McGregor, Jeff Greenberg, Jamie Arndt, Joel D. Lieberman, Sheldon Solomon, Linda Simon, Tom Pyszczynski, “Terror Management and Aggression: Evidence that Mortality Salience Motivates Aggression against Worldview-Threatening Others”, *Journal of Personality and Social Psychology*, Vol. 74, No. 3 (1998), pp. 590-605; Jonathan F. Bassett, Jennifer Nicole Connelly, “Terror Management and Reactions to Undocumented Immigrants: Mortality Salience Increases Aversion to Culturally Dissimilar Others”, *Journal of Social Psychology*, Vol. 151, No. (2011), pp. 117-120; Jolanda Jetten, Michael J. A. Wohl, “The Past as a Determinant of the Present: Historical Continuity, Collective Angst, and Opposition to Immigration”, *European Journal of Social Psychology*, Vol. 42, No. 4 (2012), pp. 442-450.

[10] Jamie Arndt, Jeff Greenberg, “The Effects of a Self-Esteem Boost and Mortality Salience on Responses to Boost Relevant and Irrelevant Worldview Threats”, *Personality and Social Psychology Bulletin*, Vol. 25, No. 11 (1999), pp. 1331-1341; David R. Weise, Thomas Arciszewski, Jean-François Verlhiac, Tom Pyszczynski, Jeff Greenberg, “Terror Management and Attitudes toward Immigrants: Differential Effects of Mortality Salience for Low and High Right-Wing Authoritarians”, *European Psychologist*, Vol. 17, No. 1 (2012), pp. 63-72.

[11] In this context, see the discussion of Anders Breivik’s right-wing terrorism “inspired by a profound sense of the threat to his personal sacred canopy (configured as ‘Norwegianness’ and ‘Europeanness’ posed by modernity)” in Roger Griffin, *Terrorist’s Creed*: *Fanatical Violence and the Human Need for Meaning* (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2012), pp. 206-211.

თეორიაზე“ დაყრდნობით ჩადენილი ტერორისტული აქტების რაოდენობამ იმატა, თუმცა დემოკრატიულ ქვეყნებში საკუთარი ერის წარმოსახვითი განადგურებისგან დაცვის ყველაზე გავრცელებული ფორმა ულტრა-მემარჯვენე პარტიების საარჩევნო მხარდაჭერაა. ეს პარტიები ეწინააღმდეგებიან მათ ქვეყანაში უცხოელთა რაოდენობის მატებას, ხოლო ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ კლასს მათი ჯგუფის ეთნოკულტურული უცვლელობის კულტურული ნორმების დარღვევაში სდებენ ბრალს.

თანამედროვე რადიკალური მემარჯვენე პოპულიზმის იდეოლოგიურ საფუძველს ეთნოკულტურულ ჯგუფებზე კონცენტრაცია და მათ შორის არსებული თუ წარმოსახული განსხვავებებისთვის მნიშვნელობის მინიჭება ქმნის. ეს დემოკრატიებში ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მაგალითად, მაიკლ მინკენბერგი წერს, რომ ულტრა-მემარჯვენეთა საკვანძო ელემენტი „ერთგვაროვანი ერის მითია“, რომელსაც ახასიათებს „ერის იდეის ჩამოყალიბებისთვის გაწეული ძალისხმევა და ერიდან გამორიცხვის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან პოლიტიკური კრიტერიუმების რადიკალური გამოყენება, რაც ერის იდეას უკიდურესი კოლექტიური ერთგვაროვნების სურათს უქვემდებარებს“. [12] მეორე მხრივ, კას მიუდე რადიკალური მემარჯვენე პოპულიზმის სამი ძირითადი ელემენტიდან ერთ-ერთად წარმომავლობას მიიჩნევს. ის მიიჩნევს, რომ წარმომავლობისთვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭება ხაზს უსვამს, რომ „ქვეყნებში მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობა უნდა ცხოვრობდეს, ხოლო ჩამოსული ელემენტები (როგორც ინდივიდები, ისე იდეები) ერთგვაროვანი ერი-სახელმწიფოს არსებობას აყენებენ საფრთხის ქვეშ“.[13]

ეთნოკულტურული თემის არსებობაში რწმენის ღრმად ფსიქოლოგიური საფუძვლების გაგება გვეხმარება ულტრა-მემარჯვენეთა დანარჩენი ორი საკვანძო იდეური ელემენტის, ავტორიტარიზმისა და პოპულიზმის გაგებაში. ძალაუფლებისადმი, კონფორმიზმისა და ურყეობისადმი მოწიწებული დამოკიდებულებით ავტორიტარიზმი ხაზს უსვამს ერების ბუნებრივ მდგომარეობას და მათ შორის განსხვავებებს და მიდრეკილია იმათი დასჯისკენ, ვინც ამ წესრიგს აზიანებს. პოპულიზმი თავს ესხმის იმ ლიბერალურ ელიტებს, რომლებსაც ერების ეთნოკულტურული ერთგვაროვნების განადგურების მცდელობაში სდებს ბრალს.

იგივე გაგება გვეხმარება იმ მოტივაციაში უკეთესად გარკვევაშიც, რომელიც საფუძვლად უდევს ულტრა-მემარჯვენეების მიერ ხალხის ამა თუ იმ კატეგორიის (“უცხოების“ და სხვა ლიბერალური ელიტების გარდა) სახელმწიფოს მტრებად გამოცხადების პროცესს. მაგალითად, ჰომოსექსუალიზმი ერის ბიოლოგიური გადარჩენის საფრთხედ მიიჩნევა, თავშესაფრის მაძიებლები და მიგრანტები კი დამატებით ეკონომიკურ ტვირთად; მედია და ლიბერალური განწყობის მქონე აკადემიური წრეები ელიტებს ანტი-ეროვნული კულტურული ჰეგემონიის შენარჩუნებაში ეხმარებიან, ზესახელმწიფოებრივი კავშირები (მაგალითად, ევროკავშირი) სუვერენიტეტს ართმევს ევროპელ ერებს და მათი ეროვნული ინტერესების დაცვის უნარს უქვეითებს.

ამას ემატება ის ნიუანსები, რომელთა გარკვევა შესაძლებელია ევროპის სხვადასხვა კუთხეში ეთნოკულტურული თემების მიმართ დანახულ საფრთხეებში. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში ეს საფრთხეები, ძირითადად, აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მასობრივ მიგრაციასთანაა დაკავშირებული. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეს საფრთხე ირიბად, დასავლეთევროპული საზოგადოებების გამოცდილების გავლითაა აღქმული. ხშირად მას ე.წ. „დემოგრაფიული

[12] Michael Minkenberg, “The Radical Right in Postsocialist Central and Eastern Europe: Comparative Observations and Interpretations”, *East European Politics and Societies*, Vol. 16, No. 2 (2002), pp. 335-362 (337).

[13] Cas Mudde, *Populist Radical Right Parties in Europe* (Cambridge: Cambridge University Press, 2007), p. 22.

პანიკაც“ ემატება, რომელიც „ასაკოვანი მოსახლეობის წილის ზრდის, დაბალი შობადობის და ემიგრაციის შეუჩერებელი ტალღების“ შედეგად ღვივდება.[14]

მიუხედავად ამისა, ულტრა-მემარჯვენე იდეოლოგიის მხოლოდ ფსიქოლოგიური გავლენით ვერ ავხსნით ხალხის სურვილსა და მზაობას, ხმა მისცეს მემარჯვენე პოპულისტებს. ამ გადაწყვეტილებებს მრავალფეროვანი ფაქტორები უდევს საფუძვლად. ულტრა-მემარჯვენეთა საარჩევნო შედეგებში გასარკვევად პოლიტოლოგები ერთმანეთისგან ასხვავებენ მიწოდებისა და მოთხოვნის ელემენტებს. “მოთხოვნის არგუმენტები“ ხაზს უსვამენ იმ პრობლემებსა და გასაჭირს, რომლებიც ულტრა-მემარჯვენე პარტიების მიმზიდველობას აძლიერებს, “მიწოდების არგუმენტები“ კი ძლიერი პარტიული ორგანიზაციისა და გამარჯვების მომტანი იდეოლოგიის ქონის მნიშვნელობას“.[15] პოლიტიკური შესაძლებლობის თეორიის სტრუქტურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოლიტიკური სისტემის “ღიაობას“ ულტრა-მემარჯვენე პარტიებისადმი. მაგალითად, რადიკალი მემარჯვენეები უკეთეს შედეგებს აღწევენ პროპორციული საარჩევნო სისტემის მქონე ქვეყნებში და „განსაკუთრებით ეზრდებათ გარღვევის მოხდენის შესაძლებლობა, როცა ტრადიციული პარტიები ცენტრში ჯგუფდებიან და ვერ ახერხებენ იმ პრობლემური საკითხების ათვისებას, რომლებიც ამომრჩეველთა მზარდ რაოდენობას იზიდავენ“.[16]

[14] Ivan Krastev, Stephen Holmes, “Explaining Eastern Europe: Imitation and Its Discontents”, *Journal of Democracy*, Vol. 29, No. 3 (2018), pp. 117-128 (125).

[15] Matt Golder, “Far Right Parties in Europe”, *Annual Review of Political Science*, Vol. 19 (2016), pp. 477-497 (482, 486).

[16] Roger Eatwell, “The Rebirth of the ‘Extreme Right’ in Western Europe?”, *Parliamentary Affairs*, Vol. 53, No. 3 (2000), pp. 407-425 (422).

3. პოლიტიკური შესაძლებლობის სტრუქტურით მანიპულირება

ევროპულ დემოკრატიებში ულტრა-მემარჯვენე ძალების საარჩევნო წარმატებისა და მარცხის ანალიზის დამკვიდრებული თეორიული ჩარჩო ემყარება დასავლეთევროპულ თეორიებსა და ფენომენს და გაურკვეველი გავლენა აქვს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ულტრა-მემარჯვენეთა შესწავლაზე. ერთი მხრივ, დასავლეთ ევროპის რადიკალ მემარჯვენეთა ფუნდამენტურმა შესწავლამ შვა თეორიები და დეფინიციები, რომელთა გამოყენება არა-დასავლურ შემთხვევებშიცაა შესაძლებელი. ანალოგიური თეორიული მიდგომების გამოყენება ზრდის ტრანსნაციონალური შედარებითი მეცნიერებების ეფექტურობასაც.

მეორე მხრივ, მხოლოდ დასავლეთ ევროპაში მომხდარი მოვლენების ანალიზზე დამყარებული თეორიული ჩარჩოები მათდა უნებურად აკეთებენ დაშვებას, რომ დემოკრატიისა და სოციალური მოწყობის დასავლური ფორმები აღემატებიან ან უფრო "პროგრესულები" არიან მათ შესატყვის არა-დასავლურ ფორმებზე, რითიც უგულებელყოფენ იმ მნიშვნელოვან კონტექსტებს, რომლებიც ევროპის სხვა რეგიონებს ახასიათებთ. ასეთია, მაგალითად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ანტი-კოლონიური ბრძოლა ან ამ ხალხთა ერად ჩამოყალიბების პროცესები.

გარდა ამისა, დასავლეთის აკადემიური კვლევები მიდრეკილები არიან ულტრა-მემარჯვენეთა პოლიტიკური მეცნიერების ჭრილში ანალიზისკენ და შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პარტიულ სისტემებს, საარჩევნო ქცევას და იდეოლოგიურ პოზიციონირებას. ამის შედეგად, ასეთი კვლევები უყურადღებოდ ტოვებენ შიდა და გარე მანიპულაციების ფაქტორებს: პოლიტიკურ და მედია კორუფციას პოლიტტექნოლოგიების გამოყენებით, გარე ჩარევებსა და პოლიტიკურ ომს.

ამ ნაწილში ჩვენ ამ ფაქტორთა მხოლოდ ნაწილს განვიხილავთ, კერძოდ კი, პოლიტტექნოლოგიას (1) და პოლიტიკურ ომს (2).

3.1. პოლიტტექნოლოგია და ულტრა-მემარჯვენეები

მედია მანიპულაციის, ყალბი პროტესტებისა და მართული ოპოზიციური პარტიების „ვირტუალური პოლიტიკის" დაკვირვებებზე[17] დაყრდნობით ენდრიუ უილსონი *პოლიტტექნოლოგიას* უწოდებს „პოლიტიკის იმ ნაწილს, რომელიც პოლიტიკას ტექნოლოგიად აფასებს. პოლიტიკა ამ შემთხვევაში აღქმულია როგორც მანიპულაცია, მაქინაცია, წინასწარ დაგეგმილი ხრიკების ერთობლიობა. [...] პოლიტტექნოლოგია ბნელი და ფარული, არა-გამჭვირვალე და ხშირად დანაშაულებრივი პოლიტიკური მაქინაციაა. შესაბამისად, პოლიტტექნოლოგიის ყველაზე მოკლე განსაზღვრება პოლიტიკური სისტემის "მიწოდების" ნაწილში პარტიული ინტერესების დასაცავად ხელოვნური ჩარევაა.[18]

[17] Andrew Wilson, *Virtual Politics*: *Faking Democracy in the Post-Soviet World* (New Haven: Yale University Press, 2005).

[18] Andrew Wilson, *Political Technology*: *The Globalisation of Political Manipulation* (Cambridge: Cambridge University Press, 2024), p. 3.

პოლიტტექნოლოგია სცდება პოლიტიკური კონსალტინგისა და სტრატეგიების შემუშავების მომსახურებებს. უილსონი პოლიტიკური მაქინაციების სამ ძირითად სახეობას გამოყოფს.

პირველი, პოლიტიკური სუბიექტურობის გამოყვანაა[19], რაც ისეთი პოლიტიკური მოძრაობებისა და ორგანიზაციების შექმნას ან მხარდაჭერას გულისხმობს, რომლებიც დამკვიდრებული პოლიტიკური ძალების ან სხვა ძლიერი მოთამაშეების საიდუმლო კონტროლის ან გავლენის ქვეშ არიან და რომელთა მიზანი პოლიტიკური პროცესების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მანიპულაციაა. ეს მანიპულაციები შესაძლოა გულისხმობდეს ამომრჩეველთა ხმების დაყოფას, ოპოზიციის დისკრედიტაციას, მრავალპარტიული სისტემის არსებობის ილუზიის შექმნას ერთპარტიული სისტემის პირობებში და ა.შ.

მისი დანერგვის მეთოდოლოგიით პოლიტიკური სუბიექტურობის გამოყვანის იდეა ახლოს დგას ფასადურ ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ "ასტროტარფინგთან" (საზოგადოებრივი აზრის გაყალბებასთან). ***ფასადური ორგანიზაცია*** ისეთი წარმონაქმნია, რომელიც გარეგნულად დამოუკიდებელია, თუმცა მოქმედებს სხვა ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ მასთან იერარქიული კავშირის გამჟღავნების დაფარვით. ასეთი შეთანხმება მმართველ ორგანიზაციას ფარული მოქმედების საშუალებას აძლევს და ამგვარად, თავიდან იცილებს საზოგადოებრივ ინტერესსა და კანონის წინაშე ანგარიშვალდებულებას, რომელიც წარმოიშვებოდა მათი ჩართულობის საჯაროობის შემთხვევაში. პოლიტიკური „ასტროტარფინგი" ანუ საზოგადოებრივი აზრის გაყალბება, შეცდომაში შემყვანი ტაქტიკაა, რომლის ფარგლებშიც ერთი შეხედვით სპონტანური კამპანია პოლიტიკური ორგანიზაციის გეგმის ნაწილია. ეს ტაქტიკა ითვალისწინებს კამპანიის მონაწილეებს, რომლებიც დამოუკიდებელი მოქალაქეების საფარქვეშ ფარულად ეხმარებიან პოლიტიკური ორგანიზაციის დღის წესრიგის შესრულებას ან გზავნილების გავრცელებას და ამგვარად ზრდიან ამ ორგანიზაციის მიზნებისა და გეგმების საზოგადოებრივ მიმღებლობას.

მაქინაციების მეორე სახეობა „პოლიტიკური სუბიექტების მიერ გამოყენებული და მათი წარმმართველი "ნარატივების" ჩამოყალიბებაა".[20] ამ შემთხვევაში პოლიტტექნოლოგია ინფორმაციის ორ სახეობას ეყრდნობა: დეზინფორმაციასა და მალინფორმაციას. ***დეზინფორმაცია*** განგებ შექმნილი ცრუ ინფორმაციაა, რომლის მიზანი ზიანის მიყენებაა.[21] ***მალინფორმაცია*** ფაქტებზე დაფუძნებული, ნამდვილი ინფორმაციაა, რომელიც კონტექსტიდან ამოგლეჯის ან სხვა მანიპულაციით ინდივიდების, ორგანიზაციების ან ქვეყნების საზიანოდ გამოიყენება.[22] დეზინფორმაციული და მალინფორმაციული "ნარატივების" შექმნის გარდა პოლიტტექნოლოგთა მიზანი მათი პოლიტიკურ დებატებში ჩანერგვაა. ამ პროცესს ჩვენ "ნარატივის რეცხვას" ვუწოდებთ. ***"ნარატივის რეცხვა"*** გულისხმობს „აზრობრივი კონცეფციებისა და ცნებების იმგვარ მოძრაობას მედია გარემოში, როცა მათი შემქმნელი და გამავრცელებელი პირველწყარო დავიწყებული ან დაკარგულია".[23] ამ პროცესს ხელს უწყობენ დეზინფორმაციის გამავრცელებელი ვებსაიტები, ტროლების ფერმები, ბოტები, კორუმპირებული ჟურნალისტები, გავლენის აგენტები და ა.შ.

მაქინაციის მესამე სახეობა მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის იმაში დარწმუნებაა, რომ "რეალობა" პოლიტიკური სუბიექტურობისა

[19] Ibid., p. 6.

[20] Ibid., p. 7.

[21] Don Fallis, "The Varieties of Disinformation", in Luciano Floridi, Phyllis Illari (eds), *The Philosophy of Information Quality* (Cham: Springer, 2014), pp. 135-161.

[22] Claire Wardle, Hossein Derakhshan, "Information Disorder: Toward an Interdisciplinary Framework for Research and Policymaking", *Council of Europe*, 27 September (2017), https://rm.coe.int/information-disorder-toward-an-interdisciplinary-framework-for-researc/168076277c.

[23] Anton Shekhovtsov, *Russia and the Western Far Right*: *Tango Noir* (Abingdon: Routledge, 2018), p. 136.

და "ნარატივების" მანიპულაციის შედეგად ხელოვნურად მიღებული პროდუქტია. უილსონი ამ ფენომენს „მატრიცის პოლიტიკას" უწოდებს.[24] „მატრიცის საზღვრები ცვალებადი და მოქნილია. მათ, ვინც ამ ჩარჩოს შიგნით არის, ალტერნატივების მის ფარგლებს მიღმა ძიების ნაცვლად სექტანტური ლოგიკის დაცვისკენ და ჯგუფის შიგნით ჩაკეტვისკენ უბიძგებენ".[25] წარმოსახვითი ეთნოკულტურული თემისადმი კუთვნილების ფსიქოლოგიური ძალის გათვალისწინებით, ამგვარად აწყობილი "რეალობა" განსაკუთრებით ძლიერია მაშინ, როცა ის „სტრუქტურირებულია ერთი ძირითადი ღერძის გარშემო, რომელიც ემოციურად ძლიერ "ჩვენ-ისინი ნარატივს" ქმნის".[26] ყველა პოლიტტექნოლოგია ეთნოკულტურულ თემებს არ იყენებს, თუმცა პოლიტიკური პროექტები, რომლებიც ულტრა-მემარჯვენე მოძრაობებისა და ორგანიზაციების მანიპულაციებით იმართება, ევროპის თითქმის ყველა კუთხეში გამოჩნდა - როგორც დემოკრატიებში, ისე ავტორიტარულ ქვეყნებში. ქვემოთ მოყვანილი საფრანგეთის, რუსეთისა და უკრაინის მაგალითები გვაჩვენებს როგორ მუშაობს ასეთი პოლიტტექნოლოგიები და რა მიზნებს ისახავენ ისინი.

3.1.1. ფრანგ სოციალისტთა შეთქმულება.

დღევანდელი საფრანგეთის ყველაზე წარმატებული ულტრა-მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ნაციონალური ფრონტი" (FN) [27] 1980-იან წლებში მარგინალურ ძალას წარმოადგენდა. სხვა დასავლეთევროპული დემოკრატიების მსგავსად, საფრანგეთის პარტიულ-პოლიტიკური სისტემა ხასიათდებოდა მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებს შორის მკაფიო იდეოლოგიური პოლარიზაციით, რაც ძალიან მცირე სივრცეს უტოვებდა „ნაციონალური ფრონტის" მსგავს რადიკალ მემარჯვენეთა პარტიებს. მისი დამაარსებლის, ჟან-მარი ლეპენის მეთაურობით 1981 წელს ამ პარტიამ ხმების მხოლოდ 0.81%-ის მოპოვება შეძლო. ამ არჩევნებში პერი მორუას ცენტრისტ-მემარცხენეთა ბლოკი გაიმარჯვებს, რასაც წინ უსწრებდა ამავე წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტური პარტიის კანდიდატის, ფრანსუა მიტერანის, გამარჯვება.

ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის, რაც, პირველ რიგში, სოციალისტური პარტიის მთავარი კონკურენტის, ჟაკ შირაკის მემარჯვენე-ცენტრისტული „ერთიანობა რესპუბლიკისთვის" დასუსტებას გულისხმობდა, პრეზიდენტ მიტერანის ადმინისტრაციამ მის მოქმედებაში პოლიტტექნოლოგიის ელემენტების გამოყენება დაიწყო.

პირველი, ჟან-მარი ლეპენთან მიმოწერის შემდეგ, რომელმაც მას შესჩივლა, რომ ფრანგული მედია მის პარტიას უყურადღებოდ ტოვებდა, მიტერანმა კომუნიკაციების მინისტრს სთხოვა ლე პენის მიერ წამოჭრილი საკითხის გამოსწორებისთვის „რადიო და ტელეკომპანიების მართვაზე პასუხისმგებელთა ყურადღება მიეპყრო".[28] მალევე „საფრანგეთის სამი მთავარი სატელევიზიო არხის დირექტორებმა მიიღეს მითითება დაეთმოთ შესაბამისი საეთერო დრო" ლე პენის პარტიის გაშუქებისთვის.[29] ამ ცვლილებამ საგრძნობლად გაზარდა იმ დროისთვის უმნიშვნელო პოლიტიკოსის, ლე პენის ცნობადობა, რაც გააძლიერებს ფრანგ ულტრა-მემარჯვენეთა საარჩევნო რეიტინგს და ხმებს წაართმევს მემარჯვენე-ცენტრისტებს. როგორც ფრანსუა გერბერი აღნიშნავდა, „მიტერანმა ლე პენი ანონიმურობიდან გამოიყვანა, პრესამ კი ის ფრანგი პოლიტიკოსების მოწინავე რიგში ჩააყენა. ეს ჯერ ბრძანებით, შემდეგ შეთამა-

[24] Wilson, *Political Technology*, p. 8.
[25] Ibid., p. 409.
[26] Ibid., p. 8.
[27] The National Front was renamed into National Rally in 2018.
[28] François Gerber, *Et la presse créa Le Pen*... (Paris: Raymond Castells, 1998), p. 27.
[29] James Shields, *The Extreme Right in France*: *From Pétain to Le Pen* (London: Routledge, 2007), p. 196.

შებით, შემდეგ კი შესაბამისი გათვლით მოხდა“.[30] გეგმის ერთმა ნაწილმა იმუშავა: „ძნელია სატელევიზიო პროგრამის ნამდვილი გავლენის გაზომვა, თუმცა ერთი რამ ნათელია, რომ ლე პენმა და მისმა პარტიამ დიდი სარგებელი მიიღეს მიტერანის ადმინისტრაციის მანიპულაციების შედეგად“.[31] „ეროვნულმა ფრონტმა“ 1984 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში 10,95% მიიღო, რაც მნიშვნელოვანი ზრდა იყო 1981 წელს მიღებული 0,5%-დან. წარუმატებელი გამოდგა მიტერანის გეგმის მეორე ნაწილი: ულტრა-მემარჯვენეთა გაძლიერებამ საკმარისი ხმები ვერ წაართვა „სოციალისტური პარტიის“ მთავარ მეტოქეებს: 1984 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში გამარჯვება მემარჯვენე-ცენტრისტთა ბლოკმა მოიპოვა.

მეორე, 1985 წელს, ჟაკ შირაკის პარტიის გაძლიერების ფონზე, მიტერანმა გადაწყვიტა დაემკვიდრებინა საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემა, რაც განიხილებოდა როგორც „მიზანმიმართული მცდელობა შემცირებულიყო სოციალისტთა დანაკარგები და მემარჯვენე-ცენტრისტთა მანდატების რაოდენობა. ამას ხელს პარლამენტის კარის „ეროვნული ფრონტისთვის“ გაღებაც შეუწყობდა“.[32] ამ გეგმამ თითქმის იმუშავა: მემარჯვენე-ცენტრისტებს ძალიან გაუჭირდათ, თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც მოახერხეს საპარლამენტო უმრავლესობის და სამთავრობო კოალიციის შექმნა.

ფრანგი სოციალისტების მიერ 1980-იანი წლების დასაწყისში მათი რესპუბლიკელი ოპონენტების დასასუსტებლად გამოყენებულმა ამ პოლიტტექნოლოგიურმა მანიპულაციებმა საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ფრანგი, არამედ სხვა ევროპული ქვეყნების ულტრა-მემარჯვენე პოპულისტების გაძლიერებას.

3.1.2 ყალბი რუსი ლიბერალ-დემოკრატები და პუტინის ნამდვილი ფაშისტები

1980-იანი წლების ბოლოს, მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკური რეფორმები (ე.წ. „პერესტროიკა“) ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის განვითარების საფუძვლად იქცა. საბჭოთა კავშირის მმართველმა წრეებმა, მათ შორის ძლევამოსილმა საიდუმლო სამსახურებმა „სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის“ მეთაურობით, ამ პროცესზე კონტროლის შენარჩუნება ყალბი პარტიულ-პოლიტიკური მეტოქეობის შექმნით სცადეს. ერთ-ერთი ასეთი პარტია, რომელსაც მომავალში კომუნისტური პარტიის მონოპოლია უნდა შეეზღუდა, „საბჭოთა კავშირის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია“ იყო, რომელსაც სათავეში „კგბ“-ეს ინფორმატორი ვლადიმირ ჟირინოვსკი ჩაუდგა სათავეში.[33] საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ ჟირინოვსკის პარტია სახელს შეიცვლის და „რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიად“ იქცევა. მემარჯვენე-ცენტრისტულ ძალად ჩაფიქრებული პარტია მალევე გადაინაცვლებს მემარჯვენეთა რადიკალურ ფრთაზე და რუსული ულტრანაციონალისტური და იმპერიალისტური იდეების პროპაგანდას დაიწყებს, რაც მის „ლიბერალურ-დემოკრატიულ“ დასახელებას შინაარსისგან დაცლილ ფასადად აქცევს. ეს დასახელება ჟირინოვსკის პარტიას ხელს არ შეუშლის პოსტ-საბჭოთა პოლიტიკურ თეატრში მთავარი ულტრა-მემარჯვენე “ოპოზიციური ძალის“ როლის შესრულებაში, რომელსაც ჯერ ბორის ელცინის, შემდეგ კი ვლადიმირ პუტინის პოლიტიკის კრიტიკის უფლება ექნება, თუმცა არასდროს დაუპირისპირდება კრემლს რომელიმე კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხზე.

2003 წელს პუტინის რეჟიმმა კიდევ ერთი

[30] Gerber, *Et la presse créa Le Pen*..., p. 30.

[31] Shields, *The Extreme Right in France*, p. 196.

[32] Ibid., p. 209.

[33] Andreas Umland, *Vladimir Zhirinovskii in Russian Politics*: *Three Approaches to the Emergence of the Liberal-Democratic Party of Russia 1990-1993*, Dissertation, Promotionsausschuß FB Geschichtswissenschaft (Berlin: Freie Universität Berlin, 1997), pp. 97-103.

ულტრა-მემარჯვენე ძალა, „ხალხის პატრიოტული გაერთიანება - სამშობლო“ შექმნა. მიზანი პოპულარული „რუსეთის კომუნისტური პარტიის“ ამომრჩეველთა გახლეჩა იყო. ეს უკანასკნელი, მისი დასახელების მიუხედავად, ასევე ულტრა-მემარჯვენე ძალას წარმოადგენდა. ეს მანიპულაცია წარმატებული გამოდგა: თუ კომუნისტურმა პარტიამ 1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნებში პირველი ადგილი მოიპოვა, 2003 წელს პუტინის მმართველი პარტიის „ერთიანი რუსეთის“ მომდევნო, მეორე ადგილზე გავა და ვერასდროს დაიბრუნებს პირველობას.

პუტინის რეჟიმი ულტრა-მემარჯვენეებთან დაკავშირებულ პოლიტტექნოლოგიურ მანიპულაციებს პარტიულ-პოლიტიკური დონის მიღმაც გამოიყენებს. როგორც რობერტ ჰორვასმა აჩვენა, 2005 წლის შემდეგ კრემლი „მართული ნაციონალიზმის“ ტაქტიკას იყენებდა და ზომიერად ნაციონალისტი ძალების ნაცვლად მხარს მოძალადე ნეო-ნაცისტურ დაჯგუფებებს უჭერდა.[34] კრემლის მიერ ნეო-ნაცისტების მხარდაჭერამ, რაც სახელმწიფოს რესურსებისა და კავშირების მათ განკარგულებაში გადაცემასაც გულისხმობდა, ხელი შეუშალა რუს ლიბერალებსა და ანტი-პუტინისტ ნაციონალისტებს შორის ალიანსების ჩამოყალიბებას და გაამძაფრა ანტი-დასავლური მობილიზაცია. გარდა ამისა, ეს მიდგომა ემთხვეოდა პუტინის რეჟიმის ზოგად პოლიტიკას, რომელიც ავტორიტარული კონტროლის გასამყარებლად დემოკრატიული ინსტიტუტების დაკნინებასა და დაშლას ისახავდა მიზნად.

3.1.3. უკრაინა: ყალბი ფაშისტები და ადვილად საპოვნელი ულტრა-მემარჯვენე “სპარინგ პარტნიორები“

2004 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომელშიც ერთმანეთს პრო-რუსი კანდიდატი ვიქტორ იანუკოვიჩი და დასავლეთთან დაახლოების მოსურნე ვიქტორ იუშჩენკო უპირისპირდებოდნენ, იანუკოვიჩის მხარდამჭერმა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ იუშჩენკოს საწინააღმდეგოდ ულტრა-მემარჯვენე მოძრაობების გამოყენება სცადა. რუსეთის გავლენის აგენტის, ვიქტორ მედვედჩუკის დაქვემდებარებაში მყოფი საპრეზიდენტო ადმინისტრაცია ამ ცილისმწამებლურ კამპანიას ორი მიმართულებით აწარმოებდა. პირველი მიმართულება იუშჩენკოს დისკრედიტაცია იყო, რაც მის “მხარდასაჭერად“ ფაშისტური მარშის მოწყობით უნდა მომხდარიყო. იუშჩენკოს საარჩევნო შტაბის პროტესტის და წინააღმდეგობის მიუხედავად, ნაცისტური სიმბოლიკითა და ლოზუნგებით გაჯერებული მარში საგანგებოდ შექმნილმა ულტრა-მემარჯვენე პარტიამ, ედუარდ კოვალენკოს „უკრაინის ეროვნულმა ყრილობამ“ ჩაატარა. მეორე მიმართულება ასეთივე ყალბი ნაციონალისტური პარტიების მიერ წარმოდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაცია იყო. მათი მიზანი იუშჩენკოსთვის მემარჯვენეთა ხმების წართმევა და არჩევნების გაყალბებისთვის საჭირო მანიპულაციების ჩასატარებლად რეჟიმის ერთგული წარმომადგენლების საარჩევნო უბნებზე ჩანერგვა იყო.[35]

ამ მაქინაციებისა და გაყალბებების მიუხედავად, 2005 წლის დასაწყისში უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო გახდა, თუმცა 2010 წლის არჩევნები უკვე იანუკოვიჩმა მოიგო. 2009 წელს ულტრა-მემარჯვენე პარტია „თავისუფლების“ მიერ რეგიონებში მიღწეულმა წარმატებამ პოლიტტექნოლოგებს მათთვის ფარული დახმარების აღმოჩენა გადააწყვეტინა. ამას ნაციონალურ-დემოკრატიული ძალების დასუსტება უნდა გამოეწვია. უკრაინის ყველაზე პოპულარულ სატელევიზიო არხებზე გავლენის მეშვეობით, იანუკოვიჩის პოლიტტექნოლოგებმა მის მთავარ

[34] Robert Horvath, *Putin's Fascists*: *Russkii Obraz and the Politics of Managed Nationalism in Russia* (Abingdon: Routledge, 2021).

[35] For more details, see Anton Shekhovtsov, “The Ukrainian Far Right and the Ukrainian Revolution”, in Irina Vainovski-Mihai (ed.), *New Europe College Black Sea Link Program Yearbook 2014-2015* (Bucharest: New Europe College, 2019), pp. 197-219.

პოლიტიკურ მეტოქეებად „თავისუფლების“ რადიკალი მემარჯვენეები წარმოადგინეს და ხელოვნურად გაზარდეს მათი ცნობადობა. ეს მიდგომა შედეგიანი აღმოჩნდა: პარტია „თავისუფლებამ“, რომელმაც 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების არაფრისმომცემი 0.76% მიიღო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 10.44%-ის მიღება შეძლო. ამავე დროს, იანუკოვიჩის რეჟიმის ორი მთავარი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალა, პარტიები „სამშობლო“ და „ჩვენი უკრაინა“, 2007 წელთან შედარებით ჯამში ხმების 18%-ს კარგავს. „თავისუფლების“ ისტორიულ მიღწევას, რომელიც 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ ულტრა-მემარჯვენე ძალების უდიდესი წარმატება იყო უკრაინაში, სხვა მიზეზებიც ედო საფუძვლად, თუმცა იანუკოვიჩის რეჟიმის დაქვემდებარებაში მყოფი მედიის მიერ მათი ფარული მხარდაჭერა მათი პოლიტიკური რეიტინგის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

3.2. რუსული პოლიტიკური ომი და ულტრა-მემარჯვენეები

პოლიტიკური ომი საერთაშირისო ურთიერთობების ნაცრისფერი ზონაა, რომელშიც ქვეყნები სხვების ქცევასა და აზროვნებაზე დიპლომატიისა და „რბილი ძალის“ მსგავსი მიღებული ინსტრუმენტების მიღმა არსებული მეთოდების გამოყენებით ცდილობენ გავლენის მოხდენას. პოლიტიკური ომის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს შორისაა ეკონომიკური ზომები (სანქციები), პროპაგანდა და ფსიქოლოგიური ოპერაციები, ოპოზიციური ჯგუფების, სეპარატისტული მოძრაობებისა და ანტი-სამთავრობო გასამხედროებული ორგანიზაციების მხარდაჭერა, პოლიტიკურ პროცესებში ჩარევა და ა.შ.

რუსეთმა დასავლეთისა და დასავლეთთან დაახლოების მოსურნე მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ პოლიტიკური ომი ვლადიმირ პუტინის ჯერ კიდევ მეორე საპრეზიდენტო ვადის (2004-2008) დროს დაიწყო, მაგრამ ამ დროს ეს დაბალი ინტენსივობის მქონე მოქმედება იყო. რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს (ასევე დასავლეთის პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსებს) შორის ურთიერთობების გაუარესებასთან ერთად რუსეთის ხელისუფლებამ დასავლეთის წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკური ომი რამდენჯერმე გაამძაფრა. ამ პოლიტიკური ომის ბოლო ეტაპი 2022 წელს, უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული სრულმასშტაბიანი ომის დროს დაიწყო: რუსეთს უკრაინის მიმართ დასავლეთის ქვეყნების მიერ გაწეული პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების შეწყვეტა სჭირდებოდა.

ზოგადად ცნობილია,[36] რომ რუსეთის მიერ დასავლეთისა და მისი მოკავშირე ქვეყნების წინააღმდეგ დაწყებულ პოლიტიკურ ომს ორი მთავარი სტრატეგიული მიზანი აქვს.

პირველი მიზანი რუსი საზოგადოების დასავლეთის იდეოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა სახის გავლენისგან დაცვაა. ამ გავლენებს პუტინის რეჟიმი მისი ჰეგემონიის საწინააღმდეგოდ მიმართულ ძალისხმევად მიიჩნევს და ყველაფერს აკეთებს, რათა რუსი ხალხის თვალში დასავლური ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დისკრედიტაცია მოახდინოს. კრემლი ამტკიცებს, რომ დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობაზე, თანასწორობაზე და ადამიანის უფლებებზე საუბრის საფარქვეშ გეოპოლიტიკური უპირატესობის მოპოვებას, პუტინის რეჟიმის დასუსტებას და რუსეთის ტრადიციული და კონსერვატორული ღირებულებების დაკნინებას ცდილობს.

მეორე მიზანი საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და

[36] Anton Shekhovtsov, “Conceptualizing Malign Influence of Putin’s Russia in Europe”, *Free Russia Foundation*, 1 April (2020), https://www.4freerussia.org/conceptualizing-malign-influence-of-putin-s-russia-in-europe/. On this topic, see also James Sherr, *Hard Diplomacy and Soft Coercion*: *Russia’s Influence Abroad* (London: Chatham House, 2013); Keir Giles, *Russia’s* “*New*” *Tools for Confronting the West*: *Continuity and Innovation in Moscow’s Exercise of Power* (London: Chatham House, 2016); Mark Galeotti, *Russian Political War*: *Moving beyond the Hybrid* (Abingdon: Routledge, 2019).

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვაა. კრემლი და მისი მოკავშირეები ამ ამოცანის შესრულებას საერთაშორისო წესრიგის პუტინის რუსეთისთვის დამსგავსებით ცდილობენ. ამას ისინი პოლიტიკური პარტიების, არჩევნების, სასამართლო სისტემების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მსგავსი დემოკრატიული ინსტიტუტების კორუფციაში გახვევის აგრესიული პოლიტიკით ახერხებენ.

ამგვარად, რუსეთის პოლიტიკური ომი წარმოშობს *მავნე გავლენას*. ევროპულ კონტექსტში ის შეგვიძლია აღვწეროთ როგორც გავლენის სპეციფიური ფორმა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ძირს უთხრის და აკნინებს ევროპულ ღირებულებებსა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს. პრაქტიკული სახით, რუსეთის მავნე გავლენის მიზანია ევროპის ტრანსატლანტიკური კონტაქტების დასუსტება, ევროპულ ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გართულება, საერთაშორისო ასპარეზზე არეულობის გამოწვევა, საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნების რუსეთის გავლენის სფეროში დატოვება, ნატოსა და ევროკავშირისადმი ნდობის დასუსტება და ა.შ.

რუსული პოლიტიკური ომის ერთ-ერთი ინსტრუმენტი იმ პოლიტიკურ აქტივისტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობაა, რომლებიც პუტინის რეჟიმისთვის სახიფათოდ აღქმული ინიციატივების წინააღმდეგ ილაშქრებენ ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე. მოსკოვის მიერ ულტრა-მემარჯვენეებზე არჩევანის შეჩერებას და მათი რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ მოკავშირედ ქცევას საფუძვლად რამდენიმე პრაქტიკული და იდეოლოგიური მოსაზრება ჰქონდა, მათ შორის:

- პუტინის რეჟიმის აგრესიული და ავტორიტარული ხასიათის გაძლიერებასთან ერთად შემცირდა იმ დასავლელ პოლიტიკოსთა რიცხვი, რომლებიც მზად იყვნენ რუსეთთან ურთიერთობები შეენარჩუნებინათ. ამ დროს ევროპელ ულტრა-მემარჯვენეთა ნაწილი ღიად აცხადებდა, რომ მზად იყო მოსკოვთან კოლაბორაციისა და კრემლის "ნარატივების" გავრცელებისთვის;
- ეთნოკულტურულ თემებს შორის ნამდვილ ან/და წარმოსახვით განსხვავებებზე ყურადღების გამახვილებით, ულტრა-მემარჯვენე ძალები ევროპულ ერებში ხშირად პოლარიზაციის, სოციალური კონფლიქტების გამომწვევები არიან და ევროპულ ღირებულებებს "შიგნიდან" ასუსტებენ;
- არაერთი ულტრა-მემარჯვენე პარტია იზიარებს პუტინის რეჟიმისთვის დამახასიათებელ ილიბერალიზმს, მოჩვენებით სოციალურ კონსერვატიზმსა და ანტი-გლობალიზმს. ამავე დროს, ისინი იზიარებენ კრემლის მტრულ დამოკიდებულებას ევროკავშირის, ნატოს და ზოგადად, ევროპისა და შეერთებული შტატების ისტორიული ალიანსის მიმართ.

ულტრა-მემარჯვენე აქტივისტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დონე დამოკიდებულია კრემლის წარმომადგენელთა და მეთაურთა ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის აღქმაზე. ზოგადად, რუსეთის ხელისუფლება უპირატესობას ანიჭებს იმ დასავლელ პოლიტიკოსებთან თანამშრომლობას, რომლებიც უკვე ხელისუფლებაში არიან. მათ იდეოლოგიურ მრწამსს მოსკოვისთვის მნიშვნელობა არ აქვს. სანამ კრემლი ამ პოლიტიკოსების გამოყენებას პერსპექტიულად აფასებს, მათთვის ზიანის მიყენებისგან თავს შეიკავებს. ეს არ გამორიცხავს სხვადასხვა რუსულ ძალებსა და შედარებით სუსტი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ულტრა-მემარჯვენე აქტივისტებსა და პოლიტიკოსებს შორის თანამშრომლობას, რომელიც პუტინის რეჟიმისთვის მცირე და საშუალო მასშტაბის სამსახურის გაწევაში გამოიხატება, მაგალითად:

- ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ულტრა-მემარჯვენე აქტივისტები პროპაგანდისტულ და დეზინფორმაციულ კამპანიებში ეხმარებიან რუსეთის საერთაშო-

რისო და საშინაო სახელმწიფო მედია საშუალებებს („რაშა თუდეი“, „სპუტნიკი“ და ა.შ.);[37]

- არაერთი ევროპული ულტრა-მემარჯვენე პარტიის წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას ყალბ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში, რომელთა მიზანი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებული “რეფერენდუმებისა“ და “არჩევნების“ ხელოვნური ლეგიტიმაციაა;[38]
- „ალტერნატივა გერმანიისთვის“ პარტიასთან დაკავშირებული გერმანელი ულტრა-მემარჯვენეები რუსეთის მხარდამჭერ საპროტესტო აქციებს აწყობენ;[39]
- ევროპელი ულტრა-მემარჯვენეები შემჩნეულები იყვნენ რუსეთის მხარეს უკრაინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში;[40]
- იტალიელი („ჩრდილოეთის ლიგა“), ავსტრიელი („ავსტრიის თავისუფლების პარტია“) და გერმანელი („ალტერნატივა გერმანიისთვის“) რადიკალი მემარჯვენეები მათი ქვეყნების პარლამენტებში რუსეთის მხარდამჭერ რეზოლუციებს აყენებენ და უჭერენ მხარს.[41]

ამავე დროს, როგორც კი კრემლი ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას პუტინის რეჟიმისადმი მტრულად განწყობილად აფასებს, რუსი ოფიციალური პირები და პოლიტტექნოლოგები, შესაბამისი რესურსების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, აძლიერებენ და აღრმავებენ ამ ქვეყნის ულტრა-მემარჯვენეებთან თანამშრომლობას და მათ მხარდაჭერას ამ ქვეყანაში მოსკოვისთვის ხელსაყრელი ცვლილებების მისაღწევად. ასეთ მაგალითებს შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პუტინის რეჟიმსა და საფრანგეთის რადიკალ მემარჯვენეთა პარტიის, „ეროვნული ფრონტის“ ურთიერთობაა. 2014 წელს რუსეთში მდებარე „ჩეხურ-რუსულმა პირველმა ბანკმა“ მარინ ლე პენის პარტიას 9,4 მილიონი ევროს ოდენობის სესხი მისცა, რაც მათ 2015 წლის რეგიონული არჩევნების კამპანიისთვის უნდა გამოეყენებინათ.[42] 2017 წელს კრემლის წარმომადგენლებმა მარინ ლე პენი მოსკოვში, პუტინთან შესახვედრად დაპატიჟეს[43]. ამ დროს საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის დაწყებამდე ერთი თვე რჩებოდა. ამან ნათელი გახადა, თუ ვისი ხილვა სურდა კრემლს საფრანგეთის პრეზიდენტის სავარძელში. ლე პენი საგარეო პოლიტიკაში

[37] Shekhovtsov, *Russia and the Western Far Right*, pp. 132-161.

[38] See, for example, Anton Shekhovtsov, “Foreign Observation of the Illegitimate Presidential Election in Crimea in March 2018”, *European Platform for Democratic Elections*, 3 April (2018), https://www.epde.org/en/news/details/foreign-observation-of-the-illegitimate-presidential-election-in-crimea-in-march-2018-1375.html; Anton Shekhovtsov, “Politically Biased Foreign Electoral Observation at the Russian 2018 Presidential Election”, *European Platform for Democratic Elections*, 16 April (2018), https://www.epde.org/en/documents/details/politically-biased-foreign-electoral-observation-at-the-russian-2018-presidential-election-1423.html.

[39] Anton Shekhovtsov, “The German Connection: Far-Right Journalist Manuel Ochsenreiter in the Service of the Russian Propaganda Machine”, in Anton Shekhovtsov, *Russian Political Warfare*: *Essays on Kremlin Propaganda in Europe and the Neighbourhood*, *2020-2023* (Stuttgart: *ibidem*-Verlag, 2023). See also Anton Shekhovtsov, “Germany: The Far-Right Plot and Russian Malign Inspiration”, in Kacper Rękawek, Thomas Renard, Bàrbara Molas (eds), *Russia and the Far-Right*: *Insights from Ten European Countries* (The Hague: ICCT Press, 2024), pp. 47-76.

[40] Kacper Rękawek, *Foreign Fighters in Ukraine*: *The Brown-Red Cocktail* (London: Routledge, 2023).

[41] Martin Laine, Cecilia Anesi, Lorenzo Bagnoli, Tatiana Tkachenko, “Kremlin-Linked Group Arranged Payments to European Politicians to Support Russia’s Annexation of Crimea”, *Organized Crime and Corruption Reporting Project*, 3 February (2023), https://www.occrp.org/en/investigations/kremlin-linked-group-arranged-payments-to-european-politicians-to-support-russias-annexation-of-crimea.

[42] Shekhovtsov, *Russia and the Western Far Right*, pp. 197-198; “Illicit Influence. Part One. A Case study of the First Czech Russian Bank”, *The Alliance for Securing Democracy at the German Marshall Fund of the United States*, 28 December (2018), https://securingdemocracy.gmfus.org/wp-content/uploads/2018/12/Illicit-Influence-Part-One-First-Czech-Russian-Bank_web.pdf.

[43] “Meeting with Marine Le Pen”, *President of Russia*, 24 March (2017), http://en.special.kremlin.ru/events/president/transcripts/54102.

რუსეთის მხარდამჭერი პოზიციებით გამოირჩეოდა[44], რითიც განსხვავდებოდა მისი პოპულარული კონკურენტისგან, პუტინის რეჟიმისადმი სკეპტიკურად განწყობილი ემანუელ მაკრონისგან. ლე პენის მოსკოვში ვიზიტს წინ უძღოდა რუსეთის პროპაგანდისტულ მედიაში დაწყებული მაკრონის საწინააღმდეგო კამპანია, რომლის მიზანი მისი მხარდამჭერის დასუსტება და შესაბამისად, ლე პენის გამარჯვების ალბათობის გაზრდა იყო.[45]

რუსეთის პოლიტტექნოლოგიებსა და პოლიტიკურ ომს შორის ოპერაციული კავშირების გამოვლენა გვეხმარება რუსეთის მავნე გავლენის მექანიზმების უკეთესად გაგებაში. ამ კვლევაში მოყვანილ რუსეთის შიდა და საერთაშორისო პოლიტიკურ მანიპულაციებს შორის ყველაზე ძველი 2012-2013 წლებით თარიღდება. 2011 წლის დეკემბერსა და 2012 წლის მაისს შორის რუსეთში პუტინის საწინააღმდეგო ხალხმრავალი აქციები იმართებოდა. ეს „პუტინის და მის მიერ დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემის საწინააღმდეგო პირველი ნამდვილი გამოწვევა იყო“. [46] პოლიციის ძალების გამოყენების გარდა, პროტესტის ჩასახშობად კრემლმა იდეოლოგიური და პოლიტიკური ინსტრუმენტების კომბინაცია გამოიყენა. სწორედ ამ დროს დაემთხვა კრემლის მიერ ულტრა-მემარჯვენეებთან დამყარებული ძლიერი კავშირების ამოქმედება. ამ ინიციატივის მიზანი რუს ეროვნულ-ლიბერალებსა და პუტინის მოწინააღმდეგე ნაციონალისტებს შორის ალიანსების ჩამოყალიბების არდაშვება იყო.[47] გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ პროტესტის დასუსტებისა და ოპოზიციური ძალების დაქსაქსვისთვის შემდეგი ხერხები გამოიყენა:

- რელიგიურ ნიადაგზე განხეთქილების ხელშეწყობა რუსული პანკ-ჯგუფის, „ფუსი რაიოტის“ მიერ მოსკოვის ერთ-ერთ ეკლესიაში ჩატარებული პერფორმანსის საინფორმაციო მხარდაჭერით;[48]
- მკვეთრად გამოხატული ანტი-ამერიკანიზმით გამორჩეული რუსული ნაციონალიზმის ნიადაგზე განხეთქილების ხელშეწყობა შეერთებული შტატების მოქალაქეებისთვის რუსეთში ბავშვის აყვანის აკრძალვით;[49]
- LGBT საკითხით მანიპულაცია „გეი პროპაგანდის“ აკრძალვით;[50]
- „უცხოეთის აგენტების“ კანონის მიღებით სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება, რომლის დიდი ნაწილი დასავლეთიდან მიღებულ ფინანსურ დახმარებაზე იყო დამოკიდებული.[51]

ეს პერიოდი ახლა ცნობილია როგორც რუსეთის „კონსერვატორული გადახვევა“ ანუ „შედარებით თანამედროვე რუსული საზოგადოებისთვის კონსერვატორული შეხედულებების მანიპულაციების დახმარებით თავს მოხვევის მცდელობა“ უფრო იყო, ვიდრე „ხალხის განწყობების ფუნდამენტური ცვლილება“.[52] მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთის „კონსერვატორული გადახვევა“ პოლიტტექნოლოგიური პროექტი იყო, რომლის მიზანი პუტინის საწინააღმდეგო საპროტესტო აქცი-

[44] In February 2022, Le Pen condemned the Russian full-scale invasion of Ukraine.

[45] Shekhovtsov, *Russia and the Western Far Right*, p. 203.

[46] Miriam Lanskoy, Elspeth Suthers, “Outlawing the Opposition”, *Journal of Democracy*, Vol. 24, No. 3 (2013), pp. 75-87 (75).

[47] Horvath, *Putin’s Fascists*, pp. 227-242.

[48] Gulnaz Sharafutdinova, “The Pussy Riot Affair and Putin’s Démarche from Sovereign Democracy to Sovereign Morality”, *Nationalities Papers*, Vol. 42, No. 4 (2014), pp. 615-621.

[49] Sean Roberts, “The Russian Adoption Ban Fits the Putin Agenda, *The Finnish Institute of International Affairs*, January (2013), https://www.fiia.fi/wp-content/uploads/2017/01/fiia_comment_01_2013.pdf.

[50] Gabriela Baczynska, Alissa De Carbonnel, “Russian Parliament Backs Ban on ‘Gay Propaganda’”, *Reuters*, 25 January (2013), https://www.reuters.com/article/idUSBRE90O0QT/.

[51] Françoise Daucé, “The Duality of Coercion in Russia: Cracking Down on ‘Foreign Agents’”, *Demokratizatsiya*: *The Journal of Post-Soviet Democratization*, Vol. 23, No. 1 (2015), pp. 57-75.

[52] Andrey Shcherbak, “Russia’s ‘Conservative Turn’ after 2012: Evidence from the European Social Survey”, *East European Politics*, Vol. 39, No. 2 (2023), pp. 194-219.

ების ტალღის შემდეგ მისი რეჟიმის კონსოლიდაცია და დემოკრატიული ოპოზიციის დასუსტება იყო. ამისთვის ოპოზიციის ბირთვის "კოლექტიური დასავლეთის" ანტი-ტრადიციულ, ანტი-ქრისტიანულ და ანტი-რუსულ ღირებულებებთან გაიგივება უნდა მომხდარიყო.

გარდა ამისა, 2013-2014 წლებში რუსეთის რეჟიმის მესვეურები მიხვდნენ, რომ „ტრადიციული ღირებულებების" ილიბერალური, ნაციონალისტური და ჰომოფობიური ინტერპრეტაცია შიდა მოხმარების პოლიტტექნოლოგიების გარდა, პოლიტიკური ომის წარმოებისთვის შეეძლო გამოეყენებინა. ერთი მხრივ, „ტრადიციული ღირებულებები" რუსებისთვის ევროპელ კონსერვატორთა და ულტრა-მემარჯვენეთა წრეებში შეღწევის კოდურ სიტყვად იქცა. ამაში მათ „მსოფლიოს საოჯახო კონგრესის" მსგავსი საერთაშორისო "კონსერვატორული" ორგანიზაციებიც ეხმარებოდნენ.[53] მეორე მხრივ, რუსეთის მიერ რელიგიური და ჰომოფობიური მოტივებით გაჯერებული „ტრადიციული ღირებულებების" მხარდაჭერა აძლიერებდა ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობებს პოსტ-საბჭოთა სივრცეში და იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფოდნენ. კულტურული რწმენების გადაშენების შიშისგან თავის დაღწევის ფსიქოლოგიურ იარაღად გამოყენებით რუსი პოლიტტექნოლოგები და პოლიტიკური ომის წარმოებაში ჩართული ხალხი ხელიხელჩაკიდებული მუშაობდნენ პოსტ-საბჭოთა სივრცის საზოგადოებების დასარწმუნებლად, რომ დემოკრატიზაცია და ევროპული ინტეგრაცია მათ ჯგუფებსა და მათ მარადიულ პროექტებს საფრთხეს უქმნიდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აქტიურად იყენებს მავნე გავლენის ნებისმიერ ფორმას იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებსაც მტრად მიიჩნევს, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ იმ მხარეთა ნება და არჩევანი, რომლებიც კრემლისთვის სასარგებლო საქმეს დამოუკიდებლად, პუტინის რეჟიმის მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე აკეთებენ. ამ ფენომენს ჩვენ *რუსეთის მავნე ზემოქმედებას* ვუწოდებთ. ის სამ ელემენტს შეიცავს: (1) ილიბერალურ ჯგუფს, რომელსაც მოცემულ ქვეყანაში საკუთარი პოზიციების გაძლიერება სურს; (2) რუსეთის როგორც პოლიტიკური, ფინანსური, მედია და სხვა სახის მხარდაჭერის აღმომჩენად აღქმას სხვა, იდეოლოგიურად მსგავსი ჯგუფებისთვის; (3) ჯგუფის მიერ ისეთ პრო-რუსულ მოქმედებაში მონაწილეობას, რომლის სანაცვლოდ კრემლისგან დახმარების მიღების მოლოდინი აქვთ. ამ ფენომენის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გერმანელი ულტრა-მემარჯვენე მოძრაობის, „პატრიოტთა კავშირის" მოქმედებაა, რომელიც 2022 წელს გერმანიის მთავრობის დამხობას გეგმავდა და ამ განზრახვის განხორციელებაში კრემლის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.[54]

[53] Kristina Stoeckl, "The Rise of the Russian Christian Right: The Case of the World Congress of Families", *Religion*, *State and Society*, Vol. 48, No. 4 (2020), pp. 223-238.

[54] See more in Shekhovtsov, "Germany: The Far-Right Plot and Russian Malign Inspiration".

4. ულტრა-მემარჯვენეები თანამედროვე საქართველოში

დღეს ცნობილი ქართული ულტრა-მემარჯვენე მოძრაობები სათავეს 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის დრამატული პერიოდიდან იღებენ, როცა საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანის, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებულმა პარტია „ქართული ოცნების“ კოალიციამ საპარლამენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხა. მიუხედავად ამისა, საქართველოში 2012 წლის შემდეგ ჩამოყალიბებული ულტრა-მემარჯვენე მოძრაობების უკეთესად გასაგებად, მნიშვნელოვნად გვეჩვენება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში მომხდარი, ქართულ ნაციონალიზმთან დაკავშირებული მოვლენების განხილვა.

4.1 მებრძოლი ნაციონალიზმიდან ილუზიების დაკარგვამდე

სხვა ევროპული ნაციონალიზმების მსგავსად, ქართული ნაციონალიზმიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა. 1801 წელს რუსეთის მიერ ქართული სამეფოების ანექსირების შემდეგ საქართველოს რიგითი რუსული პროვინციის (*გუბერნიის*) სტატუსი ჰქონდა. ქართველების ეროვნული გამოღვიძების პროცესი რუსული იმპერიალიზმისა და ცარიზმის წინააღმდეგობაში გაღვივდა, ხოლო მისი წარმმართველი ძალა თანასწორუფლებიანობისა და დემოკრატიზაციის მოთხოვნა იყო.[55] როგორც გია ნოდია წერდა, ქართველმა ერმა მისი თანამედროვე ფორმით ჩამოყალიბება „იმ ხალხის წრეში დაიწყო, რომელშიც ეროვნული იდეის ჩამოყალიბებას დასავლური მოდერნიზაციის გამოცდილებიდან შობილი პლატონური მოდელის საფუძველზე ცდილობდნენ“.[56]

ქართველებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა 1917 წელს რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ შეძლეს: 1918 წელს ჩამოყალიბებულმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1921 წელს რუსეთის წითელი არმიის შემოჭრამდე იარსება. ბოლშევიკური რუსეთს მიერ ანექსირებული საქართველო საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა. წითელი არმიის საქართველოში შემოჭრისას ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება დასრულებული არ იყო, მაგრამ სანამ ბოლშევიკები საბჭოთა ზე-ეთნიკური იდენტობის დამკვიდრებას ცდილობდნენ, ქართული ეროვნული იდენტობა არსებობას განაგრძობდა. ის დიდწილად ნაციონალიზმის ფოლკლორული ფორმით, მაგრამ მაინც გადარჩა, რაშიც საკუთარი წვლილი შეიტანა, ერთი მხრივ, ეროვნული კულტურული ელიტების მედეგობამ, მეორე მხრივ კი, საბჭოთა კავშირის ნაციონალური პოლიტიკის ორაზროვანმა ხასიათმა, რომელშიც გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდა ენთო-ტერიტორიულ ინსტიტუციონალიზაციას. საბჭოთა კავშირი ხომ, საბოლოო ჯამში, *ნაციონალური* რესპუბლიკების კავშირი იყო.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში და-

[55] Natalie Sabanadze, *Globalization and Nationalism*: *The Cases of Georgia and the Basque Country* (Budapest: Central European University Press, 2010), pp. 68-81; Nino Chikovani, “The Georgian Historical Narrative: From Pre-Soviet to Post-Soviet Nationalism”, *Dynamics of Asymmetric Conflict*, Vol. 5, No. 2 (2012), pp. 107-115.

[56] Ghia Nodia, “Components of the Georgian National Idea: An Outline”, *Identity Studies*, Vol. 1 (2009), pp. 84-101 (86).

წყებულმა გორბაჩოვის "პერესტროიკამ" გაადვილა დისიდენტურ-ნაციონალისტური წრეების ჩამოყალიბება და ახალი შესაძლებლობები გააჩინა ეროვნული ისტორიის, ენების და ეთნო-კულტურული იდენტობების ხელახლა გამოღვიძების საკითხებზე საჯარო დისკუსიების დასაწყებად. საქართველოში ამ პროცესმა ნაციონალისტური მოძრაობის ფორმა მიიღო, რომელიც საბჭოთა კავშირის მიერ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძალადობრივი მეთოდებით ჩახშობის მცდელობების ფონზე ეტაპობრივ რადიკალიზაციას განიცდიდა.[57]

რადიკალი ქართველი ნაციონალისტები ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ხელისფლებაში 1990-1991 წლებში მოვიდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ნატალია საბანაძის თანახმად, ეს ქართული პოსტ-საბჭოთა ნაციონალიზმის პირველი ფაზა იყო.[58] გამსახურდიას მთავრობამ მკაცრი ნაციონალური პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომელმაც საქართველოში მცხოვრების ეთნიკური უმცირესობების გაუცხოება გამოიწვია და რუსეთის ძირგამომთხრელ საქმიანობასთან ერთად სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიურ რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობის დაწყების განმაპირობებელ ფაქტორად იქცა. 1989 წლიდან 1991 წლამდე ქართულ ნაციონალისტურ აქტივიზმს სამი ძირითადი იდეოლოგიური თვისება ახასიათებდა: (1) "საქართველოს უნიკალური გარემო და კულტურული მემკვიდრეობა საფრთხეშია"; (2) "დემოგრაფიული საფრთხე"; (3) "საფრთხეები, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები ქმნიან".[59] გამსახურდიასეული ნაციონალიზმი საქართველოს წინაშე არსებული სირთულეების მთავარ წყაროდ რუსეთს მიიჩნევდა, თუმცა, ამავე დროს, პრობლემური იყო დასავლეთის ხედვა: საწყის ეტაპზე დასავლეთის ქომაგი გამსახურდია მოგვიანებთ თავს "დასავლეთისგან მიტოვებულად" იგრძნობს და „იბერიულ-კავკასიური სოლიდარობის" იდეის განვითარებას იწყებს, რომელსაც „მედასავლეთე ქართველებისთვის გარკვეული ალტერნატიული ხედვა უნდა შეეთავაზებინა".[60]

საქართველოს პოსტ-საბჭოთა ნაციონალიზმის მეორე ფაზა გამსახურდიას მთავრობით გამოწვეული იმედგაცრუებით დაიწყო. ეს მთავრობა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაკარგვაზე, საერთაშორისო იზოლაციასა და ეკონომიკური კრიზისზე პასუხისმგებლად მიიჩნეოდა. „საერთო კავკასიური სახლის" იდეის ინიციატორი პრეზიდენტის ოპოზიციას ფინანსურად მხარს მოსკოვი უჭერდა, რომელიც გამსახურდიას „რუსოფობად და რუსეთის კავკასიაზე დომინირების საფრთხედ" აფასებდა.[61] ოპოზიციის მიერ გამსახურდიას ძალის გამოყენებით დამხობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარი მათ შეიარაღებითა და ლოგისტიკური მხარდაჭერით ეხმარებოდა.[62]

რუსეთის მიერ მხარდაჭერილი გადატრიალების შემდეგ ზვიად გამსახურდია საბჭოთა საქართველოს *დე-ფაქტო* ლიდერმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილმა პირველმა მდივანმა (1972-1985) და საბჭოთა

[57] Nino Chikovani, "April 9, 1989, as a Paradigmatic Event: 'The Time we Live in Now Started That Night'", *Plural*, Vol. 11, No. 1 (2023), pp. 88-106.

[58] Sabanadze, *Globalization and Nationalism*, pp. 89-114.

[59] Ibid., p. 96. See also Ghia Nodia, "Political Turmoil in Georgia and the Ethnic Policies of Zviad Gamsakhurdia", in Bruno Coppieters (ed.), *Contested Borders in the Caucasus* (Brussels: VUBPRESS, 1996), pp. 73-89.

[60] Ghia Nodia, "The Georgian Perception of the West", in Bruno Coppieters, Alexei Zverev, Dmitri Trenin (eds), *Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia* (London: Frank Cass, 1998), pp. 12-43 (25-26).

[61] Thornike Gordadze, "Georgian-Russian Relations in the 1990s", in Svante E. Cornell, S. Frederick Starr (eds), *The Guns of August 2008*: *Russia's War in Georgia* (London: M.E. Sharpe, 2009), pp. 28-48 (30).

[62] David Darchiashvili, "The Russian Military Presence in Georgia: The Parties' Attitudes and Prospects", *Caucasian Regional Studies*, Vol. 2, No. 1 (1997), https://ciaotest.cc.columbia.edu/olj/crs/crs_1997/crs97_dad01.html; Gordadze, "Georgian-Russian Relations in the 1990s".

კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა (1985-1990), ედუარდ შევარდნაძემ ჩაანაცვლა. რადიკალური ნაციონალიზმით გამოწვეული იმედგაცრუების ფონზე შევარდნაძემ რუსეთსა და დასავლეთს შორის გაწონასწორების პოლიტიკა არჩია და რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის სტაბილიზება, საერთაშორისო აღიარების მოპოვება და საერთაშორისო დახმარებისა და ინვესტიციების მოზიდვა შეძლო. მიუხედავად ამისა,

„შევარდნაძის მმართველობისას სახელმწიფომ ვერ შეძლო იმ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც დემოკრატიზაციის, სამოქალაქო ერთობისა და განვითარების საწინდრად იქცეოდნენ. ამის ნაცვლად, შევარდნაძემ საბჭოთა ტიპის მფარველობითი ქსელებით, ჩრდილოვანი ეკონომიკით და ყოვლისმომცველი კორუფციით გამორჩეული საბჭოური მმართველობის სისტემა აღადგინა, რომელსაც საქართველოს ახლადშექმნილი სახელმწიფოს მართვისთვის იყენებდა.“[63]

დასავლეთი შევარდნაძის რეჟიმს, რომელსაც, ორგანიზებულ დანაშაულთან და კრიმინალიზებულ პოლიციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, სახელმწიფო ჰქონდა მიტაცებული,[64] გულუხვ ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა. ეს დახმარება საქართველოს იმდროინდელი საზოგადოების გარკვეულ სეგმენტში ორი ურთიერთდაკავშირებული შედეგის გამომწვევი იყო. დასავლეთის დახმარების დიდი ნაწილის კორუმპირებული ელიტების მიერ მიტაცების და ასე გამდიდრების გამო, დაზიანდა დასავლეთის, როგორც დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის დამაჩქარებელი ძალის, რეპუტაცია. მეორე, „საქართველოში დასავლეთის ჩართულობის კორუმპირებულ და არაეფექტურ რეჟიმთან ასოცირებით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ და მზარდმა სკეპტიციზმმა“ ხელი შეუწყო „ანტი-დასავლური და რუსეთის მხარდამჭერი დღის წესრიგის მქონე პატარა პოლიტიკური პარტიების“ გამრავლებას, რომლებიც „საქართველოს რუსეთთან კავშირში არსებობის პერიოდში ცხოვრების უკეთეს პირობებზე ნოსტალგიას გამოხატავდნენ და ანტი-გლობალისტური ელფერის მქონე ნაციონალისტურ დისკურსს აღვივებდნენ“.[65] ამ მოცემულობას ორი პარალელური პროცესი აძლიერებდა: (1) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მზარდი ყურადღება ქართველი ერის გადარჩენაზე და (2) ქართული ნაციონალიზმის დე-სეკულარიზაცია, რომელიც მართლმადიდებლურ რწმენას ქართული ეროვნული იდენტობის ცენტრალურ ელემენტად აქცევდა.[66]

4.2. ნაციონალიზმების ჯახი

ახალი ქართული ნაციონალიზმისთვის, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, დასავლეთით იმედგაცრუებიდან იღებდა სათავეს, ქართველი ერის გადარჩენას არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ რელიგიური უმცირესობებიც (განსაკუთრებით კი იეჰოვას მოწმეები, კათოლიკეები და ბაპტისტები) აგდებდნენ საფრთხეში. ამ უმცირესობების წინააღმდეგ მიმართულმა ძალადობამ, როგორც სიმბოლურმა, ისე ფიზიკურმა, მწვერვალს გვიან 1990-იან წლებში მიაღწია.[67] ყველა ეს რელიგიური უმცირესობა დასავლეთთან ასოცირდებოდა. ანტი-დასავლური განწყობა და ერთმორწმუნე რუსეთთან საზიარო მართლმადიდებელი რწმენა ქართული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის რუსეთთან დაახლოების ფაქტო-

[63] Mikheil Shavtvaladze, “The State and Ethnic Minorities”, *REGION*: *Regional Studies of Russia*, *Eastern Europe*, *and Central Asia*, Vol. 7, No. 1 (2018), pp. 43-68 (57).

[64] Alexandre Kukhianidze, “Corruption and Organized Crime in Georgia before and after the ‘Rose Revolution’”, in Stephen F. Jones (ed.), *War and Revolution in the Caucasus*: *Georgia Ablaze* (Abingdon: Routledge, 2010), pp. 120-139.

[65] Sabanadze, *Globalization and Nationalism*, p. 104.

[66] Giga Zedania, “The Rise of Religious Nationalism in Georgia”, *Identity Studies*, Vol. 3 (2011), pp. 120-128; Ana Chelidze, “Nationalistic, Religious and Civil Components of Identity in Post-Soviet Georgia”, *International Journal of Area Studies*, Vol. 9, No. 2 (2014), pp. 113-133.

[67] Ibid., p. 128.

რებად იქცნენ.

შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში ქართულ საზოგადოებაში ამ ახალი ტენდენციისადმი მხარდაჭერა მარგინალური რჩებოდა, მაგრამ საქართველოს პოსტ-კომუნისტური ნაციონალიზმის მესამე ფაზაში ის ნაციონალიზმის ორ კონკურენტ ფორმას შორის ერთ-ერთი აღმოჩნდა.

2003 წელს მისი კორუმპირებული მმართველობის შესანარჩუნებლად შევარდნაძის რეჟიმმა საპარლამენტო არჩევნების შედეგები გააყალბა. მრავალრიცხოვანი გაყალბების შესახებ გავრცელებულ ცნობებს საპროტესტო აქციების ტალღა მოჰყვა, რომელსაც შემდგომში „ვარდების რევოლუციას“ უწოდებენ. შევარდნაძეს არჩევნების ყალბი შედეგების გაუქმება და გადადგომა მოუწია. 2004 წლის იანვარში სააკაშვილი საქართველოს მესამე პრეზიდენტად აირჩიეს. მან ამომრჩეველთა რეკორდული რაოდენობის, 96.24% -ის, ხმა მიიღო.

პირადად მის მიმართ გამოხატულმა საყოველთაო მხარდაჭერამ და 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში მისი პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოპოვებულმა 67.75%-მა, ახალ პრეზიდენტს „ვარდების რევოლუციის“ დროს ხალხისთვის დაპირებული რეფორმების გატარების უძლიერესი მანდატი მიანიჭა. 2004-2008 წლებში ქვეყნის სწრაფმა და რადიკალურმა ტრანსფორმაციამ ბევრი ექსპერტი და დამკვირვებელი გააოცა. რეფორმებმა, რომელთა შორის იყო საჯარო სექტორის და საგადასახადო სისტემის საფუძვლიანი ცვლილება და მასშტაბური ანტი-კორუფციული ზომების გატარება, საგრძნობლად გაზარდეს სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლები, ხოლო პოლიციისა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირებამ რადიკალურად შეამცირა მექრთამეობის ფაქტები. რეფორმების ამ ერთობლიობამ საჯარო ინფრასტრუქტურის და მომსახურების განვითარებასთან ერთად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადიც მოიზიდა და ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან დაჩქარებას, რამაც საქართველო უფრო თანამედროვე და ნაკლებად კორუმპირებულ ქვეყნად აქცია.[68]

შევარდნაძისგან განსხვავებით, სააკაშვილმა ქართული ნაციონალიზმის გაღვივება დაიწყო, თუმცა ის განსხვავდებოდა როგორც გამსახურდიას დროინდელი აგრესიული ნაციონალიზმისგან, ისე ნაციონალიზმის ახალი, ეთნო-რელიგიური ფორმისგან, რომელიც შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში გამოჩნდა. შეერთებულ შტატებში განათლებამიღებული სააკაშვილის მიერ გაღვივებული ნაციონალიზმი „ქართველი ერისა და იდენტობის დიდწილად სამოქალაქო და ინკლუზიურ ხედვას ეყრდნობოდა“ და „მკვეთრად გამოხატული დასავლური და გლობალიზაციისადმი დადებითად განწყობილი ვექტორი გააჩნდა“.[69] ქართული იდენტობის სააკაშვილისეული ხედვის საფუძველში ევროპელობის იდეა იყო:

„სცენარის მიხედვით ქართველები უძველესი ევროპელები, ხოლო საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილი იყო, რომელიც ძალისმიერი მეთოდებით იყო მისგან მოწყვეტილი საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოელი მეზობლის [რუსეთის] მიერ დაპყრობისა და ოკუპაციის გამო. პრეზიდენტი [სააკაშვილი] ყურადღებას ამახვილებდა, რომ საქართველო „ევროპული კულტურის ნაწილი იყო ათასწლეულების განმავლობაში“, სრულად იზიარებდა „ევროპულ ლიბერალურ ღირებულებებს“ და განშორების რამდენიმე საუკუნისა და „იმპერიების მიერ აგებული კედლების“ მიუხედავად, რომლებსაც უარყოფითი გავლენა ჰქონდათ ქვეყნის განვითარებაზე, ქართველ „ხალხს არასდროს შეუწყვეტია

[68] Alexander Kupatadze, “Georgia: Breaking out of a Vicious Vircle”, in Alina Mungiu-Pippidi, Michael Johnston (eds), *Transitions to Good Governance* (Cheltenham: Edward Elgar Publishing Ltd., 2017), pp. 80-101.

[69] Sabanadze, *Globalization and Nationalism*, pp. 108-109.

ევროპელების მიმართ ნათესაობის შეგრძნება“.[70]

სააკაშვილის ლიბერალური, დასავლეთისკენ მიმართული ნაციონალიზმი და ახალგაზრდა, დასავლეთში განათლებამიღებული პროფესიონალები, რომლებიც მან მთავრობაში მიიპატიჟა და დაასაქმა, ნატალია საბანაძის მიერ იდენტიფიცირებული პოსტ-საბჭოთა ნაციონალიზმის მესამე ფაზაში არსებული ნაციონალიზმის ორი ფორმიდან ერთ-ერთის სათავეში იდგნენ. სააკაშვილის პოპულარობისა და მისი ანტი-კორუფციული რეფორმების წყალობით ქართული ლიბერალური ნაციონალიზმი მის ეთნო-რელიგიურ კონკურენტს პირწმინდად ამარცხებდა. გარდა ამისა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის მიერ საგარეო პოლიტიკაში მიღწეული წარმატებები დასავლეთთან დაახლოებას უწყობდა ხელს და მყარ საფუძველს უქმნიდა ქართულ საზოგადოებაში დასავლური კურსისადმი მხარდაჭერის ზრდას.

სააკაშვილის მმართველობას უპრობლემოდ არ ჩაუვლია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო აქციები ჯერ კიდევ 2007 წელს იმართებოდა. პროტესტი, რომელიც ათი პოლიტიკური პარტიის მიერ იყო ორგანიზებული და ღიად ფინანსდებოდა აწ გარდაცვლილი ბიზნესმენისა და მედია მაგნატის, ბადრი პატარკაციშვილის მიერ,[71] პოლიციამ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით დაარბია. „ჰიუმან რაითს ვოჩის“ შეფასებით, „სამთავრობო ძალებმა გადამეტებული ძალა გამოიყენეს დიდწილად მშვიდობიანი დემონსტრაციების დასაშლელად“.[72] პოლიციის მიერ ანტი-სამთავრობო საპროტესტო აქციების დარბევა სააკაშვილის მმართველობის ხელწერად იქცა, რომელიც ავტორიტარული რეჟიმის თვისებებს უკვე ხშირად ავლენდა 2007-2012 წლებში.[73] როგორც თამთა გელაშვილი წერს, „მთავრობაში ყოფნის რამდენიმე წლის შემდეგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ “შიშით მმართველობის“ მეთოდამდე დაეცა“.[74]

2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართული ომის სწრაფი მარცხით დასასრული სააკაშვილის მთავრობისთვის უმძიმესი დარტყმა იყო, მაგრამ მაინც გამოიწვია მობილიზაციის ეფექტი ქართულ საზოგადოებაში, რამაც სააკაშვილი კრიტიკოსებისგან 2009 წლამდე დაიცვა. 2009 წელს მისი გადადგომის მოთხოვნით დაწყებული საპროტესტო აქციები საპოლიციო ძალებმა კვლავ დაარბიეს.

2011 წლის მაისში სააკაშვილის ყოფილი თანამოაზრისა და მოკავშირის,[75] ნინო ბურჯანაძის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაზე ათასობით ადამიანი გამოვიდა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. პოლიციამ დემონსტრანტები წყლის ჭავლის, ცრემლსადენი გაზის და რეზინის ხელკეტების გამოყენებით დაარბია,[76] ნაწილი კი დააპატიმრა.

2011 წელს ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო აქციების საპასუხოდ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ისინი

[70] Tamar Gamkrelidze, “The Project of Europe: A Robust Attempt to Redefine Georgian Identity”, *East European Politics*, Vol. 35, No. 3 (2019), pp. 351-371 (358). See also Kornely Kakachia, Salome Minesashvili, “Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behavior”, *Journal of Eurasian Studies*, Vol. 6, No. 2 (2015), pp. 171-180.

[71] “Patarkatsishvili Pledges to Finance Protest Rallies”, *Civil Georgia,* 28 October (2007), https://civil.ge/archives/113346.

[72] “Crossing the Line: Georgia’s Violent Dispersal of Protestors and Raid on Imedi Television”, *Human Rights Watch*, 19 December (2007), https://www.hrw.org/report/2007/12/19/crossing-line/georgias-violent-dispersal-protestors-and-raid-imedi-television.

[73] Amiran Kavadze, Tina Kavadze, “Securitization of Georgia under the Saakashvili Rule”, *Journal of Social Sciences*, Vol. 4, No. 1 (2015), pp. 31-39.

[74] Tamta Gelashvili, “Opportunities Matter: The Evolution of Far-Right Protest in Georgia”, *Europe-Asia Studies*, Vol. 75, No. 4 (2023), pp. 649-674 (664).

[75] “Nino Burjanadze’s Open Letter to Georgian President Mikheil Saakashvili”, *Civil Georgia,* 24 October (2008), https://civil.ge/archives/117773.

[76] “Georgia: Police Used Excessive Force on Peaceful Protests”, *Human Rights Watch*, 26 May (2011), https://www.hrw.org/news/2011/05/26/georgia-police-used-excessive-force-peaceful-protests.

„რუსეთის მიერ იყო მხარდაჭერილი“.[77] 2011 წელს აქციებში რუსეთის ჩართულობის ზუსტი პროპორცია უცნობია, თუმცა სააკაშვილის მთავარი მეტოქის, ნინო ბურჯანაძის მიერ 2010 წელს ვლადიმირ პუტინთან და სერგეი ლავროვთან მოსკოვში გამართული შეხვედრები[78] მიუთითებდა, რომ ბურჯანაძის მიერ სააკაშვილის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში გარკვეული “რუსული გადახრა“ ნამდვილად იყო წარმოდგენილი.

ორგანიზატორთა რუსეთთან კავშირების მიუხედავად, 2011 წლის მაისში გამართული საპროტესტო აქციების ერთ-ერთი მთავარი გზავნილი სააკაშვილის ავტორიტარიზმში დადანაშაულება იყო. 2011 წლის სექტემბერში „ეროვნული ფორუმის“ მიერ მოწყობილ „ქართველთა მარშზე“ მას უკვე “ანტი-ეროვნული“ და “ანტი-ქართული“ პოლიტიკის გამო უპირისპირდებოდნენ.[79] „ქართველთა მარშმა“ მშვიდობიანად, ძალადობის გარეშე ჩაიარა, თუმცა შეიქმნა პირველი პრეცედენტი ამ ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის ახალი ფორმის პირველი საჯარო მოქმედებისა სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ“.

ეთნო-რელიგიურ ქართველ ნაციონალისტებს სააკაშვილის, მისი პარტიის და მათი ლიბერალური, დასავლური ყაიდის “სამოქალაქო ნაციონალიზმის“ მიმართ არაერთი პრეტენზია ჰქონდათ. ამ პრეტენზიათა ნაწილი ფაქტებს ეყრდნობოდა, ნაწილი უბრალოდ ჭორებსა და დეზინფორმაციას, თუმცა მათი ერთობლიობა ქართველი ერის მომავლის შესახებ საზოგადოების ცალკეულ სეგმენტებში არსებულ შიშებსა და წუხილს გამოხატავდა. ამ ვითარებაში სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველი ელიტა თავად წარმოადგენდნენ პრობლემას, რადგან ეთნო-რელიგიური ნაციონალისტების კონსერვატორულ ღირებულებებს ეწინააღმდეგებოდნენ.

2008 წლის გაზაფხულზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ ავღანეთის ნატო-ს მისიაში 500 ქართველი სამხედროს გაგზავნის წინადადება წამოაყენა.[80] პარტნიორების მიერ ამ შეთავაზების მიღების შემდეგ საქართველომ რამდენჯერმე გაზარდა კონტინგენტის რაოდენობა და საბოლოო ჯამში, ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო დანაყოფის მფლობელი გახდა. სააკაშვილს მწვავედ აკრიტიკებდნენ საქართველოს ავღანეთის მისიაში ჩართვის გამო,[81] ეს კრიტიკა განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოში ნატოს მხრიდან საქართველოს მიმართ სამხედრო დახმარების არგაწევის შემდეგ გამძაფრდა. გარდა ამისა, ვრცელდებოდა შეთქმულების თეორიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზებზე, ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების რაოდენობაზე.[82] დეზინფორმაციის ამ კამპანიებში საუბარი ასეულობით დაღუპულ ჯარისკაცზე იყო, თუმცა სინამდვილეში, 2008-2015 წლებში ავღანეთში საქართველოს 29 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.[83]

მისი მეორე საპრეზიდენტო ვადის მეორე ნახევარში სააკაშვილის ადმინისტრაცია საქართველოს “სინგაპურიზაციის“ კამპანიას აწა-

[77] Ellen Barry, “Bodies Found Near Site of Protests in Georgia”, *The New York Times*, 28 May (2011), https://www.nytimes.com/2011/05/29/world/europe/29georgia.html.

[78] “Burjanadze Meets Putin in Moscow”, *Civil Georgia,* 4 March (2010), https://civil.ge/archives/119946; “Burjanadze Meets Russian FM”, *Civil Georgia,* 5 March (2010), https://civil.ge/archives/119949.

[79] “Natsional’ny forum planiruet provesti ‘Marsh gruzin’”, *Civil Georgia,* 20 September (2011), https://civil.ge/ru/archives/178339.

[80] “Georgia Offers 500 Troops to NATO Afghan Force”, *Reuters*, 31 March (2008), https://www.reuters.com/article/us-nato-georgia-afghanistan-idUSANT14152920080331/.

[81] “Saakashvili Defends Georgia’s Afghan Mission”, *Civil Georgia,* 16 September (2011), https://civil.ge/archives/186049.

[82] Author’s interview with Thorniké Gordadze, a French political scientist and Georgia’s former State Minister for Euro-Atlantic Integration, 1 March 2024.

[83] “Georgian Army Ends Mission in Helmand”, *NATO*, 16 July (2014), https://web.archive.org/web/20140808050637/http://www.isaf.nato.int/article/news/georgian-army-ends-mission-in-helmand.html.

რმოებდა, რაც მასშტაბური დერეგულაციის, პრივატიზაციის, ღია ეკონომიკის ჩამოყალიბების და სხვა რეფორმების გატარების მეშვეობით საქართველოს რეგიონის „ბიზნეს ჰაბად“ გადაქცევას გულისხმობდა. სააკაშვილის „სინგაპურიზაციის“ პროგრამა ევროპული ინტეგრაციის ძირითად მიმართულებებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა (მათ შორის ეკონომიკური პროცესების რეგულირების მაღალ ხარისხთან). მიუხედავად ამისა, ამ კამპანიამ საქართველო ათასობით უცხოელისთვის გახსნა, რომლებიც იქ როგორც ახლომდებარე (თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, სირია), ისე დასავლეთისა და აღმოსავლეთის შორეული ქვეყნებიდანაც ჩადიოდნენ, იწყებდნენ ბიზნეს საქმიანობას ან სწავლას, მონაწილეობდნენ საინვესტიციო პროექტებში. თორნიკე გორდაძის თანახმად, სააკაშვილის მრჩევლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ უცხოელთა ქვეყანაში მოზიდვით, ისინი ფინანსურ რესურსებსაც მოიზიდავდნენ.[84] უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველობის ასამაღლებლად საქართველომ მოქალაქეობის მიღების წესებიც გაამარტივა: ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში მოქალაქეობის მიღება ქართული ენისა და ტრადიციების ცოდნის გარეშეც გახდა შესაძლებელი. „სინგაპურიზაციის“ პროგრამამ სტიმული მისცა ტურიზმის განვითარებას, უცხოურ ინვესტიციებს და საერთაშორისო ვაჭრობას,[85] მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მწვავე რეაქცია გამოიწვია ქართველი ეთნო-ნაციონალისტების მხრიდან. მათ შორის პოპულარული შეთქმულების თეორიის თანახმად, „სინგაპურიზაციის“ პროგრამის *ნამდვილი მიზანი* უცხოელების ჩამოსახლების გზით ქართველი ერის განადგურება იყო.

2010 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობა ინგლისური ენის სწავლებას სავალდებულოს ხდის სკოლის პირველივე კლასიდან,[86] რაც რუსულ ენას მეორე ენის ადგილს უკარგავს. „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი, გუბაზ სანიკიძე, აცხადებდა, რომ ინგლისური ენის გავრცელების მხარდაჭერით მთავრობა ქართული ენის მნიშვნელობის დაკნინებას ცდილობდა.[87] უფრო კატეგორიული იყო „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ გენერალური მდივანი, შოთა შატბერაშვილი: „პრეზიდენტი სააკაშვილი ანგლო-ამერიკული იმპერიალიზმის გოშიაა, ის მშობლიურ ენას ივიწყებს და ხალხს თავს ინგლისურ ენას ახვევს“.[88]

2011 წელს სააკაშვილმა ხელი მოაწერა სამოქალაქო კოდექსის შესწორებას, რომლის თანახმად „რელიგიური უმცირესობების ჯგუფებს საჯარო სამართლის სუბიექტის სტატუსის მქონე ორგანიზაციად დარეგისტრირების“ შესაძლებლობა ეძლეოდათ.[89] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის „განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში“ საქართველოს კონსტიტუციითაა აღიარებული,[90] ამტკიცებდა, რომ სააკაშვილის გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდიოდა „როგორც ეკლესიის, ისე ქვეყნის ინტერესებთან“. მღვდელმთავრების ნაწილი აცხადებდა, რომ ეს ინიციატივა „გზას უხსნიდა გარკვეულ რელიგიურ უმცირესობებს, განსაკუთრებით კი სომხეთის

[84] Author's interview with Thorniké Gordadze.

[85] "FACTBOX – Georgia's Foreign Investment Booms", *Reuters*, 6 January (2008), https://www.reuters.com/article/idUSL03548941/; "Georgia's 'Open Doors' Policy Begins to Tighten", *BBC*, 6 July (2013), https://www.bbc.com/news/world-europe-23198255.

[86] "Saakashvili Speaks of 'Linguistic, Computer Revolution'", *Civil Georgia,* 6 April (2010), https://civil.ge/archives/120039.

[87] "Natsional'ny forum planiruet provesti 'Marsh gruzin'"; "V Gruzii proydyot 'Marsh gruzin'", *Kavkazky Uzel*, 12 September (2011), https://www.kavkaz-uzel.net/articles/192429/.

[88] "Leyboristy obvinyayut vlasti v ignorirovanii gruzinskogo yazyka", *Sputnik*, 12 August (2011), https://sputnik-georgia.ru/20110812/214129943.html.

[89] "Bill on Religious Minorities Legal Status Becomes Law", *Civil Georgia,* 7 July (2011), https://civil.ge/archives/121260.

[90] "Sakartvelos k'onst'it'utsia", *Sakartvelos sak'anonmdeblo matsne*, 29 June (2020), https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346.

სამოციქულო ეკლესიას, მოეთხოვა სადავო ეკლესიების მათ საკუთრებაში დაბრუნება“.[91] ეთნო-რელიგიური ნაციონალისტები სააკაშვილს ბრალს სდებდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმაში. „ეროვნული ფორუმი“ აცხადებდა, რომ ხელისუფლება „საპატრიარქოს იგნორირების პოლიტიკას მისდევს, რადგან ისინი ვერ ხედავენ ეკლესიის როლს „სინგაპურის საოცნებო მოდელში“. „ლეიბორისტული პარტია“ კი მიიჩნევდა, რომ „უღმერთო კანონმდებლების ყრილობამ კიდევ ერთი ანტი-ეკლესიური და ანტი-სახელმწიფოებრივი კანონი მიიღო“, რომლის მიზანი „ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივება“ და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაცია იყო“.[92]

2012 წელს, როცა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო არჩევნები მილიარდერი ბიზნესმენის, ბიძინა ივანიშვილის, მიერ დაარსებულ „ქართულ ოცნებასთან“ წააგო და ხელისუფლება დათმო, ეთნო-რელიგიური ნაციონალისტები სააკაშვილის პოლიტიკურ მემკვიდრეობას ანტი-ეროვნულ პოლიტიკასთან აიგივებდნენ, ხოლო ამ პოლიტიკას ლიბერალურ და დასავლურ პოზიციებს უკავშირებდნენ. ამ „იდეოლოგიური დასტის“ ანტი-თეზისი, შესაბამისად, ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმისა და დასავლეთის საწინააღმდეგო პროპაგანდის ნარევი იყო, რომლის ნაწილი რუსეთის მხარდამჭერ შეხედულებებს ითვალისწინებდა. 2011-2012 წლებში ამ სახის ოპოზიცია სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ საფრთხეს არ წარმოადგენდა, ქვეყნისთვის ევროპული მომავლის უზრუნველყოფის მათი პროექტი უკვე ისე იყო გამჯდარი, რომ სცილდებოდა პარტიულ სიმპათიებს. არ არსებობდა პარტია, რომელიც რეალისტურად დაუშვებდა ანტი-ევროპული დღის წესრიგით ხელისუფლებაში მოსვლას.[93] ამავე დროს, ამ პერიოდშივე უკვე ნათელი იყო, რომ შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში გაღვივებული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმი სააკაშვილის მმართველობის დასასრულს კიდევ უფრო ძლიერი იყო.

4.3 საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარცხის ერთ-ერთი მიზეზი საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გამოქვეყნებული ვიდეო ჩანაწერები იყო, რომლებზეც გლდანის ციხის პატიმრებზე ძალადობის კადრები იყო აღბეჭდილი. გლდანის ციხის სკანდალმა მძიმე დარტყმა მიაყენა სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეპუტაციას, რომელიც უკვე დაზიანებული იყო პოლიციური ძალადობის მრავალი ბრალდებით. როგორ გიორგი კლდიაშვილი აღნიშნავდა,

„ვიდეოებზე ასახული იყო მმართველი პარტიის მიერ ადამიანის უფლებათა სისტემური დარღვევა, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში საუბრობდნენ ოპოზიციაში. მიუხედავად იმისა, თუ ხარისხით იყვნენ ჩართულები ამაში მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები, ნათელი იყო, რომ ასეთ დარღვევებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა იმ მთავრობის მმართველობის პირობებში, რომელიც ერთდროს პოსტ-საბჭოთა სივრცის დემოკრატიის შუქურის წოდებას ატარებდა და ბევრი სხვა ქვეყნისთვის იყო მისაბაძი მაგალითი“.[94]

ვიდეოები საჯარო სივრცეში საქართველოდან ბელგიაში გაქცეული ციხის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომლის, ვლადიმერ ბედუკაძის, შუამავლობით მოხვდა. ისინი საქართველოში ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა ჩამოიტანა და ოპოზიციურ სატელევიზიო არხებს „მაესტროს“ და „მეცხრე არხს“ (ივა-

[91] “Bill on Religious Minorities Legal Status Becomes Law”.

[92] “Opposition Parties Condemn Religious Groups’ Legal Status Law”, *Civil Georgia,* 6 July (2011), https://civil.ge/archives/185965.

[93] Gamkrelidze, “The Project of Europe”.

[94] Giorgi Kldiashvili, “The President in Opposition: Georgia’s 2012 Parliamentary Elections”, *Caucasus Analytical Digest*, No. 43, 15 October (2012), pp. 2-6 (4).

ნიშვილის მიერ დაარსებული და მისი ცოლის, ეკატერინე ხვედელიძის, თანამფლობელობაში მყოფი არხი) გადასცა.[95]

ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ბევრი სხვა პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ირმა ინაშვილი სააკაშვილის მოკავშირე არასდროს ყოფილა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მათი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უპირისპირდებოდა. 2003 წლის დეკემბერში, დავით თარხან-მოურავთან ერთად, ირმა ინაშვილმა დაარსა „მედია კავშირი ობიექტივი“, რომელიც ტელე და რადიო მაუწყებლობის გარდა, გაზეთსაც გამოსცემს. სამივე მედია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის და მისი დასავლური ორიენტაციის მიმართ განსაკუთრებული კრიტიკულობით გამოირჩეოდა. 2007 წელს თარხან-მოურავმა მედია კავშირი დატოვა და „ენმ“-ის საწინააღმდეგო მოძრაობა დაარსა, რომელსაც ინაშვილი 2010 წელს შეუერთდება, თუმცა პარალელურად „ობიექტივის“ ხელმძღვანელის ფუნქციასაც ითავსებდა.[96]

სკანდალური ვიდეოების გამოქვეყნებით ინაშვილმა საგრძნობი წვლილი შეიტანა 2012 წლის „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, თუმცა ამ პარტიაში ფორმალური შესვლის ნაცვლად მან კვლავაც თარხან-მოურავთან ერთად „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ დაარსა, რომელიც 2013 წლის 22 იანვარს დარეგისტრირდება პოლიტიკურ პარტიად.

არსებობის პირველი დღეებიდანვე „პატრიოტთა ალიანსი“, „ენმ“-ის კრიტიკის გარდა, 2012 წელს „ქართული ოცნების“ მიერ წამოწეულ თემებსაც იყენებდა, მათ შორის ანტი-თურქულ პროპაგანდას.[97] ინაშვილის პარტია ყურადღებას ნაკლებად ამახვილებდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, რაც მას რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის თემასთან დააპირისპირებდა, მაგრამ ამავე დროს, დიდ ყურადღებასა და დროს უთმობდა თურქეთის აჭარაში “ექსპანსიის“ თემას.[98] ასეთი მიდგომით ისინი „ენმ“-ის სამოქალაქო ნაციონალიზმის ანტი-რუსულ რიტორიკას ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის ელემენტებით ანაცვლებდნენ და საქართველოს ტერიტორიების ნამდვილი ოკუპაციიდან ყურადღება თურქეთის წარმოსახვით გეგმებზე გადაჰქონდათ.

„პატრიოტთა ალიანსის“ ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმი „ნაციონალური მოძრაობის“ სამოქალაქო და დასავლეთზე ორიენტირებულ ნაციონალიზმს სირთულეს უქმნიდა, რაც „ქართული ოცნების“ პოზიციების გაძლიერებას უწყობდა ხელს. მთავარი ოპონენტის სტატუსის მიუხედავად, ივანიშვილის პარტიას არ შეეძლო „ენმ“-ზე იერიში ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის პოზიციებიდან მიეტანა. „ქართული ოცნება“ თავს ზომიერ ცენტრისტულ ძალად წარმოადგენდა და ხალხს გაწონასწორებულ საგარეო პოლიტიკას პირდებოდა, რომელშიც ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია და რუსეთთან დაპირისპირების თავიდან აცილება იყო შეჯერებული.

არავის გაუკვირდა, როცა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე შეკრებილ მედიას საქართველოში მესამე ძლიერი პოლიტიკური ძალის გამოჩენის აუცილებლობაზე ესაუბრა.

---

[95] “Irma Inashvili: ‘I Have Video Footage that Shows What Was Happening in Penitentiary Institutions’”, *HumanRights.ge*, 20 September (2012), http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=15562; Ana Robakidze, “Irma Inashvili Reveals the Story of Obtaining Scandalous Video Material”, *The Messenger Online*, 21 September (2012), http://www.messenger.com.ge/issues/2698_september_21_2012/2698_ani.html.

[96] “Leadership: Irma Inashvili”, *Alliance of Patriots of Georgia*, https://web.archive.org/web/20170415202414/http://patriots.ge/leadership-irma-inashvili/; “Leadership: David Tarkhan-Mouravi”, *Alliance of Patriots of Georgia*, https://web.archive.org/web/20170616213508/http://patriots.ge/leadership-david-tarkhan-mouravi/.

[97] “Leadership: Irma Inashvili”, *Alliance of Patriots of Georgia*, https://web.archive.org/web/20170415202414/http://patriots.ge/leadership-irma-inashvili/; “Leadership: David Tarkhan-Mouravi”, *Alliance of Patriots of Georgia*, https://web.archive.org/web/20170616213508/http://patriots.ge/leadership-david-tarkhan-mouravi/.

[98] Author’s interview with Eto Buziashvili, a research associate for the Caucasus at the Atlantic Council’s Digital Forensic Research Lab, 5 January 2024.

ასეთი ძალის შესაძლო ლიდერებად მან ირმა ინაშვილი და ნინო ბურჯანაძე დაასახელა.[99] ეს ორი პოლიტიკოსი „ნაციონალურ მოძრაობას“ ეთნო-რელიგიური და პრორუსული პოზიციებიდან უტევდნენ, რომლებსაც „ქართული ოცნება“ ამ დროს ოფიციალურად ვერ გაიზიარებდა.

მისი მთავარი ოპონენტის დამაზიანებელი “მესამე ძალის“ იდეა ივანიშვილს, დიდი ალბათობით, მისი პოლიტტექნოლოგიებთან შეხების საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე მოუვიდა. ივანიშვილმა მისი სიმდიდრის დიდი ნაწილი 1990-იანი წლების რუსეთში მოიხვეჭა. 1996 წელს ის რუსი გენერლისა და ულტრა-ნაციონალისტი პოლიტიკოსის, ალექსანდრ ლებედის, საარჩევნო კამპანიას უწევდა ფინანსურ მხარდაჭერას.[100] ლებედის კანდიდატურა 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის, ბორის ელცინის მთავარი ოპონენტის, რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერისთვის, გენადი ზიუგანოვისთვის, ხმების წასართმევად იყო წამოყენებული კრემლის მიერ. „პატრიოტთა ალიანსი“ საკმაოდ წარმატებული გამოდგა 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში და ხმების 4.72% მოიპოვა, რამაც მას სახელმწიფო დაფინანსების გზა გაუხსნა. როგორც თორნიკე ზურაბაშვილი აღნიშნავდა:

„ასეთი შედეგის მისაღწევად „ალიანსს“ ყველაფერი ჰქონდა, რაც საჭირო იყო: უწყვეტი მედია-გაშუქება პარტიული ტელევიზია „ობიექტივით“ და რადიოსადგურებით, კერძო პირების და ბიზნეს კომპანიების შემოწირულობები, რომლებიც „ენმ“-ის დაფინანსებას არ ჩამოუვარდებოდა და ბიძინა ივანიშვილის ნაწილობრივი მხარდაჭერა“. [101]

2014 წლის შემდეგ „პატრიოტთა ალიანსმა“ გააძლიერა ანტი-დასავლური და რუსეთის მხარდამჭერი განცხადებები. „მედიის განვითარების ფონდის“ 2014-2015 წლების ანტი-დასავლური პროპაგანდის კვლევაში იკვეთება „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ გავრცელებული შემდეგი გზავნილები: დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალიზმს, იბრძვის მართლმადიდებლობისა და ოჯახური ღირებულებების წინააღმდეგ; შეერთებული შტატები აგრესიული, გადატრიალებების მხარდამჭერი ქვეყანაა; საქართველო გარე ძალების მიერ იმართება; ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს და მისი ეკონომიკის დაქვემდებარების მცდელობაა.[102]

„პატრიოტთა ალიანსი“ ქვეყნის მესამე პოლიტიკურ ძალად 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იქცა, როცა 5.01%-ის დაგროვების შემდეგ საარჩევნო ბარიერი გადალახა და 150 შესაძლო საპარლამენტო მანდატიდან 6 მოიპოვა.[103] ერთ-ერთი მათი დეპუტატი, ემზარ კვიციანი, რუსულ სპეცსამსახურებთან სულ ცოტა 2006-2012 წლებში თანამშრომლობდა. ამ წლებში ის რუსეთში ცხოვრობდა, სადაც 2006 წელს საქართველოში მასზე ძებნის გამოცხადების შემდეგ ჩავიდა.[104]

„პატრიოტთა ალიანსის“ პარლამენტში შესვლის ნაწილობრივ ახსნა, როგორც შოთა

[99] “Archevnebshi ts’armat’ebis shemdeg p’at’riot’ta aliansi natsionaluri modzraobis radik’alur k’rit’ik’as agrdzelebs”, *Civil Georgia*, 18 June (2014), https://civil.ge/ka/archives/153146.

[100] Régis Genté, “Broken Dream: The Oligarch, Russia, and Georgia’s Drift from Europe”, *European Council on Foreign Relations*, 21 December (2022), https://ecfr.eu/publication/broken-dream-the-oligarch-russia-and-georgias-drift-from-europe/.

[101] Tornike Zurabashvili, “Georgia’s Parliamentary Elections – a Step Forward?”, *Caucasus Analytical Digest*, No. 89, 15 November (2016), pp. 6-9 (9).

[102] Tamar Kintsurashvili, “Anti-Western Propaganda. Media Monitoring Report 2014-2015” (Tbilisi: Media Development Foundation, 2015), https://mdfgeorgia.ge/eng/view_research/37.

[103] Kote Kandelaki, “Sap’arlament’o archevnebis ist’oria”, *Publika*, 30 October (2020), https://publika.ge/article/saparlamento-archevnebis-istoria/.

[104] “K’vitsianis t’eleaghsareba – dep’ut’at’i aghiarebs, rom k’odoris movlenebis dros da shemdegats rusetis sp’etssamsakhurebis davalebit mokmedebda”, *Rustavi 2*, 25 April (2018), https://rustavi2.ge/ka/news/102416; “K’odoris movlenebi – emzar k’vitsiani adast’urebs, rom rusetis sp’etssamsakhurebis davalebas asrulebda”, *Rustavi 2*, 25 April (2018), https://rustavi2.ge/ka/news/102396.

კაკაბაძემ აღნიშნავს, შესაძლებელია „საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიმართ არსებული უნდობლობით [...]. ამ კონტექსტში [„პატრიოტთა ალიანსმა“] მათი ქსენოფობიური და ჰომოფობიური კამპანიითა და კრემლთან დიალოგის გამართვის დაპირებით, დამკვიდრებული პოლიტიკური კლასის ერთგვარ ალტერნატივად წარმოაჩინა თავი“.[105]

„პატრიოტთა ალიანსის“ მოკრძალებული საარჩევნო წარმატების გამომწვევი კიდევ ერთი ფაქტორი საქართველოში შიდა და გარე (რუსული) ძალების მიერ მხარდაჭერილი ევროსკეპტიკური განწყობების გაძლიერება შეიძლებოდა ყოფილიყო.[106] ამ მხრივ საყურადღებო იყო ევროკავშირში გაწევრიანებისადმი უპირობო მხარდაჭერის ვარდნა 2012 წლის 72%-დან 2015 წლის 42%-მდე.[107]

საპარლამენტო მანდატების მოპოვების შემდეგ „პატრიოტთა ალიანსმა“ „დაიწყო კრემლის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგთან სრულ თანხვედრაში მყოფი გზავნილების საჯაროდ გავრცელება“: „საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტის ინიციატივა“; „მოლაპარაკებების ჟენევის ფორმატის მიტოვება და კონფლიქტების რუსეთთან დასავლეთის მონაწილეობის გარეშე, პირდაპირი დიალოგით მოგვარება“; „ნატოსა და შეერთებული შტატების კვლევითი ინსტიტუტების საწინააღმდეგო მიზანმიმართული კამპანიები“.[108]

ამავე დროს, „პატრიოტთა ალიანსის“ დელეგაციებმა მოსკოვში ჩასვლა დაიწყეს. პირველი ვიზიტი 2017 წლის 11 ივლისს შედგა: გიორგი ლომია, ადა მარშანია და ნატო ჩხეიძე შეხვდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს, ევრაზიული ინტეგრაციის და თანამემამულეებთან ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს, ლეონიდ კალაშნიკოვს და მასთან „საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების აღდგენა, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება“ განიხილეს.[109] „პატრიოტთა ალიანსის“ 2017 წლის ივლისის ვიზიტი რუსეთში ქართველი დეპუტატების პირველი ჩასვლა იყო 2008 წლის ომის შემდეგ. 2017 წლის 3 ოქტომბერს მოსკოვში იგივე დელეგაცია ხელმეორედ ჩავიდა და კალაშნიკოვს „ჰუმანიტარული ხასიათის საკითხებზე“ სასაუბროდ შეხვდა.[110] იმავე დღეს, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები შეხვდნენ რუსეთის ფედერალური საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩოვსაც, რომელმაც საქართველოსა და რუსეთს შორის „ნორმალური ურთიერთობების“ აღდგენის იმედი გამოთქვა.[111] ამავე დროს მოსკოვში იმყოფებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი დავით თარხან-მოურავი, რომელიც ასევე მართავდა შეხვედრებს უცნობ პარტნიორებთან.[112]

საქართველოში „პატრიოტთა ალიანსი“

---

[105] Shota Kakabadze, “The Choice to Be Made. Georgia’s Foreign Policy after the Association Agreement”, *Caucasus Analytical Digest*, No. 99, 30 October (2017), pp. 2-5 (3).

[106] Teona Turashvili, “Implication of Increased Anti-Western Propaganda in the Election Results”, *Caucasus Analytical Digest*, No. 89, 15 November (2016), pp. 10-16 (12).

[107] “EUSUPP: Support of Georgia’s Membership in EU”, *Caucasus Research Resource Center*, https://caucasusbarometer.org/en/cb-ge/EUSUPP/.

[108] Tamar Kintsurashvili, “Anti-Western Propaganda 2020” (Tbilisi: Media Development Foundation, 2021), https://mdfgeorgia.ge/eng/view-library/207/.

[109] “Georgian Opposition MPs Meet Russian Lawmakers in Moscow”, *Civil Georgia,* 12 July (2017), https://civil.ge/archives/217856; “V Gosdume sostoyalas’ vstrecha rossiyskikh i gruzinskikh parlamentariev”, *Gosudarstvennaya duma*, 11 July (2017), http://duma.gov.ru/news/14047/.

[110] “Georgian Lawmakers Hold Talks in Moscow”, *Civil Georgia,* 4 October (2017), https://civil.ge/archives/218348; “L. Kalashnikov vstretilsya s gruzinskimi parlamentariyami”, *Gosudarstvennaya duma*, 3 October (2017), http://duma.gov.ru/news/14384/.

[111] “Parlamentskaya diplomatiya v sostoyanii nayti vozmozhnosti dlya normalizatsii rossiysko-gruzinskikh otnosheniy – K. Kosachev”, *Sovet Federatsii*, 3 October (2017), https://www.council.gov.ru/events/news/84279/.

[112] “Georgian Lawmakers Hold Talks in Moscow”.

რუსული დღის წესრიგის შესრულებას და ანტი-დასავლურ პროპაგანდას აგრძელებდა. „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ მომზადებული კვლევების თანახმად, ბურჯანაძის „ერთიანი დემოკრატიული მოძრაობა“ და „პატრიოტთა ალიანსი“ იყო „ის ორი პოლიტიკური პარტია, რომელიც ყველაზე ხშირად ავრცელებდა ანტი-დასავლურ გზავნილებს“, თუმცა 2014-2017 წლებთან შედარებით, „პატრიოტთა ალიანსი“ ასეთი გზავნილების რიცხვით წინ გაიჭრა 2018 წელს.[113]

დღევანდელი გადმოსახედიდან, „პატრიოტთა ალიანსის“ დელეგაციების მოსკოვში ვიზიტები და რუს პარლამენტარებთან გამართული შეხვედრები ერთგვარი გამოცდა იყო იმ საზღვრების, რომლებსაც ქართველი პოლიტიკოსები რუს კოლეგებთან ურთიერთობაში არ უნდა გასცდენოდნენ საზოგადოებაში აღშფოთების გამოწვევის თავიდან ასაცილებლად. როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ მთავრობამ „პატრიოტთა ალიანსის“ რუსეთთან თანამშრომლობის ფორმებიდან არასწორი დასკვნები გააკეთა და გადაწყვიტა 2019 წლის ივნისში თბილისში ემასპინძლა „მართლმადიდებელთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის“ ყრილობისთვის. ასამბლეის იმდროინდელ თავმჯდომარეს, რუსეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელ, სერგეი გავრილოვს, შესაძლებლობა მიეცა პარლამენტის სპიკერის სავარძლიდან მიემართა დელეგატებისთვის 2019 წლის 20 ივნისს.[114] „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ ოპოზიციონერი დეპუტატები პრეზიდიუმის გასასვლელებში დადგნენ და გავრილოვსა და სხვა დელეგატებს პარლამენტის შენობის დატოვება მოსთხოვეს.[115] პრეზიდიუმის ბლოკადას დაუპირისპირდნენ ადა მარშანია და ემზარ კვიციანი, მათ ოპოზიციისგან „დარბაზის დატოვება და გავრილოვის სავარძელში დაბრუნება“ მოითხოვეს.[116] „პატრიოტთა ალიანსის“ მცდელობა წარუმატებელი გამოდგა: გავრილოვსა და მის თანამემამულეებს საქართველოს დატოვება იმავე დღეს მოუწიათ.

„ქართული ოცნების“ მიერ რუსული დელეგაციის საქართველოს პარლამენტში მასპინძლობას მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა, რომლებიც შემდგომში „გავრილოვის ღამის“ სახელით იქნება ცნობილი: პროტესტანტები პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძის, პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის, შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, ვახტანგ გომელაურის გადადგომას ითხოვდნენ.[117] მათგან მხოლოდ ირაკლი კობახიძე გადადგება.

ფრანგი ჟურნალისტი რეჟის ჟენტე მიიჩნევს, რომ „გავრილოვის ღამე“ რუსული დელეგაციის ვიზიტით გამოწვეულ აღშფოთებაზე გაცილებით მეტი იყო:

„სინამდვილეში ეს მხოლოდ სიმპტომი იყო იმ პრობლემური მდგომარეობის, რომელიც საქართველოში ბიძინა ივანიშვილის და მისი პარტიის, „ქართული ოცნების“, ოლიგარქიული მმართველობის დამყარებას მოჰყვა 2012 წლის შემდეგ. „ქართული ოცნების“ ილიბერალურ იდეოლოგიასთან და ე.წ. „მართლმადიდებლურ ღირებულებებთან“ და-

[113] Tamar Kintsurashvili, “Anti-Western Propaganda 2018” (Tbilisi: Media Development Foundation, 2018), https://mdfgeorgia.ge/eng/view_research/169.

[114] “Protesters Mark ‘Gavrilov’s Night’ Anniversary in Tbilisi”, *OC Media*, 20 June (2020), https://oc-media.org/protesters-mark-gavrilovs-night-anniversary-in-tbilisi/; Régis Genté, “The Falling Darkness”, *Civil Georgia,* 19 July (2021), https://civil.ge/archives/432665.

[115] “Ruling Party on the Defensive over Russian MP in the Parliament Speaker Seat”, *Civil Georgia,* 20 June (2019), https://civil.ge/archives/309180.

[116] “Russian MP’s Appearance in Georgian Parliament Sparks Protests across Georgia”, *OC Media*, 20 June 2(019), https://oc-media.org/russian-mp-s-appearance-in-georgian-parliament-sparks-protests-across-georgia/.

[117] “Opposition, Civic Activists Gather to Protest Russian Delegation’s Visit to Tbilisi”, *Civil Georgia,* 20 June (2019), https://civil.ge/archives/309241.

ახლოებას კრემლი დადებითი თვალით უყურებდა“.[118]

კრემლის გადმოსახედიდან ეს საპროტესტო აქციები ორ ქვეყანას შორის „ურთიერთობების განვითარების ჩაშლის მცდელობა“ იყო.[119] „გავრილოვის ღამის“ მოვლენებთან დაკავშირებული უკმაყოფილების გამოსახატად პუტინმა ეკონომიკური ბერკეტები გამოიყენა: 21 ივნისს, საპროტესტო აქციების დაწყებიდან ერთ დღეში, მან საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლა აკრძალა და „გასცა რეკომენდაცია, რომლის თანახმად რუს ტურისტულ ფირმებსა და ოპერატორებს საქართველოს საგზურების გაყიდვისგან თავი უნდა შეეკავებინათ“.[120]

პოლიტიკური მღელვარების ფონზე „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატები გიორგი ლომია, ადა მარშანია, თბილისის საკრებულოს წევრი გოჩა თევდორაძე კვლავ მოსკოვში გაემგზავრნენ და კონსტანტინე კოსაჩოვსა და ლეონიდ კალაშნიკოვს შეხვდნენ. მათი მიზანი რუსეთსა და საქართველოს შორის დაწყებული „კრიზისის განმუხტვა“ იყო.[121] შეხვედრაზე „პატრიოტთა ალიანსმა“ კრემლის პოზიცია დაიკავა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაძაბვის გამომწვევი საპროტესტო აქციები დაგმო. გიორგი ლომიამ ამ აქციებს „საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაფუჭების მიზნის მქონე პროვოკაციები“ უწოდა: „საქართველოში მოქმედი დესტრუქციული ძალები კიდევ ერთხელ შეეცადნენ დაენგრიათ ყველაფერი, რასაც გასული სამი წლის განმავლობაში ჩვენი ძალისხმევით მივაღწიეთ“.[122]

როგორც ჩანს, „პატრიოტთა ალიანსის“ რუსეთში ვიზიტებს სხვა მიზნებიც ჰქონდა. საქართველოში გასამართ საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე, 2020 წლის აგვისტოში, დისიდენტად ქცეული ყოფილი ოლიგარქის, მიხეილ ხოდორკოვსკის მიერ დაარსებულმა ლონდონში მდებარე ცენტრმა „დოსიემ“, გამოაქვეყნა ორი მოხსენება, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდაჭერით კრემლი საქართველოს შიდა საქმეებში ერეოდა.[123] ამის თქმის საშუალებას მოხსენებების ავტორებს მათ ხელში ჩავარდნილი გზავნილები აძლევდა, რომლებიც „პატრიოტთა ალიანსსა“ და რუსულ პოლიტტექნოლოგიურ კომპანია „პოლიტსეკრეტს“ შორის შემდგარი კომუნიკაციის ნაწილი იყო. ორ ორგანიზაციას შორის შემდგარი კონტაქტების შესახებ ინფორმაცია რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციას პოლიტიკური კონსულტანტის, სერგეი მიხეევის, მეშვეობით მიეწოდებოდა.

ბუნებრივია, ვერავინ გამორიცხავს, რომ ცალკეული რუსული ორგანიზაციები „პატრიოტთა ალიანსს“ საკუთარი ინიციატივით უჭერდნენ მხარს მათი პრორუსული პოზიციების გამო, თუმცა „დოსიეს“ მიერ წარმოდგენილი მასალები არ აჩვენებდა თუ ვინ აფინანსებდა „პოლიტსეკრეტის“ მიერ „ალიანსისთვის“ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას. ამ მომსახურების პუტინის რეჟიმის მიერ დაფინანსების ბრალდებებს ირმა ინაშვილმა “აბსურდული“ უწოდა, მაგრამ დაადასტურა, რომ მისმა პარტიამ „დაიქირავა რუსული სააგენტო (მისი

---

[118] Genté, “The Falling Darkness”.

[119] “V GD svyazali deystviya radikalov v Gruzii s popytkami pomeshat’ razvitiyu otnosheniy nashikh stran”, *Gosudarstvennaya duma*, 21 June (2019), http://duma.gov.ru/news/45397/.

[120] “Executive Order on Measures to Ensure Russia’s National Security and Protection of Its Citizens”, *President of Russia*, 21 June (2019), http://en.kremlin.ru/events/president/news/60805.

[121] “V GD zayavili o gotovnosti k vsestoronnemu obsuzhdeniyu otnosheniy s Gruziey”, *Gosudarstvennaya duma*, 15 July (2019), http://duma.gov.ru/news/45690/; “Kosachev: situatsiya s Gruziey – navyazanny ‘chuzhoy stsenariy’”, *Vesti*, 15 July (2019), https://www.vesti.ru/article/1309128.

[122] “V GD zayavili o gotovnosti k vsestoronnemu obsuzhdeniyu otnosheniy s Gruziey”.

[123] “Kak Kreml’ vmeshivaetsya vo vnutrennyuyu politiku sosednikh stran. Chast’ pervaya: vybory v Gruzii”, *Dossier*, 24 August (2020), https://dossier.center/georgia/; “Kak Kreml’ vmeshivaetsya vo vnutrennyuyu politiku sosednikh stran. Vybory v Gruzii: prodolzhenie”, *Dossier*, 31 August (2020), https://dossier.center/georgia2/.

დასახელების გარეშე), თუმცა ასევე დაიქირავა ოთხი ამერიკული კომპანია და ორი კომპანია ისრაელიდან“.[124] დღემდე უცნობია, თუ რომელ კომპანიებს გულისხმობდა ინაშვილი, თუმცა ამ ქვეყნების არაერთ პოლიტტექნოლოგს გააჩნია საქართველოში მუშაობის გამოცდილება. როგორც წესი, ამერიკულ კომპანიებს უპირატესობას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ანიჭებს, „ქართული ოცნება“ ოცნება კი ისრაელის კომპანიებთან თანამშრომლობისკენ იხრება.[125]

2020 საპარლამენტო არჩევნებში კრემლის მიერ ფსონის „პატრიოტთა ალიანსზე“ დადების შესახებ განცხადებები გაზვიადებულად ჩანს. ამაზე მეტყველებს მიხეევისა და „პოლიტსეკრეტის“ დირექტორის ვერა ბლაშენკოვას რეიტინგი რუს პოლიტტექნოლოგებს შორის. 2020 წლის მონაცემებით ისინი საუკეთესო 20 ან თუნდაც 50 პოლიტტექნოლოგს შორისაც ვერ ხვდებიან.[126] საფუძვლიანი იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ კრემლის მიერ მხარდაჭერის შემთხვევაში, ისინი ინაშვილის პარტიის საარჩევნო კამპანიას უკეთეს კონსულტანტებს ან კომპანიას მოუძებნიდნენ. გარდა ამისა, ამ მხრივ საყურადღებოა „პოლიტსეკრეტის“ მიერ გაწეული კონსულტაციის შინაარსიც: რუსი კონსულტანტები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში მზარდი „საზოგადოებრივი უკმაყოფილება“ სასარგებლო იყო „პატრიოტთა ალიანსისთვის“, თუმცა, ამავე დროს, სასარგებლო იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვისაც“, მაგრამ საზიანო იყო „ქართული ოცნებისთვის“,[127] საიდანაც იკვეთებოდა, რომ ეს ნაკლებად სასურველი შედეგი იყო. ამასთანავე, „პატრიოტთა ალიანსის“ მოსკოვის მთავარ პარტნიორად წარმოჩენა ნიღბავდა „ქართული ოცნების“ პოლიტიკის მზარდად პრორუსულ ხასიათს და მათ კრემლთან მოკავშირეობას აკნინებდა. ასეთი სქემა სასურველი იქნებოდა ივანიშვილის დღის წესრიგისთვის. „ქართული ოცნების“ მთავრობამ არ დააკმაყოფილა ოპოზიციური პარტიების მოთხოვნა „პატრიოტთა ალიანსის“ არჩევნებიდან მოხსნის შესახებ, ხოლო პროკურატურამ უარი თქვა შესაძლო დანაშაულის გამოძიებაზე.[128]

მიუხედავად იმისა, თუ ვინ აფინანსებდა „პოლიტსეკრეტის“ მიერ „პატრიოტთა ალიანსისთვის“ გაწეულ მომსახურებას, ეს დახმარება უსარგებლო აღმოჩნდა. „დოსიეს“ გამოძიების გამოქვეყნებამდე მათი რეიტინგი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში დაახლოებით 3% იყო.[129] არჩევნებში მათ ამომრჩეველთა 3.14%-ის ხმა მიიღეს და 1%-მდე დაწეული საარჩევნო ბარიერის პირობებში ოთხი საპარლამენტო მანდატის მოპოვება მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ დაეთანხმა სხვა ოპოზიციური პარტიების ბრალდებებს 2020 წლის არჩევნების გაყალბების შესახებ და პარტიის სამმა ლიდერმა (ირმა ინაშვილმა, გიორგი ლომიამ და გოჩა თევდორაძემ) უარი თქვა საპარლამენტო მანდატზე. მეოთხე დეპუტატს, ავთანდილ ენუქიძეს, პარტიის სამი სხვა წევრი შეუერთდა, რომლებმაც გათავისუფლებული მანდა-

[124] “Russian Watchdog: Kremlin Interferes in Georgia Polls, Aids Alliance of Patriots”, *Civil Georgia,* 25 August (2020), https://civil.ge/archives/363628.

[125] Wilson, *Political Technology*, p. 349.

[126] “Top 20. Luchshie polittekhnologi Rossii – 2020”, *Obshchaya gazeta*, 20 January (2020), https://web.archive.org/web/20201031191939/https://og.ru/ru/article/109241; “Reyting polittekhnologov”, *TsPK*, 31 December (2020), https://cpkr.ru/issledovaniya/budushchee/reyting-polittekhnologov/.

[127] “Kak Kreml’ vmeshivaetsya vo vnutrennyuyu politiku sosednikh stran. Chast’ pervaya: vybory v Gruzii”.

[128] “Deputaty ot partii Ivanishvili ne sobirayutsya reagirovat’ ‘iz-za odnogo dos’ye’”, *Netgazeti*, 1 September (2020), https://ru.netgazeti.ge/2573/; “Russian Watchdog’s Second Report on Moscow’s Meddling in Georgian Elections”, *Civil Georgia,* 1 September (2020), https://civil.ge/archives/364520.

[129] “Otsneba 39%, enm – 16%, ev. Sakartvelo – 5%, gadauts’q’vet’eli – 20% – Edison Research”, *Formula News*, 16 July (2020), https://formulanews.ge/News/33557; “IRI: archevnebi rom momaval k’viras iq’os, 33% – “otsneba”, 16% – enm, 5% – evrop’uli sakartvelo”, *ON.ge*, 12 August (2020), https://on.ge/story/61469-გამოკითხულთა-33-ხმას-ქართულ-ოცნებას-მისცემს-არჩევნები-რომ-მომავალ-კვირას-ჩატარდეს-iri.

ტები აითვისეს.[130] საპარლამენტო მუშაობის დაწყების შემდეგ ოთხეულმა „პატრიოტთა ალიანსი“ დატოვა და ახალი პოლიტიკური ძალა, „ევროპელი სოციალისტები“, ჩამოაყალიბა.[131] ამ მოვლენების კომენტირებისას, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ, განაცხადა, რომ „მნიშვნელოვანი იყო „პატრიოტთა ალიანსის“ რუსული ელემენტების პარლამენტის მიღმა დარჩენა“,[132] რითაც კიდევ შეეცადა ხაზი გაესვა „ქართული ოცნების“ რუსული პოლიტიკისგან დისტანცირებას.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში განცდილი ფიასკოს შემდეგ, „პატრიოტთა ალიანსმა“ კრემლთან თანხვედრაში მყოფი პოლიტიკური კურსი გააგრძელა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პრორუსულ აქციებში. 2021 წლის აგვისტოში „პატრიოტთა ალიანსმა“ წერილით მიმართა ვლადიმირ პუტინს და მას მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების დალაგებაში მხარდაჭერა სთხოვა: „ჩვენ რუსეთსა და საქართველოს შორის პატივისცემასა და ნდობაზე დაფუძნებული მეგობრული და გულახდილი ურთიერთობის დამყარების მომხრეები ვართ“. [133] კრემლმა „პატრიოტთა ალიანსის“ წერილს უპასუხა, რომ ეს კიდევ ერთი დასტური იყო საქართველოში ადეკვატური და შეგნებული პოლიტიკური ძალების არსებობისა, მიუხედავად რადიკალთა და რუსოფობთა ძალისხმევისა“.[134]

რუსეთის მიერ შეერთებული შტატებისა და ნატოსთვის წაყენებული ულტიმატუმის შემდეგ, რომელიც მოითხოვდა „ალიანსის ყველა წევრს უარი ეთქვა ნატოს ნებისმიერ მომავალ გაფართოებაზე, მათ შორის უკრაინის ან სხვა ქვეყნების გაწევრიანებაზე“,[135] „პატრიოტთა ალიანსმა“ თავი მოუყარა 50-მდე აქამდე ნაკლებად ცნობილ პოლიტიკურ ორგანიზაციას და „ქართველი პატრიოტების გაერთიანებული ფრონტი“ დაარსა.[136] ფრონტმა საქართველოსგან ნეიტრალიტეტის გამოცხადება, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შეჩერება და ამ მიზანთან დაკავშირებული შესაბამისი ჩანაწერის კონსტიტუციიდან ამოღება მოითხოვა.[137] აღსანიშნავია, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადების იდეას „პატრიოტთა ალიანსი“ 2018 წლის შემდეგ უჭერდა მხარს.[138]

2022 წლის 10 მარტს, რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში, „პატრიოტთა ალიანსმა“, „ქართველი პატრიოტების გაერთიანებული ფრონტის“ სახელით, გაეროს უშიშროების საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც საბჭოს სთხოვდა „მხარდაჭერის გარდა, აქტიური როლი ეთამაშა

---

130 “Four Opposition MPs Quit Alliance of Patriots Party, Enter Parliament”, *Civil Georgia,* 5 January (2021), https://civil.ge/archives/390038.

131 “Former Alliance of Patriots MPs Launch ‘European Socialists’ Party”, *Civil Georgia,* 10 January (2021), https://civil.ge/archives/390459.

132 “Kobakhidze: mnishvnelovania, rom ‘p’at’riot’ta aliansis’ rusuli shemadgeneli ar shemovida p’arlament’shi”, *Radio tavisupleba*, 5 January (2021), https://www.radiotavisupleba.ge/a/31034627.html.

133 “Kremlin Welcomes Alliance of Patriots’ Call for Improving Russo-Georgian Ties”, *Civil Georgia,* 13 August (2021), https://civil.ge/archives/436471.

134 “Kremlin Backs Call of Alliance of Patriots of Georgia to Improve Two Countries’ Relations”, *TASS*, 13 August (2021), https://tass.com/politics/1325615.

135 “Agreement on Measures to Ensure the Security of the Russian Federation and Member States of the North Atlantic Treaty Organization”, *Ministerstvo inostrannykh del Rossiyskoy Federatsii*, 17 December (2021), https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790803/?lang=en.

136 “Self-Styled Patriots Reiterate Moscow’s Georgia Neutrality Demand”, *Civil Georgia,* 21 January (2022), https://civil.ge/archives/467888.

137 Irma Inashvili, “Vpikrob, gasuli ori k’vira dzalzed damapikrebelia”, *Facebook*, 21 February (2022), https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1360813664364021&id=100013062005932.

138 Tamar Tsiklauri, “Ada marshania – sazogadoebas vtavazobt ideas, rom sakartvelo miuertdes samkhedro miumkhroblobis modzraobas”, *Georgian Public Broadcaster*, 4 May (2019), https://1tv.ge/news/ada-marshania-sazogadoebas-vtavazobt-ideas-rom-saqartvelo-miuertdes-samkhedro-miumkhroblobis-modzraobas/.

საქართველოსა და უკრაინის მიერ ნეიტრალური ქვეყნის სტატუსის მიღებაში, რომლის გარანტორებიც დასავლეთის ქვეყნები და რუსეთი იქნებოდნენ“.[139]

იმავე წლის აპრილში თარხან-მოურავისა და ინაშვილის მეთაურობით მოსკოვში ჩასული „პატრიოტთა ალიანსის“ დელეგაცია ხვდება ვლადიმირ ჯაბაროვს, რუსეთის ფედერალური საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რომელთანაც ქართულ-რუსულ ურთიერთობებს და „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ წამოყენებულ და კრემლის მიერ მხარდაჭერილ ნეიტრალიტეტის ინიციატივას განიხილავენ.[140] ეს ვიზიტი „ქართულ ოცნებას“ ინაშვილის პარტიის კრიტიკის კიდევ ერთ საბაბს და იმაზე ნაკლებად პრორუსულად გამოჩენის შესაძლებლობას მისცემს, ვიდრე სინამდვილეში იყო.[141]

4.4. ქართული მარში

2019 წლის ივნისში „გავრილოვის ღამისა“ და „ქართული ოცნების“ პრორუსულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციების დაწყების დროს, პოლიციამ მათი ძალისმიერი მეთოდებით, ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით ჩახშობა სცადა და „სულ მცირე, ორმა მოქალაქემ დაკარგა თვალი რეზინის ტყვიებით მიყენებული დაზიანების გამო“.[142] ამ მოვლენებმა საპროტესტო აქციებს ახალი განზომილება დაუმატა: პროტესტანტებმა პოლიციურ ძალადობაზე პასუხისმგებელი შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას, გადადგომა მოითხოვეს.[143]

გაფართოებული დღის წესრიგის მქონე საპროტესტო აქციებმა იმოქმედა დიდი ხნით ადრე დაგეგმილ ღონისძიებებზე, მათ შორის საქართველოში პირველი „ლგბტ+ პრაიდის კვირეული“ და „თბილისი პრაიდი“, რომლებიც 2019 წლის 18-23 ივნისს უნდა შემდგარიყო. „ქართული ოცნების“ მთავრობის საწინააღმდეგო აქციების დაგეგმვა და „თბილისი პრაიდის“ საორგანიზაციო სამუშაოები ერთდროულად, 2019 წლის ივლისის დასაწყისში, იმართებოდა. ეს ვითარება სათავისოდ გამოიყენეს იმ ძალებმა, რომლებიც ორივე აქციას უპირისპირდებოდნენ. „პრაიდის“ საპროტესტო აქციებთან ასოცირების კამპანიის საშუალებით ისინი აქციების დისკრედიტაციას შეეცადნენ, რაც ძალიან ჰგავდა კრემლის მიერ 2011-2013 წლებში პუტინის საწინააღმდეგო მოძრაობის ლგბტ თემთან დაკავშირებით გამოყენებულ სტრატეგიას. მაგალითად, ულტრა-მემარჯვენე „ქართული მარშის ლიდერი, სანდრო ბრეგაძე, ასეთ კითხვებს სვამდა:

„რატომ ისჯება შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია??? ახლა ნათელია, რომ რეზინის ტყვიები მხოლოდ საბაბია, ხოლო ნამდვილი მიზეზი სულ სხვაა - გახარიამ ორჯერ თქვა უარი „გეი პრაიდის“ ჩატარებაზე!!! დიახ, ჰომოსექსუალები, გეი პრაიდების ორგანიზატორები, ეს ხალხი, რომელიც ყველაფერს აკეთებს „გეი პრაიდის“ ჩასატარებლად, ცდილობს დასაჯოს გახარია!!!“[144]

2016 წლამდე ბრეგაძე „ქართული ოცნების“ მთავრობაში დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იყო. ის მისი ჰომოფობიური განცხადებებით გამოწვეული სამოქალაქო საზოგადოების ჯგუ-

---

[139] Irma Inashvili, “Open Letter to the United Nations Security Council”, *Facebook*, 10 March (2022), https://www.facebook.com/photo/?fbid=1372270719884982&set=pcb.1372271833218204.

[140] “V. Dzhabarov provel vstrechu s predsedatelem oplitichеskoy partii ‘Al’yans patriotov Gruzii’ D. Tarkhan-Mouravi”, *Sovet Federatsii*, 4 April (2022), http://council.gov.ru/events/news/134720/.

[141] “Moscow Visit of Alliance of Patriots Party over Georgian Neutrality ‘Unacceptable’ – Ruling Party Secretary General”, *Agenda.ge*, 7 April (2022), https://old.agenda.ge/en/news/2022/1156.

[142] “Unrests in Tbilisi Continue till Sunrise”, *Civil Georgia,* 21 June (2019), https://civil.ge/archives/309640.

[143] “Interior Minister: ‘I Remain until Investigation Ends’”, *Civil Georgia,* 28 June (2019), https://civil.ge/archives/311161.

[144] Cited in Tamar Kintsurashvili (ed.), *Hate Speech 2019* (Tbilisi: Media Development Foundation, 2020), p. 29.

ფების რამდენიმეთვიანი ზეწოლის გამო მოხსნეს თანამდებობიდან.[145] მთავრობიდან წასვლის მიუხედავად, ბრეგაძის ნათესავები „ქართული ოცნებისთვის“ ფულადი სახსრების შეწირვას აგრძელებდნენ: „აიფაქტის“ მონაცემებით 2016 წლის წინაასაარჩევნო პერიოდში მათ პარტიას 85000 ლარი შესწირეს (დაახლოებით 32000 ევრო 2016 წელს).[146]

„ქართული ოცნების“ მთავრობიდან წამოსვლის შემდეგ ბრეგაძემ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მათგან დამოუკიდებლად, ლევან ჩაჩუას ულტრა-მემარჯვენე „ქართული იდეის“ ნაკლებად ცნობილი პარტიის სიით სცადა. ეს პარტია რუსეთსა და საქართველოს შორის შერიგებას უჭერდა მხარს, რისთვისაც თბილისს უარი უნდა ეთქვა დასავლეთთან დაახლოებაზე.[147]

2017 წლის 14 ივლისს ბრეგაძემ და მისმა თანამოაზრეებმა „ქართველთა მარში“ გამართეს. საპროტესტო აქციაში დაახლოებით 2000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათ თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური, დავით აღმაშენებლის გამზირი დაიკავეს. „მარშის“ მონაწილეებს შორის იყვნენ „ედელვაისის“, „ნაციონალისტური ლეგიონის“, „პატრიოტთა ალიანსის“ და სხვა ქართული ულტრა-მემარჯვენე ძალების წარმომადგენლები.

აქციას ულტრა-მემარჯვენე პოპულისტებისთვის დამახასიათებელი დღის წესრიგი ჰქონდა, რომელსაც თან ერთვოდა „ნაციონალური მოძრაობის“ და დასავლეთის საწინააღმდეგო ლოზუნგები. „ქართველთა მარში“ „ქართული ოცნების“ მთავრობისგან (1) ბინადრობის მოწმობების გაცემისა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესების გამკაცრებას, (2) „ყველა უკანონო მიგრანტისა და უცხოელი კრიმინალების“ ქვეყნიდან გაძევებას, (3) „უცხოელთა მონაწილეობით მიმდინარე კრიმინალური საქმიანობის აღსაკვეთად მასობრივი ზომების“ მიღებას, (3) „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას და „არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ქვეყნის გარედან დაფინანსების მიღების შეზღუდვას“ ითხოვდა.[148] ბოლო მოთხოვნა 2012 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირების შესაფერხებლად რუსეთში მიღებული „აგენტების კანონის“ გამოძახილი იყო. უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთვრობო ორგანიზაციებს პუტინის რეჟიმი საფრთხედ აღიქვამდა.

„ქართული ოცნების“ მთავრობამ „ქართველთა მარშის“ იდეოლოგიურ დღის წესრიგს აქციის დაწყებამდე მისცა ირიბი ლეგიტიმაცია. ორგანიზატორების ერთ-ერთი სამიზნე ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსული ბიზნესმენების მიერ გახსნილი სტრიპტიზ კლუბები იყო, რომლებშიც ქართველ კაცებს არ უშვებდნენ.[149] 2017 წლის იანვარში „ქართული ოცნების“ მთავრობის პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, საჯაროდ დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს „გამოეძიებინა ადგილობრივი მამაკაცების მიმართ

[145] “10 arasamtavrobo organizatsia sandro bregadzis gadadgomas moitkhovs”, *Tabula*, 29 October (2014), https://tabula.ge/ge/news/568442-10-arasamtavrobo-organizatsia-sandro-bregadzis; “NGO-ebi p’remiers: imsjelet bregadzis tanamdebobaze dat’ovebis mizanshets’onilobaze”, *Tabula*, 10 January (2015), https://tabula.ge/ge/news/570671-ngo-ebi-premiers-imsjelet-bregadzis-tanamdebobaze.

[146] “‘Kartuli marshis’ lideris, sandro bregadzis natesavebma ‘kartul otsnebas’ 2016 ts’els, ts’inasaarchevnod 85,000 lari shets’ires”, *iFact*, 2 June (2020), https://ifact.ge/ქართული-მარშის-ლიდერის/.

[147] “Chachua: NATO ne mozhet reshit’ territorial’nye problemy Gruzii”, *Sputnik*, 21 October (2015), https://sputnik-georgia.ru/20151021/228848367.html.

[148] “Na prospekte Agmashenbeli v Tbilisi nachalsya ‘Marsh gruzin’”, *Ekho Kavkaza*, 14 July (2017), https://www.ekhokavkaza.com/a/28616902.html.

[149] Giorgi Lomsadze, “Georgians March against Muslim Immigrants”, *Eurasianet*, 15 July (2017), https://eurasianet.org/georgians-march-against-muslim-immigrants.

დისკრიმინაციული პრაქტიკის არსებობა ცალკეულ კლუბებსა და ბარებში“.[150] ამგვარად, უცხოელების მიერ ქართველების დისკრიმინაცია ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში აღმოჩნდა, შემდგომში კი „ქართველთა მარშის“ ერთ-ერთ ძირითად ლეიტ-მოტივად იქცა.

„ქართველთა მარშის“ შემდეგ ბრეგაძემ პოლიტიკური მოძრაობა „ქართული მარში“ ჩამოაყალიბა. ეს მოძრაობა მონაწილეობას მიიღებს „ძალადობრივ აქციებში, რადიკალების თავდასხმებში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და სექსუალური ორიენტაციის მქონე მოქალაქეებზე“.[151]

ბრეგაძემ „ქართული მარში“ ფრანგი ულტრა-მემარჯვენეების პარტიას, „ეროვნულ ფრონტს“ და გერმანულ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ პარტიას შეადარა,[152] თუმცა ეს შედარება პირდაპირ არ უნდა იყოს გაგებული, რადგან „ქართული მარშისგან“ განსხვავებით არც ფრანგულ და არც გერმანულ პარტიას პოლიტიკური ძალადობა არ წაუხალისებიათ.

2020 წლის მოხსენებაში ესტონეთის უსაფრთხოების სამსახური „ქართულ მარშს“ იმ ორგანიზაციათა შორის ასახელებდა, რომლებიც „საქართველოში ე.წ. ტრადიციულ ღირებულებებს“ იცავენ და მიზნად ისახავენ „წინააღმდეგობა გაუწიონ იმ ღირებულებებს, რომლებსაც დასავლეთის მიერ თავსმოხვეულად აცხადებენ და რომლებიც, მათი თქმით, განადგურებით ემუქრება ქართველ ხალხსა და საზოგადოებას“. ისინი ამისთვის „ნატოს და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის შემცირებას“, „საზოგადოებაში კონფლიქტებისა და დაპირისპირების გაღვივებას“ უწყობენ ხელს.[153] მოხსენებაში ამტკიცებენ, რომ „ქართული მარშის“ ლიდერებს შორის იმყოფებიან ადამიანები, რომლებსაც „გააჩნიათ კავშირები რუსეთთან და მოსკოვის გავლენის გავრცელების ღონისძიებებთან“.[154] მოხსენებაში არ არის ახსნილი თუ რა სახის „კავშირებზეა“ ლაპარაკი, თუმცა მედიაში გავრცელებულმა ჩანაწერმა, რომელშიც ერთმანეთს სანდრო ბრეგაძე და რუსეთის ფედერალური საბჭოს წევრი იგორ მოროზოვი ესაუბრებიან საერთო ბიზნეს პროექტებზე,[155] ცხადყო, რომ „ქართული მარშის“ ლიდერს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა რუს მოხელეთა ნაწილთან მაინც.

„ქართული მარში“ პოლიტიკურ პარტიად 2020 წლის ივლისში, საპარლამენტო არჩევნების წინ დარეგისტრირდა. პარტიას სათავეში სანდრო ბრეგაძე და ირაკლი შიხიაშვილი ჩაუდგნენ. ეს უკანასკნელი „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და პარტიის გენერალური მდივანი იყო.[156] „ქართული მარშის“ მმართველ პარტიასთან სიახლოვის გათვალისწინებით გასაკვირი არ იყო, რომ ახლადჩამოყალიბებულმა ულტრა-მემარჯვენე პარტიამ მათ „მთავარ ოპონენტებად“ პროდასავლური „ერთიანი ნაციონალური მოძრა-

[150] “P’remieri – arsebobs inpormatsia, rom gark’veul k’lubebshi kartvel mamak’atsebs ar ushveben, minda davavalo shs minist’rs am disk’riminatsiuli midgomit daint’eresdes”, *Interpress News*, 11 January (2017), https://www.interpressnews.ge/ka/article/414190-premieri-arsebobs-inpormacia-rom-garkveul-klubebshi-kartvel-mamakacebs-ar-ushveben-minda-davavalo-shs-ministrs-am-diskriminaciuli-midgomit-dainteresdes.

[151] “Nativist ‘Georgian March’ Movement Becomes Political Party”, *Civil Georgia,* 3 July (2020), https://civil.ge/archives/358303.

[152] Zaza Abashidze, “The Georgian March against Migrants and NATO”, *JAM News*, 2 May (2018), https://jam-news.net/the-georgian-march-against-migrants-and-nato/.

[153] “International Security and Estonia 2020”, *Estonian Foreign Intelligence Service*, https://www.valisluureamet.ee/doc/raport/2020-en.pdf.

[154] Ibid.

[155] Cyber Kmara, “Russian Agents in Georgia: Sandro Bregadze and Russian Senator Igor Morozov Conversation”, *YouTube*, 21 September (2020), https://www.youtube.com/watch?v=d9Zgboy7cEk. For more details on the case, see “Alleged Recording of Head of Georgian Ultra-Right Party and Russian MP Surfaces”, *Agenda.ge*, 22 September (2020), https://agenda.ge/en/news/2020/2922.

[156] “Nativist ‘Georgian March’ Movement Becomes Political Party”.

ობა“ და „ევროპული საქართველო“ გამოაცხადეს.[157]

„ქართულ ოცნებასა“ და „ქართულ მარშს“ შორის გარკვეული სინერგია შესამჩნევი იყო „ფეისბუკზეც“, სადაც საგანგებოდ შექმნილი გვერდების ქსელი 2020 წელს საინფორმაციო მხარდაჭერას უწევდა „ქართულ მარშს“ და მთავრობის მხარდამჭერ „პოსტ ტვ-ის“, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული გენერალური პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, ხოლო შემდგომში პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობებში ჩართულმა, ლაშა ნაცვლიშვილმა დაარსა.[158]

2020 წლის არჩევნებში „ქართულმა მარშმა“ ძალიან ცუდი შედეგი აჩვენა და ხმების მხოლოდ 0.25% მოიპოვა. აშკარა იყო, რომ ქართული პოლიტიკის პოლარიზაციის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, არ მოიძებნა ადგილი ულტრა-მემარჯვენე პარტიებისთვის, რომელთა ანტი-დასავლური და პრორუსული პოლიტიკური დღის წესრიგი „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის უფრო პირდაპირი ფორმა იყო. ამგვარად, მიუხედავად „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მათ მთავარ ოპონენტებად გამოცხადებისა, „ქართულმა მარში“ „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ უკვე დაკავებულ ულტრა-მემარჯვენეთა შეზღუდულ სივრცეში შეიჭრა. ახალმა პარტიამ ვერ მოახერხა რაიმე ახალი მიდგომის თუ იდეის შეთავაზება, რამაც ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკის ამ სივრცეში ადგილის დამკვიდრებაში შეუშალა ხელი.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით, სანდრო ბრეგაძემ ახალი სატელევიზიო არხის, „საქართველოს“, დაფუძნების შესახებ განაცხადა. არხი იმ „ლიბერალურ დიქტატურას“ უნდა დაპირისპირებოდა, რომელიც სხვა სატელევიზიო არხებს აკონტროლებდა,[159] თუმცა ამ მიზნის მიღწევაზე დამატებითი ინფორმაცია აღარ გავრცელებულა.

„ქართულ მარშს“ 2021 წლის რეგიონულ არჩევნებში მონაწილეობა აღარ მიუღია. სანდრო ბრეგაძე 2022 წლის დასაწყისში „პატრიოტთა ალიანსის“ ნეიტრალიტეტის გამოცხადების მოთხოვნით შექმნილი „გაერთიანებული ფრონტის“ ინიციატივას შეუერთდა,[160] თუმცა, როგორც ჩანს, „ქართულმა მარშმა“ მისი უკვე საკმაოდ შეზღუდული პოლიტიკური წონაც დაკარგა.

4.5 ალტ-ინფო/კონსერვატორული მოძრაობა

„ქართული მარშის“ პოლიტიკურ მარცხში, სხვა ულტრა-მემარჯვენე ძალებისგან იდეოლოგიური განსხვავებულობისა და გამორჩეულობის ვერ ჩვენების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალი ულტრა-მემარჯვენე და პრორუსული ორგანიზაციის, „ალტ-ინფოს“ გამოჩენამ. ეს მედია კომპანია მოგვიანებით პოლიტიკურ პარტია „კონსერვატორულ მოძრაობასაც“ დააფუძნებს.

ნაკლებად ცნობილი ულტრანაციონალისტური ვებგვერდი „ალტ-ინფო“ რადიკალმა მემარჯვენე აქტივისტმა, ირაკლი ყიზილაშვილმა, 2017 წლის ივნისში დააფუძნა.[161] ვებგვერდი დიდწილად ევროპული და ამერიკული ულტრა-მემარჯვენე მედია საშუალე-

[157] Ibid.

[158] Sopo Gelava, Eto Buziashvili, “Georgian Far-Right and Pro-Government Actors Collaborate in Inauthentic Facebook Network”, *Digital Forensic Research Lab* (*DFRLab*), 2 December (2020), https://dfrlab.org/2020/12/02/georgian-far-right-and-pro-government-actors-collaborate-in-inauthentic-facebook-network/; Sopo Gelava, Eto Buziashvili, “DFRLab Investigation Leads to Facebook Takedown of Assets Affiliated with Georgian March Party”, *Digital Forensic Research Lab* (*DFRLab*), 6 April (2021), https://medium.com/dfrlab/dfrlab-investigation-leads-to-facebook-takedown-of-assets-affiliated-with-georgian-march-party-c556777795e3.

[159] Magda Gugulashvili, “‘Kartuli marshis’ lideri sak’utar t’elevizias khsnis”, *Media Checker*, 26 January (2021), https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/86498-qarthuli-marshis-lideri-mautsyeblebis-liberalur-diqtaturas-upirispirdeba-da-sakuthar-televizias-khsnis.

[160] Self-Styled Patriots Reiterate Moscow’s Georgia Neutrality Demand”.

[161] “Whois Record for Alt-Info.com”, *DomainTools*, https://whois.domaintools.com/alt-info.com.

ბების იდენტური იყო (განსაკუთრებით „ბრაიტბარტ ნიუსის“), ავრცელებდა პრორუსულ დეზინფორმაციას და მუსლიმი მიგრანტებისა და ლგბტ+ თემის საწინააღმდეგო კამპანიებს აწარმოებდა.

2019 წლის იანვარში „ალტ-ინფო“ კერძო კომპანიად დარეგისტრირდა. მისი დირექტორი შოთა მარტინენკო[162] ციალა მორგოშიასთან ერთად კომპანიის თანამფლობელიც იყო.[163] მორგოშია კომპანიის ნამდვილ მეწილეს არ ჰგავდა, ის კონსტანტინე მორგოშიას, პროექტის ნამდვილი დამფუძნებლის, პენსიაზე გასული ახლო ნათესავი იყო.[164]

კონსტანტინე მორგოშია ბიზნესმენია, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ადგილი „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერად და დამფინანსებლად დაიმკვიდრა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ის „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი კანდიდატი იყო მცხეთა-მთიანეთში, მაგრამ დამარცხდა. შემდგომში მორგოშიამ მისი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა სანდრო ბრეგაძისა და მისი პარტიისკენ გადაამისამართა, თუმცა, საბოლოო ჯამში, საკუთარი პოლიტიკური პროექტის დაწყება ამჯობინა.[165]

როგორც ჩანს, ამ პროექტის თავდაპირველი იდეა უკავშირდება 2019 წლის 30 იანვარს დაფუძნებულ ორგანიზაციას, „ალტერნატივა საქართველოსთვის“, რომლის სახელიც ეხმიანება პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მიერ ევროპაში ულტრა-მემარჯვენე პარტიების დასახელების დაწყებულ ტენდენციას. ოფიციალური მონაცემების მიხედვით მორგოშია ორგანიზაციის თავმჯდომარეა, ზურაბ მახარაძე მისი მოადგილე, თანადამფუძნებელთა შორის არიან მარტინენკო, ირაკლი ყიზილაშვილი და რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქე გიორგი ქარდავა.[166] ანტი-დასავლური და პრორუსული სარედაქციო პოლიტიკით გამორჩეული „ალტ-ინფო“ პარტია „ალტერნატივა საქართველოსთვის“ “მედია ფრთად“ იქცა.

მათი დასავლელი ანალოგების მსგავსად, „ალტ-ინფო“ ძალიან აქტიური იყო სოციალურ ქსელებში, სადაც ის ანტი-ლიბერალურ, ნაციონალისტურ, ანტი-დასავლურ და ანტი-იმიგრანტულ კამპანიას ეწეოდა.[167] ექსპერტთა მიერ მათი მაუწყებლობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების კომენტირებისას მახარაძემ განაცხადა, რომ ბრალდებები, რომელთა თანახმად მისი გუნდი „ანტი-ლიბერალურ, ანტი-იმიგრაციულ და ჰომოფობიურ პროპაგანდაში იყო საიდუმლოდ ჩართული“ სასაცილო იყო, რადგან ისინი ამ ყველაფერს „ღიად და საჯაროდ“ აკეთებდნენ“.[168]

2019 წლის პირველ ნახევარში, „თბილისის პრაიდის“ და „პრაიდის კვირეულის“ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების გამოცხადების შემდეგ, „ალტ-ინფო“ „ფეისბუკზე“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ქსელი იყო, რომელიც „ავ-

[162] “Martynenko” is a family name that has Ukrainian origins, but, sometimes, Martynenko is also referred to as “Martinenko”.

[163] “Amonats’eri mets’armeta da arasamets’armeo (arak’omertsiuli) iuridiuli p’irebis reest’ridan [Alt Info Ltd.]”, *National Agency of Public Registry of Georgia*, 28 January (2019), https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFHGiFKAt3IKyIWaVvlpR4CXCU2IBX2cGRAv5PD53A7l6.

[164] “Alt Info TV Channel Financed by 80-year-old Aunt of Konstantine Morgoshia with a Million”, *Georgian News*, 22 July (2023), https://sakartvelosambebi.ge/en/news/alt-info-tv-channel-financed-by-80-year-old-aunt-of-konstantine-morgoshia-with-a-million; Ia Asatiani, Aidan Yusif, “Who Donates Money to the Conservative Movement and from Where?”, *iFact*, 8 January (2024), https://ifact.ge/en/who-donates-money-to-the-conservative-movement/.

[165] Ia Asatiani, “Alt’ernat’iva morgoshiastvis – vis sakhelze pormdeba misi koneba?”, *iFact*, 29 June (2021), https://ifact.ge/morgoshia/.

[166] “Amonats’eri mets’armeta da arasamets’armeo (arak’omertsiuli) iuridiuli p’irebis reest’ridan [Alternative for Georgia]”, *National Agency of Public Registry of Georgia*, 28 January (2019), https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFMyQLSGl%5Bngq8IR5AhWIuEMAmwiCo4U5oAGzS6g82zMN.

[167] “P’rop’agandist’uli narat’ivebi Facebook-ze 2018 ts’lis archevnebis p’eriodshi”, *ISFED*, 19 November (2019), https://isfed.ge/geo/sotsialuri-mediis-monitoringi/propagandistuli-narativebi-Facebook-ze-2018-tslis-archevnebis-periodshi.

[168] “ISFED ‘alt’-inpo’-stan dak’avshirebuli gverdebis ts’ashlas itkhovs – ‘alt’-inpo’ akhlebis shekmnaze pikrobs”, *Radio tavisupleba*, 3 August (2020), https://www.radiotavisupleba.ge/a/30764395.html.

რცელებდა ჰომოფობიურ ნარატივებს, რომლებიც დასავლეთის დემონიზაციას, ხოლო ლგბტ თემის საქართველოს საფრთხედ წარმოჩენას ცდილობდა“.[169] „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული გვერდების ნაწილი ანონიმური იყო. ერთ-ერთ მათგანს, „ანტი-ლიბერალურ კლუბს“, ათი ადამიანი მართავდა, რომელთა შორის ერთი ამას რუსეთიდან აკეთებდა.[170]

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“[171] და „ატლანტიკური საბჭოს ციფრული კვლევის ლაბორატორიის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად,[172] „ფეისბუკმა“ რამდენჯერმე წაშალა „ალტ-ინფოს“ რესურსები მათ მიერ ქსელის მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის გამო. 2020 წლის მოხსენებაში „ფეისბუკის“ ადმინისტრაცია წერდა, რომ „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული ქსელი

„იყენებდა ყალბ ანგარიშებს პოსტების და კომენტარების გამოქვეყნებისთვის საკუთარი გვერდების იმაზე პოპულარულად გამოსაჩენად ვიდრე ეს სინამდვილეში იყო. [...] ეს ქსელი ძირითადად ქართულ ენაზე აქვეყნებდა კომენტარებს ახალ ამბებზე და მოვლენებზე, რომლებიც საქართველოში, ევროკავშირში და რუსეთში ხდებოდა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, პოლიტიკოსებზე, აკრიტიკებდა ადგილობრივ მედიასა და ლიბერალ პოლიტიკოსებს, მათ შორის „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებს, იმიგრანტებს, უმცირესობებს და ლგბტქ თემებს. გარდა ამისა, ისინი ავრცელებდნენ სიძულვილის ენას და ინფორმაციას, რომელიც ფაქტების გადამოწმების დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ყალბად იყო შეფასებული“.[173]

სოციალური ქსელის მიერ მიღებული ზომების შემდეგ „ალტ-ინფო“ თავიდან ქმნიდა გვერდებს, რომლებსაც ასევე აუქმებდა „ფეისბუკი“. 2020 წლის შემოდგომაზე „ალტ-ინფომ“ შექმნა არხი „ტელეგრამზე“, ასვეე ჯგუფები „ვაიბერსა“ და „უოტსაპზე“ და გამომწერებს სთხოვა მათი ვიდეოების ყურება ამ პლატფორმებზე გაეგრძელებინა. გარდა ამისა, მათ შექმნეს აპლიკაცია „ალტ-ინფო“, რომლის გამოყენებით მათი ვიდეოების ყურება და სტატიების კითხვა იყო შესაძლებელი.[174] 2020 წლის შემოდგომაზევე „ალტ-ინფომ“ მიმართა „საქართველოს კომუნიკაციების კომისიას“ და მიიღო მაუწყებლობის ლიცენზია სატელევიზიო არხ „ალტ-ტვ“-თვის.[175]

„ალტ-ტვ“-ის მაუწყებლობა 2021 წლის დასაწყისში დაიწყო. მათთვის ჩვეული ანტი-დასავლური და ანტი-ლიბერალური გზავნილების გარდა, „ალტ-ტვ“ აქტიურად თანამშრომლობდა რუს პროპაგანდისტებთან მაქსიმ შევჩენკოსთან, ალექსანდრე დუგინთან, იაკოვ კაზაკოვთან (იგივე იაკოვ კედმი), ანატოლი ვასერმანთან და სხვებთან.[176]

---

[169] Eto Buziashvili, “Anti-LGBT Facebook Posts Proliferate in Georgia Before Tbilisi Pride”, *Digital Forensic Research Lab* (*DFRLab*), 7 May (2019), https://medium.com/dfrlab/anti-lgbt-facebook-posts-proliferate-in-georgia-before-tbilisi-pride-4bf9056acd71.

[170] Ibid.

[171] “P’rop’agandist’uli narat’ivebi Facebook-ze 2018 ts’lis archevnebis p’eriodshi”.

[172] Eto Buziashvili, “Georgian Far-Right Group Expands Facebook Presence ahead of Elections, *Digital Forensic Research Lab* (*DFRLab*), 15 June (2020), https://medium.com/dfrlab/georgian-far-right-group-expands-facebook-presence-ahead-of-elections-542df928d3fb.

[173] “October 2020 Coordinated Inauthentic Behavior Report”, *Facebook*, 5 November (2020), https://about.fb.com/wp-content/uploads/2020/11/October-2020-CIB-Report.pdf. It must be stressed, however, that many other Georgian political stakeholders, including the ruling GD, its main rival UNM, as well as the APG, GM and some others, ran CIB networks on Facebook to promote their political agendas, so the use of CIB can hardly be limited to Alt-Info.

[174] Givi Gigitashvili, “Georgian Far-Right Group Moves to Messaging Apps after Multiple Facebook Takedowns”, *Digital Forensic Research Lab* (*DFRLab*), July 2, 2021, https://medium.com/dfrlab/georgian-far-right-group-moves-to-messaging-apps-after-multiple-facebook-takedowns-2c6437e30f92.

[175] “Trends: Post-Election Shifts in Georgian Media”, *Civil Georgia,* 26 February (2021), https://civil.ge/archives/400897.

[176] Mariam Dangadze, “Alt-TV’s Russian Line: Guests from ‘Putin’s List’”, *Myth Detector*, 19 February (2021), https://mythdetector.ge/en/alt-tv-s-russian-line-guests-from-putin-s-list/.

„ალტ-ინფოს“ მედია საშუალებების განსაკუთრებულად ხშირი სტუმარი რუსული ფაშიზმის ცნობილი იდეოლოგი ალექსანდრე დუგინი იყო, რაც „ალტ-ინფოს“ მიერ კრემლის პოლიტიკის ღიად მხარდაჭერას მიანიშნებდა. 2008 წლის აგვისტოში დუგინი რუსეთის საქართველოზე თავდასხმის მისალმებით არ შემოიფარგლა, ქართველებს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გენოციდში დასდო თავხედურად ბრალი და რუსეთის ხელისუფლებას თბილისის დაკავება მოსთხოვა.[177] 2008 წელს გაკეთებულ მოწოდებებზე „ალტ-ინფოსთან“ საუბრისას დუგინმა განაცხადა, რომ რუსეთის მმართველთა მიერ მისი იმდროინდელი რჩევის გათვალისწინების შემთხვევაში იმ საქართველოსა და დღევანდელ, „ქართული ოცნების“ მიერ მართულ, საქართველოს შორის დიდი განსხვავება არ იქნებოდა, რითიც იგულისხმა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკა რუსულ ინტერესებთან სრულ თანხვედრაში იყო.[178] 2021 წლის იანვარში, „ალტ-ინფოს“ სატელევიზიო არხთან ინტერვიუში მან გაიმეორა, რომ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საქართველოს გასაღები არა დასავლეთში, არამედ მოსკოვში იყო და უკეთესი იქნებოდა „მართლმადიდებელ რუსეთთან“ კავშირი, ვიდრე „ამერიკის კოლონიად“ ყოფნა: დასავლეთს არ ძალუძს საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნება და საქართველოს რეგიონის სხვა ქვეყნებში არეულობის მოსაწყობად გამოიყენებს.[179]

„ალტ-ინფოს“ იდეოლოგიური პოზიციების და მათ მიერ კრემლის დღის წესრიგის ღიად გატარების გათვალისწინებით, არავის გაკვირვებია ამ მედია საშუალებების მიმართ დუგინის თანამზრახველის და ეთნო-რელიგიური აქტივისტის, ლევან ვასაძის მხარდაჭერა, რომელსაც ის 2021 წლიდან გამოხატავდა საჯაროდ.

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვამდე, საქართველოში, რუსეთსა და შეერთებულ შტატებში[180] განათლებამიღებული ლევან ვასაძე საზოგადოებას რუსეთში გამდიდრებულ წარმატებულ ბიზნესმენად აცნობდა თავს.[181]

2013 წელს პუტინის რეჟიმის „კონსერვატორული გადახვევის“ პერიოდში, რაც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ანტი-დასავლური განწყობების გასაძლიერებლად რელიგიური და ჰომოფობიური მიდგომების გავრცელებას ითვალისწინებდა, ვასაძემ „საქართველოს დემოგრაფიული რენესანსის ფონდის“ შექმნაზე დაიწყო მუშაობა.[182] მომდევნო წელს ის ამ ფონდის თანადამფუძნებელი გახდა. ფონდმა 2015 წელს სახელი შეიცვალა და „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“ გახდა.[183]

ამ “დემოგრაფიული“ ინიციატივების მთავარი მიზანი ქართველებს შორის მათი ერის გადარჩენის შესახებ ფსიქოლოგიური შიშების გაღვივებაა, თუმცა ვასაძის როლს ამ პროექტებში გეოპოლიტიკური განზომილებაც აქვს. 2016 წელს მან თბილისში ანტი-ლგბტ, “ოჯახური ღირებულებების“ მხარდამჭერი

---

[177] Anton Shekhovtsov, “Aleksandr Dugin’s Neo-Eurasianism: The New Right *à la Russe*”, *Religion Compass*, Vol. 3. No. 4 (2009), pp. 697-716 (698).

[178] “‘Otsneba dzalian sasargebloa’ – rogor apasebs dugini ivanishvils da kartul otsnebas”, *Tabula*, 11 July (2020), https://tabula.ge/ge/news/649640-otsneba-dzalian-sasargebloa-rogor-apasebs-dugini.

[179] Nika Shekeladze, Tamar Kintsurashvili, “Dugini: ‘zogiert shemtkhvevashi chven idzulebulebi vkhdebit’...”, *Myth Detector*, 4 February (2021), https://mythdetector.ge/ka/dugini-zogierth-shemthkhvevashi-chven-idzulebulebi-vkhdebith/.

[180] Svetlana Alimova, “Businessman Levan Vasadze Determines to Enter Politics”, *Georgian Public Broadcaster*, 6 May (2021), https://1tv.ge/lang/en/news/businessman-levan-vasadze-determines-to-enter-politics/.

[181] Tamuna Gegidze, “K’omblit sheiaraghebuli chokhosnis rusuli ts’arsuli da k’avshirebi mmartvel gundtan”, *ON.ge*, 15 June (2021), https://on.ge/story/82777-კომბლით-შეიარაღებული-ჩოხოსნის-რუსული-წარსული-და-კავშირები-მმართველ-გუნდთან.

[182] “Levan vasadze ‘demograpiuli aghordzinebis pondis’ sametvalq’ureo sabch’os ukhelmdzghvanelebs”, *Netgazeti*, 16 July (2013), https://netgazeti.ge/news/23752/.

[183] “Georgian Demographic Society”, *Myth Detector*, 9 June (2017), https://mythdetector.ge/en/profiles/georgian-demographic-society-xxi/.

ორგანიზაციის „ოჯახების მსოფლიო კონგრესის“ ყოველწლიურ შეხვედრას უმასპინძლა, რომელიც შემდეგი დასახელებით გაიმართა: „ცივილიზაცია გზაჯვარედინზე: ბუნებრივი ოჯახი, როგორც თავისუფლებისა და ადამიანური ღირებულებების დასაყრდენი“.[184] ყრილობაზე გამოსვლისას ვასაძემ განაცხადა: „რუს ხალხთან ერთად ჩვენ მოვიცილეთ ჯერ ფაშიზმი, მერე კომუნიზმი, რომლებიც ორივე დასავლეთიდან მოვიდა. იქამდე, ქრისტიანულმა რუსეთმა ქრისტიანული საქართველო გადაარჩინა განადგურებას“. ვასაძის შეხედულებაში დასავლეთი პასუხისმგებელი იყო „ვარდების რევოლუციაზეც“, რომელმაც სააკაშვილი მოიყვანა ხელისუფლებაში 2004 წელს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეტევებზეც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე.[185] ვასაძის განცხადებები არაფრით განსხვავდებოდა კონგრესის რუსული ორგანიზაციის გზავნილებისგან. მოსკოვიდან ჩამოსულ დელეგაციას თბილისში კრემლთან დაახლოებული რუსი ბიზნესმენის, კონსტანტინე მალოფეევის ახლო გარემოცვის წევრი, ალექსეი კომოვი წარმოადგენდა. ცნობილი იყო მალოფეევის ახლო კავშირებზე დუგინთან, რომელთანაც ის, სულ ცოტა, 2013 წლიდან თანამშრომლობდა.[186]

ვასაძე 2019 წლის „თბილისი პრაიდის“ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საჯარო კრიტიკოსი იყო და დედაქალაქში „გეი პროპაგანდის“ გავრცელების აღსაკვეთად ქამრებით აღჭურვილი დაჯგუფებების შექმნის წინადადებაც კი წამოაყენა. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური კონტროლის ქვეშ მყოფმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „დაიწყეს მოკვლევა ლევან ვასაძის განცხადების საფუძველზე“, მაგრამ ამ მოკვლევას მსვლელობა არ მისცემია.[187]

ამის შემდეგ ლევან ვასაძე ქართულ ანტილგბტ მოძრაობებში გამორჩეულ ფიგურად იქცა.[188] ჰომოფობიური აქტივიზმიდან სარგებლის მიღების მიზნით ვასაძემ ახალი სოციალური მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედი“ ჩამოაყალიბა (აბრევიატურით „ერი“).[189]

„ერის“ ღირებულებებს და მიზნებს შორის გამოყოფილი იყო „ქვეყნის დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესება“; „ქვეყნისთვის საზიანო ყველა არატრადიციული და არაადამიანური მანკიერების პრევენცია“; „საქართველოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“.[190] 2019 წელს ვასაძე ამტკიცებდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაცია რუსეთის თანხმობის გარეშე ვერ მოხდებოდა, მაგრამ „ეს შესაძლებელი იყო დასავლეთის ნების გარეშე“; შესაბამისად, საქართველომ „უარი უნდა თქვას ნატოში ინტეგრაციაზე“.[191]

ვასაძის „ალტ-ინფოსთან“ თანამშრომლობის და მის მოძრაობასა და მორგოშიას ჯგუფს შორის არსებული მრავალფეროვანი

[184] Lela Kunchulia, “Ra k’avshiria ojakhis sits’mindistvis brdzolasa da rusetis int’eresebs shoris?”, *Radio tavisupleba*, 17 May (2016), https://www.radiotavisupleba.ge/a/ojakhis-sitsminde-da-rusetis-interesebi/27741333.html.

[185] “Vasadzis homopobiuri da ant’idasavluri gamosvla k’ongresze, romelsats p’at’riarkits ests’reba”, *ON.ge*, 16 May (2016), https://on.ge/story/647-ვასაძე.

[186] Shekhovtsov, *Russia and the Western Far Right*, p. 143.

[187] “MIA Investigates Vasadze over Forming a Vigilante Group”, *Civil Georgia,* 17 June (2019), https://civil.ge/archives/308884.

[188] “Update: Two Parallel Rallies in Tbilisi Last till Sunrise”, *Civil Georgia,* 9 September (2019), https://civil.ge/archives/312483; “Hate Groups Out to Disrupt Gay-Themed Film Premiere”, *Civil Georgia,* 6 November (2019), https://civil.ge/archives/325261.

[189] “Ultra-Conservative Businessman Announces Going into Politics”, *Civil Georgia,* 6 May (2021), https://civil.ge/archives/418298.

[190] “Chvens shesakheb”, *Ertoba*, *raoba*, *imedi*, 6 May (2021), https://eri.ge/about/.

[191] Shorena Khvichia, “Vis tamashss tamashobs levan vasadze”, *Imedi*, 23 June (2019), https://www.imedi.ge/ge/video/39399/vis-tamashss-tamashobs-levan-vasadze.

კავშირების გათვალისწინებით,[192] მიმომხილველთა ნაწილი ვარაუდობდა, რომ ის დაყოფილი ქართველი ულტრა-მემარჯვენეების გაერთიანებას შეეცდებოდა.[193] როგორც ჩანს, რუსულ მედიას ასეთი შედეგის იმედი ჰქონდა: ვასაძეს აქტიურ საინფორმაციო მხარდაჭერას უწევდა და მას „ანტი-ლიბერალ მართლმადიდებელ ქრისტიანად" და „აბორტის მოწინააღმდეგე მორწმუნედ" მოიხსენიებდა, რომელიც იცავდა საქართველოს დასავლეთის გავლენისგან და საქართველოს სხვა პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, „ყველაფერზე წინ ოჯახურ ღირებულებებს აყენებდა".[194]

2021 წლის 5 ივლისის „თბილისი პრაიდის" წინ ვასაძის „ერმა" და მორგოშიას „ალტ-ინფომ", საქართველოს საპატრიარქოს რამდენიმე მღვდელთან ერთად, დაიწყეს პრაიდის მონაწილეების წინააღმდეგ ძალადობის, ხოლო ევროკავშირის დროშების მიმართ ვანდალიზმის აქტების წახალისება.[195] მათ აგრესიულ რიტორიკას მალევე შეუერთდნენ ულტრა-მემარჯვენეთა სხვა ჯგუფები და თავად დუგინიც, რომელიც მიესალმა „თბილისი პრაიდის" წინააღმდეგ დაწყებულ ძალადობის კამპანიას.[196]

პრაიდის ჩატარების დღეს ულტრა-მემარჯვენეები და რადიკალი სასულიერო პირები თავს ძირითადად ჟურნალისტებს ესხმოდნენ. მათი მოქმედება კოორდინირებული ჩანდა. 2021 წლის 5 ივლისს დაშავებული 55 ადამიანიდან, 53 ჟურნალისტი იყო,[197] ლგბტ ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან დაშავებულთა შორის არავინ გამოჩნდა.[198] თბილისის ქუჩებში ჟურნალისტებს გამოდევნებული თავდამსხმელები რადიოგადამცემებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. არაერთი თვითმხილველი დარჩა გაკვირვებული ქალაქში ჟურნალისტების ადგილსამყოფელის შესახებ მათი ინფორმირებულობის მაღალი ხარისხით, რაც ხელისუფლებასთან კოორდინაციის შთაბეჭდილებას ტოვებდა.[199] „ქართული ოცნების" მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობის ფონზე, ძალადობის შეჩერებისთვის ყველა საჭირო ბერკეტის მფლობელი პოლიცია უმოქმედოდ ადევნებდა თვალს თბილისი ქუჩებში მომხდარ ძალადობის ეპიზოდებს.[200] რამდენიმე თავდამსხმელის დაკავების მიუხედავად, სასამართლოებმა მოძალადეთა ჯგუფების ლიდერების მიმართ მკაცრი ზომები არ გამოიყენეს.[201]

ჟურნალისტებზე თავდასხმების შემდეგ, „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებულმა თანამდებობის პირებმა და პოლიტიკოსებმა ძალადობის ხარისხის მიჩქმალვა სცადეს. მათი კომენტარები პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. „დაუშვებელი პროვოკაციები" პრემი-

---

192 Shota Kincha, "Georgia's Trump-Loving Alt-Right Begin Broadcasting on TV", *OC Media*, 11 February (2021), https://oc-media.org/features/georgias-trump-loving-alt-right-begin-broadcasting-on-tv/; "The Vandalic Calls of the Supporters of Levan Vasadze's 'Alt-Info' and 'ERI'", *Myth Detector*, 26 July (2021), https://mythdetector.ge/en/the-vandalic-calls-of-the-supporters-of-levan-vasadze-s-alt-info-and-eri/.

193 "Levan Vasadze's Quest to Consolidate Georgia's Extreme Right", *Civil Georgia,* 2 June (2021), https://civil.ge/archives/421791.

194 Eto Buziashvili, "Georgian Tycoon Enters Politics as Pro-Kremlin Outlets and Georgian Far-Right Promote Him Online", *Digital Forensic Research Lab* (*DFRLab*), 26 May (2021), https://medium.com/dfrlab/georgian-tycoon-enters-politics-as-pro-kremlin-outlets-and-georgian-far-right-promote-him-online-febb6bf4b487.

195 Sopo Gelava, Eto Buziashvili, "Online Calls for Attacks against Georgia's LGBTQ Community Result in Offline Violence", *Digital Forensic Research Lab* (*DFRLab*), https://dfrlab.org/2021/07/23/online-calls-for-attacks-against-georgias-lgbtq-community-result-in-offline-violence/.

196 Ani Kistauri, Sandro Gigauri, "Aleksandr Dugin's Facebook Support to the Tbilisi Violent Demonstration", *Myth Detector*, 28 July (2021), https://mythdetector.ge/en/aleksandr-dugin-s-facebook-support-to-the-tbilisi-violent-demonstration/.

197 "Hate Groups Take down, Burn European Flag at the Parliament", *Civil Georgia,* 7 July (2021), https://civil.ge/archives/430973; "Judge Denies Bail to Those Accused of Attacking Journalists in Georgia", *JAM News*, 9 July (2021), https://jam-news.net/judge-denies-bail-to-those-accused-of-attacking-journalists-in-georgia/.

198 Author's interview with Eto Buziashvili.

199 Author's interview with Tamar Kintsurashvili, Executive Director of the Media Development Foundation, 12 February 2024.

200 Author's interview with Nino Bakradze, Founding Editor of the Investigative Journalists' Team iFact, 29 January 2024.

201 Genté, "Broken Dream".

ერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა „თბილის პრაიდის“ წარმომადგენლებს და სააკაშვილთან დაკავშირებულ „აქტივისტებს“ დააბრალა.[202] „ქართული ოცნების“ იმდროინდელმა თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე, შეთქმულების თეორიას ავრცელებდა და იმეორებდა, რომ „თბილისი პრაიდი“ „არა ვინმეს უფლებების დასაცავად, არამედ მის უკან მდგარი სუბიექტური ინტერესების სასარგებლოდ“ იმართებოდა.[203] ლგბტ აქტივისტების პროდასავლელ პოლიტიკურ ოპოზიციასთან ასოცირებით „ქართული ოცნების“ ლიდერები ულტრა-მემარჯვენეთა რიტორიკას იმეორებდნენ, რომლებიც ამას ჯერ კიდევ 2019 წელს, „პრაიდის კვირეულის“ გაუქმებისას აკეთებდნენ, როცა ერთმანეთთან აიგივებდნენ ლგბტ აქტივისტებს და „გავრილოვის ღამის“ პროტესტანტებს.

ეთნო-რელიგიური ნაციონალისტების მიერ 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტთა მიზანმიმართული დევნა, მათზე ძალადობა და ამ დაჯგუფებების ლიდერთა დაუსჯელობა ორ ერთმანეთთან კავშირში მყოფ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. პირველი, დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ სიძულვილის კამპანიაა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლიდანვე დაიწყო. ამ კამპანიის საწყის წერტილად დამოუკიდებელი მედიის ბოიკოტი, მათთვის „ქვეყნის მოღალატეების“ ძახილი და დემონიზაცია შეიძლება ჩავთვალოთ.[204] მეორე კონტექსტი „ქართული ოცნების“ მიერ ძალადობის აქტების არასამთავრობო ძალებისთვის დელეგირებაა, ეს „მათ შიდა და გარე ლეგიტიმაციის შენარჩუნებაში და ამ გზით საკუთარი მმართველობის გახანგრძლივებაში ეხმარება“. როგორც ჩანს, პარტიამ ულტრა-მემარჯვენეები და რადიკალი სასულიერო პირები ამ ფუნქციით დატვირთა და პროტესტებისა და დემონსტრაციების საწინააღმდეგოდ იყენებდა.[205]

„თბილისი პრაიდის“ დარბევის კომენტირებისას, „ალტ-ინფოელი“ კონსტანტინე მორგოშია ტრაბახობდა: „5 ივლისს მთელი მსოფლიო შეესწრო ლიბერალური დიქტატურის დასასრულის დასაწყისს, და დაინახა, რომ ერის გადაგვარებისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის უცხოეთიდან ჩარიცხული მილიარდები არაფრის მომტანია“.[206]

თბილისში გამართული ძალადობრივი კონტრ-მანიფესტაციების გამართვიდან ორი თვის შემდეგ, „ალტ-ინფოს“ ლიდერი გიორგი ქარდავა მოსკოვში გაემგზავრა, სადაც „ალტერნატივა საქართველოსთვის“ წარმომადგენლებსა და რუს მაღალჩინოსნებს შორის შეხვედრები უნდა დაეგეგმა. პირველი შეხვედრა ერთი თვის შემდეგ უნდა გამართულიყო.[207] ამ დროისთვის არ არსებობს მტკიცებულება, რომ ასეთი შეხვედრა 2021 წლის შემოდგომაზე შედგა, თუმცა ამ პერიოდში უფრო მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობდა. 2021 წლის 20 ნოემბერს მორგოშიამ და მისმა თანამოაზრეებმა თბილისში გამართეს კონგრესი, სადაც გამოაცხადეს, რომ „ალტ-ინფო“ და „ალტერნატივა საქართველოსთვის“ პოლიტიკურ პარტია „კონსერვატიულ მოძრაობად“ გარდაიქმნებოდა. „ალტერნატივა საქართველოსთვის“ ლიდერები - ზურაბ მახა-

[202] “A State-Sanctioned Attack on Georgia’s Free Press”, *OC MEdia*, 6 July (2021), https://oc-media.org/opinions/editorial-a-state-sanctioned-attack-on-georgias-free-press/; “Garibashvili on LGBT Pride: ‘95% against Propagandistic Parade’”, *Civil Georgia,* 12 July (2021), https://civil.ge/archives/431658.

[203] “A State-Sanctioned Attack on Georgia’s Free Press”.

[204] Author’s interview with Nino Bakradze.

[205] Teona Zurabashvili, “From Delegating the Coercion to Non-State Actors to the Idea of ‘Sovereign Democracy’”, *The Georgian Institute of Politics*, 25 November (2021), https://gip.ge/publication-post/from-delegating-the-coercion-to-non-state-actors-to-the-idea-of-sovereign-democracy/.

[206] “Alt-Right Inaugurates Anti-Liberal, Russia-Friendly Party”, *Civil Georgia,* 20 November (2021), https://civil.ge/archives/456863.

[207] Irakli Jankarashvili, “Alt’ernat’iva sakartvelos aghmasrulebeli mdivani – giorgi kardava mosk’ovshi sakmiani vizit’it gaemgzavra”, *Tvalsazrisi*, 1 September (2021), https://tvalsazrisi.ge/ალტერნატივა-საქართველო-2/.

რაძე, გიორგი ქარდავა და შოთა მარტინენკო - „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფიციალურ ლიდერებად იქცნენ. მიუხედავად გავრცელებული ხმებისა, ლევან ვასაძე არ შეუერთდა მორგოშიას პარტიულ-პოლიტიკურ მოძრაობას. ამის მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობის მოულოდნელი გაუარესება დასახელდა.[208]

„კონსერვატიულმა მოძრაობამ“ გამოაცხადა, რომ ქართული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის მათი ამოცანა „საქართველოში ლიბერალური იდეოლოგიის დიქტატურის დასრულება და ქვეყნისთვის ორგანული კულტურული წესრიგის დამკვიდრება იყო“.[209] ამ ამოცანის შესრულებას „თავსმოხვეული ფსევდო-იდენტობის მიღების მცდელობების შეწყვეტა და „რეალპოლიტიკის“ ლოგიკით მოქმედება“ სჭირდება, რაც „რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციას“ გულისხმობს.[210]

„კონსერვატიული მოძრაობის“ დაფუძნებას მიესალმა პუტინის რეჟიმის წარმომადგენელი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ყაზბეგ ტაისაევი:

„ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ისეთი პარტიის შექმნას, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგის განახლებას ემხრობა. [...] აუცილებელია დასავლეთის იდეოლოგიის დომინირებასთან ბრძოლა საქართველოში, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს ახალგაზრდა თაობის ღირებულებებსა და მიდრეკილებებზე. მათი გავლენის გაძლიერებით დაინტერესებული ამერიკელი ვასალები დიდი ხანია აკონტროლებენ ქვეყანას და არ სურთ ადგილის დათმობა. დროა ამას ბოლო მოეღოს“.[211]

2022 წლის 21 იანვარს ტაისაევმა უმასპინძლა ვიდეო-კონფერენციას „რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების პოზიტიური განვითარების შესაძლებლობები“, რომელშიც „კონსერვატორული მოძრაობის“ რამდენიმე წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის მახარაძე, ქარდავა და მარტინენკო.[212] შესავალ სიტყვაში მახარაძე ამტკიცებდა, რომ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა ქართულ ეთნო-რელიგიურ იდენტობას, რომლისთვისაც ქართველების არაერთ თაობას ჰქონდა გაწირული თავი, როცა რუსეთთან თანამშრომლობა ამ იდენტობის შენარჩუნების შესაძლებლობას ქმნიდა.[213] მისი აზრით, საქართველოსთან მეგობრობა რუსეთს მულტიპოლარულ სამყაროში მიზიდულობის ერთ-ერთი ცენტრის სტატუსს გაუძლიერებს.[214] გარდა ამისა, „ახალი ცივი ომის“ პირობებში, რომელშიც ყველა ქვეყანას უწევდა ამა თუ იმ მხარეს დადგომა, „კონსერვატიული მოძრაობა“ „მტრის ბაზების მქონე ქვეყნის ნაცვლად საქართველოს რუსეთის მოკავშირედ“ აქცევდა.[215] მახარაძის განცხადებები ცხადყოფდა, რომ სხვა ულტრა-მემარჯვენეებისგან განსხვავებით, რომლებიც პრორუსულ განწყობებს ავლენდნენ, მაგრამ საქართველოს თუნდაც ფორმალური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებაზე საუბრობდნენ, „კონსერვატიული

[208] “Levanu Vasadze diagnostirovali ochen’ redkoe i tyazheloe zabolevanie”, *Sputnik Gruziya*, 20 July (2021), https://sputnik-georgia.ru/20210720/Levanu-Vasadze-diagnostirovali-ochen-redkoe-i-tyazheloe-zabolevanie-252366796.html.

[209] “P’art’ia ‘k’onservat’iuli modzraobis’ ideologiuri da p’olit’ik’uri gegmebi”, *K’onservat’iuli modzraoba*, https://web.archive.org/web/20221201041241/https://conservativemovement.ge/პარტიის-შესახებ/.

[210] Ibid.

[211] “Kazbek Taysaev o poyavlenii novoy partii ‘Konservativnoe dvizhenie’ v Gruzii, *Kommunisticheskaya partiya Rossiyskoy Federatsii*, 23 November (2021), https://kprf.ru/party-live/cknews/206780.html.

[212] “Tsentral’ny sovet SKP-KPSS provel krugly stol na temu: ‘Vozmozhnosti pozitivnogo razvitiya otnosheniy mezhdu Rossiey i Gruziey’”, *Kommunisticheskaya partiya Rossiyskoy Federatsii*, 21 January (2022), https://kprf.ru/kpss/208055.html.

[213] “Rusetis dumis dep’ut’at’ebis da ‘k’onservat’iuli modzraobis’ ertoblivi k’onperentsia kartul-rusul urtiertobebtan dak’avshirebit mrgvali”, *Facebook*, 21 January (2022), https://www.facebook.com/watch/?v=353098136349803.

[214] Ibid.

[215] Tamar Kintsurashvili, “Anti-Western Propaganda 2022” (Tbilisi: Media Development Foundation, 2024), https://mdfgeorgia.ge/uploads//AntiWest-Booklet-ENG-web.pdf, p. 49.

მოძრაობა“ რუსეთთან სამხედრო ალიანსის მხარდამჭერი იყო.[216]

ამ პარტიის მესვეურთა რუსეთში ვიზიტები განსაკუთრებით გახშირდა 2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შემდეგ. 2022 წლის მარტში მორგოშიამ განაცხადა, რომ ის რუსეთში პარტიულ დელეგაციასთან ერთად მიემართებოდა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოსაგვრებლად“ და დაამატა, რომ „მალე პარტია ფინანსურად გამართული იქნებოდა, რადგან გამოჩნდა ხალხი, მათ შორის რუსეთში, რომელიც მათ მხარს დაუჭერდა“.[217] მორგოშიას არ დაუზუსტებია, თუ ვის ხვდებოდა მათი დელეგაცია მოსკოვში ან ვინ გაუწევდა დახმარებას რუსეთიდან მათ პარტიას.[218]

გარდა ამისა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მორგოშიას პარტიამ მათი საჯარო კომუნიკაცია რუსეთის პუტინისტურ მედიასთან სრულ თანხვედრაში მოიყვანა. ეს ძირითადად რუსეთის სამხედრო უპირატესობის, დასავლეთის მიერ უკრაინის მიტოვების და უკრაინელთა წინააღმდეგობის უაზრობის ხაზგასმაში გამოიხატებოდა. ისინი ამკვიდრებენ აზრს, რომ ორ „მოძმე“ ერს შორის კონფლიქტი დასავლეთის გაღვივებულია და რუსული ძალები განგებ არ აყენებენ დარტყმებს სამოქალაქო ინფრასტრუქტურას, როცა უკრაინა დეზინფორმაციას ავრცელებს საინფორმაციო ომის მოსაგებად.[219]

2022 წლის ზაფხულში მარტინენკო და ქარდავა მონაწილეობდნენ მოსკოვში, რუსული ულტრანაციონალისტური გამომცემლობა „შავი ასეულის“ წიგნის მაღაზია „ლისტვაში“ გამართულ საჯარო დისკუსიაში.[220] განცხადების თანახმად, მათ უნდა განეხილათ, თუ როგორი იყო ცხოვრება „ლიბერალურ ქვეყანაში, რომელსაც ამერიკის ელჩი მართავს, ხოლო გლობალისტური იდეოლოგიური კურსი ქართული და ქრისტიანული იდენტობის გათელვას გულისხმობს“.[221]

2022 წლის ოქტომბერში მორგოშიამ ქართულ მედიას შეატყობინა, რომ ის რუსეთში მიემგზავრებოდა რამდენიმე კვირით, რათა იაქ სამშენებლო ბიზნესი დაეწყო, თუმცა აგრძელებდა პარტიის დაფინანსებას.[222] როგორც ჩანს, მორგოშია მოსკოვში პარტიულ დელეგაციასთან ერთად რუს მაღალჩინოსნებთან კონტაქტების დასამყარებლად ჩავიდა.

12 ოქტომბერს „კონსერვატიული მოძრაობის“ დელეგაციამ მათი პარტია წარადგინა კონფერენციაზე „საქართველო და ევრაზი-

[216] Ibid., p. 55.

[217] “Morgoshia: alt’-inpo rusetshi p’olit’ik’ur dzalebtan molap’arak’ebebze miemgzavreba”, *Formula News*, 14 March (2022), https://formulanews.ge/News/66554; Shota Kincha, “Georgian Extremist Group Plan Their Second Visit to Moscow”, *OC Media*, 14 March (2022), https://oc-media.org/georgian-extremist-group-plan-their-second-visit-to-moscow/.

[218] In November 2021, Morgoshia claimed that the party was predominantly financed by him and businessmen associated with him, adding that they were Georgians and worked in post-Soviet countries including Kazakhstan, Russia and Uzbekistan; see Lela Kunchulia, “‘Momzadeba autsilebelia’ – rat’om kmnis ‘alt’-inpos’ jgupi p’art’ias?”, *Radio tavisupleba*, 17 November (2021), https://www.radiotavisupleba.ge/a/მომზადება-აუცილებელია---რატომ-ქმნის-ალტ-ინფოს-ჯგუფი-პარტიას-/31566251.html. Since then, there has been a number of investigations into the CM’s finances revealing that most of the funding was coming, at least officially, from the party members, their associates, relatives, and other Georgian sources. See, in particular, “Openly Pro-Russian Party Conservative Movement/Alt-Info Has New Donors”, *Democracy Research Institute*, 25 May (2022), https://www.democracyresearch.org/eng/972/; “Activities of the ‘Conservative Movement/Alt Info’ in the Regions of Georgia”, *International Society for Fair Elections and Democracy*, 11 July (2022), https://isfed.ge/eng/blogi/220711014334test; Asatiani, Yusif, “Who Donates Money to the Conservative Movement and from Where?”.

[219] Sandro Gigauri, “Shared Messages of Pro-Kremlin ‘Alt-Info’ and the Russian Mainstream Media around the Ukrainian Crisis”, *Myth Detector*, 10 March (2022), https://mythdetector.ge/en/shared-messages-of-pro-kremlin-alt-info-and-the-russian-mainstream-media-around-the-ukrainian-crisis/.

[220] “Shota Martynenko i Georgiy Kradava: ‘Gruziya – mezhdu Rossiey i Amerikoy: beseda s gruzinskimi konservatorami’”, *Timepad*, 20 July (2022), https://lavka-listva-msk.timepad.ru/event/2109088/.

[221] Ibid.

[222] Sofo Afriamashvili, “Biznesakt’ivobit rusetshi gadavdivar – morgoshia”, *Netgazeti*, 5 October (2022), https://netgazeti.ge/news/634044/.

ული კავშირი: კონფრონტაციული პოლიტიკიდან საერთო კონსტრუქციული დღის წესრიგისკენ“, რომელიც მოსკოვში მდებარე უცნობი არასამთავრობო ორგანიზაციის „ევრაზიული ინტეგრაციის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ იყო ორგანიზებული.[223] კონფერენციის მოწყობისას ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა, ალექსანდრე პავლოვმა, რუსი პოლიტიკოსები და საჯარო მოხელეები მოიწვია, მათ შორის, ალექსანდრ ბაბაკოვი, სერგეი გლაზიევი, კონსტანტინე ზატულინი, ანდრეი კლიმოვი, ევგენი პრიმაკოვი და პიოტრ ტოლსტოი.[224] ყველა მათგანი წარსულში რუსული პოლიტიკური ომის მოქმედებებში მონაწილეობდა ევროპაში, შესაბამისად, ბუნებრივი იყო „კონსერვატიული მოძრაობის“ არჩევანიც.

ტოლსტოი, რომელიც 2016 წლის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეა, „ავსტრიის თავისუფლების პარტიის“ მემარჯვენე რადიკალების პარტნიორი იყო,[225] ხოლო დეპუტატი ბაბაკოვი საკვანძო როლს ასრულებდა საფრანგეთის „ეროვნული ფრონტის“ პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფაში.[226] საბოლოო ჯამში, ზემოჩამოთვლილი რუსი პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირებიდან კონფერენციაზე დასწრებას მხოლოდ გლაზიევი დათანხმდება, რომელიც ამ დროს „ევრაზიის ეკონომიკური კავშირის“ ეკონომიკური კომიტეტის ინტეგრაციისა და მაკროეკონომიკის კომისარია. რუსი ოფიციალური პირების კონფერენციაზე არყოფნა მიუთითებდა, რომ პუტინის რეჟიმს განსაკუთრებული ინტერესი არ ჰქონდა „კონსერვატიულ მოძრაობასთან“ ურთიერთობების გაღრმავების მიმართ.

„კონსერვატიული მოძრაობის“ დელეგაციის ცნობით ამ ვიზიტის დროს ისინი შეხვდნენ რუსეთის ფედერალური საბჭოს წევრს იგორ მოროზოვს, რომელსაც წარსულში „ქართული მარშის“ სანდრო ბრეგაძესთანაც ჰქონდა ურთიერთობა. შეხვედრის შესახებ დამატებითი დეტალები არ გავრცელებულა.[227]

2022 წლის დეკემბრის დასაწყისში პარტიამ, რომელსაც ამ დროს უკვე „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ერქვა, ბაბაკოვთან ურთიერთობების დამყარება კიდევ ერთხელ სცადა. ამ დროს ეს უკანასკნელი რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი იყო საზღვარგარეთ მცხოვრები რუსების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში. როგორც უკრაინული ჰაკერი-აქტივისტების ჯგუფის, „ინფორმნაპალმის“, მიერ გამოქვეყნებულმა ბაბაკოვის ელექტრონულმა მიმოწერამ ცხადყო,[228] ქარდავამ მას 2022 წლის 2 დეკემბერს მისწერა და სთხოვა „დახმარება რუსულ პოლიტიკურ ძალებთან და იმ ორგანიზაციებთან დაკავშირებაში, რომლებიც მზად იქნებოდნენ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების მოგვარებაზე სამუშაოდ“.[229] ქარდავა ამტკიცებდა, რომ მისი პარტია, რომლის მიზანი „საქართველოს განვითარების პროდასავლური კურსის ცვლილება“ და რუსეთთან „მოკავშირული ურთიერთობების“ აღდგენა იყო, დაინტერესებული იქნებოდა რუსულ მხარესთან მრავალმხრივი თანამშრომლობით.[230] კერძოდ, ქარდავა ბაბაკოვს სთხოვდა

[223] “Seminar-konferentsiya ‘Gruziya i Evraziyskiy ekonomicheskiy Soyuz: ot politiki konfrontatsii k sovmestnoy sozidatel’noy povestke’”, *Nauchny tsentr evraziyskoy integratsii*, 12 October (2022), https://eaisc.org/2022/10/12/анонс-12-10-2022-круглый-стол-грузия-и-еврази/.

[224] See Aleksandr Pavlov’s letter to Aleksandr Babakov, 28 September 2022, at https://informnapalm.org/ua/wp-content/uploads/sites/9/2023/08/evraz.pdf.

[225] Shekhovtsov, *Russia and the Western Far Right*, p. 175.

[226] Ibid., p. 197.

[227] “‘Alt’ inpos’ ‘kaming auti’”, *Amerik’is khma*, 28 October (2022), https://www.amerikiskhma.com/a/6810057.html.

[228] “BabakovLeaks: Hacking Alexander Babakov, Deputy Chairman of the Russian State Duma”, *InformNapalm*, 25 August (2023), https://informnapalm.org/en/babakovleaks/.

[229] Giorgi Karadava’s letter to Aleksandr Babakov, 2 December 2022.

[230] Ibid.

დახმარებოდა „კონსერვატიულ მოძრაობას“ საქართველოში „საგანმანათლებლო აქციების ჩატარებაში, რომლებიც ახალგაზრდებს რუსეთისადმი ინტერესს გაუღვივებდა და მეტს გააგებინებდა ამ ქვეყნის შესახებ“. მას იმედი ჰქონდა, რომ ეს ძალისხმევა მათ საერთო ინტერესებს ემსახურებოდა და „კონსერვატიული მოძრაობის“ „მზარდ პოპულარობაზეც“ დადებითად იმოქმედებდა.[231]

ამ დროისთვის არ იძებნება მტკიცებულება, რომელიც გამოააშკარავებდა ბაბაკოვის მიერ ქარდავას პოლიტიკურ თხოვნებზე პასუხს. თუმცა, 2023 წლის იანვარში ბაბაკოვის ადმინისტრაციამ რუსეთის განათლების მინისტრსა და „რუსი თანამემამულეების საერთაშორისო საბჭოს“ თავმჯდომარეს მიმართა წერილებით, რომლებშიც ის მათ საქართველოს „პრორუსული ძალების“ მიერ წარმოდგენილი ინიციატივების მხარდაჭერას სთავაზობდა, მათ შორის, „დიდი სამამულო ომის“ თემატიკაზე ონლაინ შეჯიბრის ჩატარებას.[232] ორივე წერილში ბაბაკოვი ინიციატივას მხარს უჭერდა და წერილის მიმღებებს მონაწილეობას სთავაზობდა. შეჯიბრი 2023 წლის 1 მარტს დაიწყო. საგანგებოდ შექმნილ ვებსაიტზე ეწერა, რომ შეჯიბრი ბაბაკოვის და „რუს თანამემამულეთა საერთაშორისო საბჭოს“ მიერ იმართებოდა.[233] „კონსერვატორული მოძრაობა“ ნახსენები არსად იყო, მაგრამ შეჯიბრის საინფორმაციო მხარდაჭერაში მაინც მონაწილეობდა.[234]

სხვა ულტრა-მემარჯვენე ძალების მსგავსად, „ქართული ოცნების“ მთავრობამ „კონსერვატიული მოძრაობა“ საკუთარი პრორუსულობის შესანიღბად და ოპონენტების სტიგმატიზაციისთვის გამოიყენა: მათთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „კონსერვატორულ მოძრაობაზე“ უფრო საშიშ ძალად რჩებოდა.[235]

ამავე დროს „კონსერვატორული მოძრაობა“ მმართველ ელიტებთან დაახლოების წყალობით მოპოვებული სრული დაუსჯელობით სარგებლობდა. 2022 წლის გაზაფხულზე, თბილისში არსებულმა „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“, რომელიც „კონსერვატორული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ძალადობის, მუქარებისა და ძალადობისკენ წახალისების ფაქტებს აგროვებდა, განაცხადა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები „საჯაროდ ამბობდნენ უარს“ ულტრა-მემარჯვენე ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე. ამ მიდგომამ „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ ლიდერები პასუხისმგებლობის დაკისრებისგან და მკაცრი სისხლისსამართლებრივი დევნისგან იხსნა.[236]

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ“ „ალტ-ინფოს“ მაუწყებლობაში „ომის პროპაგანდის“ ნიშნები შეამჩნია, მაგრამ „უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ უკრაინაში სამხედრო დანაშაულებების გამართლებით ეს არხი უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა არასრულწლოვნებზე“.[237] გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა წამოაყენა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის განკუთვნილი ინიციატივა, რომლის თანახმად 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი ინციდენტების გამო „კონსერვატიულ მოძრა-

[231] Ibid.

[232] Aleksandr Babakov's letter to Sergey Kravtsov, 16 January 2023; Aleksandr Babakov's letter to Gasan Mirzoev, 17 January 2023.

[233] "Polozhenie o provedenii v Gruzii Mezhdunarodnogo yunosheskogo onlain-konkursa po istorii Velikoy Otechestvennoy voyny 1941-1945 godov", *Konkursy MSRS*, https://web.archive.org/web/20230602123844/http://msrs.quest/statut.

[234] Kintsurashvili, "Anti-Western Propaganda 2022", p. 58.

[235] "GD Chair Claims UNM More Harmful than Russia-Friendly Alt-Right", *Civil Georgia,* 30 March (2022), https://civil.ge/archives/482503.

[236] "Signs of Impunity and Government Loyalty to Alt-Info and Conservative Movement Leaders Are Obvious", *Social Justice Center*, 24 May (2022), https://socialjustice.org.ge/en/products/ashkaraa-dausjelobisa-da-khelisuflebis-loialobis-nishnebi-alt-infosa-da-konservatiuli-modzraobis-liderebis-mimart.

[237] "GD Chair Claims UNM More Harmful than Russia-Friendly Alt-Right".

ობას“ აკრძალვა დაემუქრებოდა.[238] ინიციატივის საპასუხოდ ირაკლი კობახიძემ სახალხო დამცველი გააკრიტიკა და მის ადმინისტრაციას უფლებამოსილებების გადამეტებაში დასდო ბრალი.[239] კობახიძემ განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას“ „კონსერვატიული მოძრაობის“ მიმართ პოლიტიკური სიმპათიები არ გააჩნდა, მაგრამ ულტრა-მემარჯვენეთა პარტიის აკრძალვა „პარტიული თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებაში ჩარევის სერიოზული პრეცედენტი იქნებოდა“.[240]

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მდგომარეობა გაუარესდა 2024 წლის დასაწყისში. პარტიის გარშემო განვითარებული მოვლენების სერია მიუთითებდა, რომ მათი ძლევამოსილი მფარველები ახლა მათ განადგურებას ცდილობდნენ.

2024 წლის 25 იანვარს „ეროვნული აღსრულების ბიურომ“ პარტიას მათზე 2022 წლის ივნისში შემოწირულობების არასწორად დეკლარირების გამო დაკისრებული ჯარიმის[241] დაუყოვნებლივ გადახდა მოსთხოვა.[242] იმ დროს, მორგოშიას განცხადებების მიუხედავად,[243] პარტიამ ჯარიმა არ გადაიხადა, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ საქმეს მსვლელობა არ მისცა, რაც ვერაფრით აიხსნებოდა, გარდა „ქართული ოცნების“ კეთილგანწყობის გამოხატულებით. ამგვარად, 2024 წლის იანვარში იუსტიციის სამინისტროს მიდგომის ცვლილება „ქართული ოცნების“ დამოკიდებულებაში ცვლილებით თუ შეიძლება აიხსნას.

იმ დღეს, როცა „კონსერვატიულმა მოძრაობა/ალტ-ინფომ“ აღსრულების ბიუროსგან ზემოხსენებული შეტყობინება მიიღო, შოთა მარტინენკოს ანგარიში ბიძინა ივანიშვილის დაარსებულ ბანკ „ქართუში“ დაიკეტა. მარტინენკოს თანახმად, ანგარიში „ალტ-ინფოსთვის“ თანხების მოზიდვისთვის გამოიყენებოდა,[244] რაც ბანკის გადაწყვეტილებას, რომელიც ჯარიმის გადახდის მოთხოვნას ემთხვეოდა, შემთხვევითობის საფარს უკარგავდა.

2024 წლის 31 იანვარს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა ბლოგერის, ბექა ვარდოსანიძის, სახლი გაჩხრიკა. ეს ღონისძიება ტერორისტული აქტების ყალბი შეტყობინებების გამოძიების ფარგლებში ჩატარდა. ვარდოსანიძე „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოსთან“ იყო ასოცირებული და „ქართული ოცნების“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა.[245]

2024 წლის აპრილის დასაწყისში ზუგდიდის სასამართლომ 5000 ლარის გირაო დაუწესა ზურაბ მახარაძესა და გიორგი გოგიას ჯგუფური ძალადობის საქმეზე.[246]

და ბოლოს, 2024 წლის 8 აპრილს, საქართველოს საჯარო რეესტრმა დოკუმენტაციასთან დაკავშირებული 2021 წელს დაშვებული შეცდომების გამო გააუქმა „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ პოლიტიკური პარტიის რეგისტრაცია. სააგენტოს გადაწყვეტილება ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე დაწყებულ მოკვლევას მოჰყვა. ბიუროს დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ არაე-

---

[238] “Public Defender’s Statement One Year after July 5 Violence”, *Public Defender* (*Ombudsman*) *of Georgia*, 5 July (2022), https://www.ombudsman.ge/eng/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-2021-tslis-5-ivlisis-dzaladobidan-erti-tslis-shemdeg.

[239] “Public Defender Argues for Banning Far-Right, Pro-Russia Party”, *Civil Georgia,* 5 July (2022), https://civil.ge/archives/499559.

[240] Ibid.

[241] “Iust’itsiis saminist’rom ‘k’onservat’iul modzraoba/alt’-inpos’ jarimis sakhit 232 705 laris dauq’ovnebliv gadakhda mostkhova”, *Alt-Info*, 29 January (2024), https://web.archive.org/web/20240413014008/alt-info.ge/archives/42195.

[242] “Alt-Right Party Fined over Undeclared Funds”, *Civil Georgia,* 6 June (2022), https://civil.ge/archives/494470.

[243] Ibid.

[244] Tata Shoshiashvili, “Georgian Government Orders Far-Right Group Alt Info to Pay Fine”, *OC Media*, 30 January (2024), https://oc-media.org/georgian-government-orders-far-right-group-alt-info-to-pay-fine/.

[245] “Security Raids Residence of Homophobic Blogger Suspected of False Bomb Threat Emails”, *Civil Georgia,* 31 January (2024), https://civil.ge/archives/579957.

[246] “Top Stories in Armenia, Azerbaijan, and Georgia from 1-5 April, 2024”, *JAM News*, 5 April (2024), https://jam-news.net/latest-news-in-armenia-azerbaijan-georgia-local-media-opinions-photo-video/.

რთხელ იყო დაყენებული კორუფციასთან მებრძოლი აქტივისტების მიერ მისი პრემიერ-მინისტრის პირდაპირ დაქვემდებარებაში ყოფნის გამო,[247] რაც აძლიერებდა ამ „ბიუროკრატიულ შეტევის“ „ქართულ ოცნების“ სრული კონტროლის ქვეშ მყოფ სახელმწიფო სააგენტოებთან კავშირს. მორგოშიამ სააგენტოს გადაწყვეტილებას „პოლიტიკურად მოტივირებული“ უწოდა, რაც, დიდი ალბათობით, სინამდვილეს შეესაბამებოდა.[248] გარდა ამისა, როცა ნაკლებად ცნობილი ულტრა-მემარჯვენე „ქართული იდეის“ ლიდერებმა პარტიის ხელმძღვანელობა გაუქმებული „კონსერვატიული მოძრაობა/ალტი-ინფოს“ ყოფილ წევრებს გადააბარეს,[249] საჯარო რეესტრმა „ამ პარტიის გაუქმების პროცედურაც დაიწყო“.[250] ეს მიუთითებდა, რომ „ქართული ოცნება“ მორგოშიას პოლიტიკური პროექტის გაგრძელებას არ აპირებდა.

„კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მიერ „ქართული ოცნების“ კეთილგანწყობის დაკარგვა რამდენიმე პერსპექტივიდან შეიძლება აიხსნას.

ერთ-ერთის თანახმად, „ქართული ოცნება“ თავისებურად, მაგრამ მაინც ითვალისწინებდა ევროკავშირის რჩევებსა და მოთხოვნებს. 2023 წლის 8 ნოემბერს ევროპულმა კომისიამ „2023 წლის გაფართოების პაკეტი“ მიიღო, რომელშიც ერთ-ერთ რეკომენდაციად საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება იყო.[251] კომისიის მოხსენებაში „საქართველო 2023“, რომელიც „გაფართოების პაკეტთან“ ერთად გამოქვეყნდა, აღნიშნული იყო „ჟურნალისტების დისკრედიტაციის მცდელობები და საჯარო თავდასხმები“, რომლებიც, *inter alia,* „რადიკალი ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებისგან“ მოდიოდა; საქართველოს რეკომენდაცია ეძლეოდა „განეხორციელებინა ამ ინციდენტების სწრაფი, მიუკერძოებელი და კანონის შესაბამისი გამოძიება, მათ შორის იმ პირების მიმართ, რომლებიც 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის აქციებს მეთაურობდნენ, რომელთა სამიზნე 50-ზე მეტი ჟურნალისტი აღმოჩნდა“.[252] ამგვარად, შეიძლება დავუშვათ, რომ მისი დასუსტებული პროევროპული პოზიციების გასაძლიერებლად, „ქართულმა ოცნებამ“ მემარჯვენე რადიკალთა საკითხზე ევროკავშირის რეკომენდაციების დაკმაყოფილება მათი პარტიის გაუქმებით გადაწყვიტა. თუმცა ასეთი დაშვება წინააღმდეგობაში მოდის „ქართული ოცნების“ მხრიდან ევროკავშირის გაცილებით მნიშვნელოვანი მოთხოვნების უგულებელყოფის ფაქტებთან: სამოქალაქო საზოგადოებაზე თავდასხმებთან, „უცხოეთის აგენტების“ კანონის მიღებასთან და ა.შ.[253]

ამ შემთხვევაში უფრო რელევანტური მომდევნო ორი ფაქტორის კომბინაცია ჩანს.

- *„ქართული ოცნების“ უარყოფითი მოლოდინები 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების თაობაზე.* „ქართული ოცნება“ საქართველოს ყველაზე პოპულარულ პო-

[247] Shota Kincha, “Political Wing of Georgian Far-Right Alt Info Group De-Registered as Party”, *OC Media*, 8 April (2024), https://oc-media.org/political-wing-of-georgian-far-right-alt-info-group-de-registered-as-party/.

[248] “V Gruzii annulirovana registratsiya partii ‘Konservativnoe dvizhenie’”, *Sputnik*, 8 April (2024), https://sputnik-georgia.ru/20240408/v-gruzii-annulirovana-registratsiya-partii-konservativnoe-dvizhenie-287227587.html.

[249] Mariam Nikuradze, Shota Kincha, “Georgian Far-Right Group ‘Gifted’ New Political Party after Being De-Registered”, *OC Media*, 13 April (2024), https://oc-media.org/georgian-far-right-group-gifted-new-political-party-after-being-de-registered/.

[250] “NAPR Refuses Registration of Alt-Info’s Alternative Party”, *Civil Georgia,* 26 April (2024), https://civil.ge/archives/601643.

[251] “Commission Adopts 2023 Enlargement Package, Recommends to Open Negotiations with Ukraine and Moldova, to Grant Candidate Status to Georgia and to Open Accession Negotiations with BiH, Once the Necessary Degree of Compliance Is Achieved”, *European Commission*, 8 November (2023), https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/news/commission-adopts-2023-enlargement-package-recommends-open-negotiations-ukraine-and-moldova-grant-2023-11-08_en.

[252] “Georgia 2023 Report”, *European Commission*, 8 November (2023), https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/388e01b7-e283-4bc9-9d0a-5600ea49eda9_en?filename=SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf, p. 34.

[253] Ibid., pp. 4, 12, 16.

ლიტიკურ პარტიად რჩება, თუმცა მათი მხარდაჭერა სტაბილურად იკლებს. 2023 წლის ბოლოს „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მხარდაჭერა გამოკითხვებში 3%-ის ნიშნულზე იყო,[254] თუმცა „ქართული ოცნების“ მიერ პრორუსული და ულტრა-მემარჯვენე ამომრჩეველთა საკუთარი თავის ან სატელიტი „ხალხის ძალის“ სასარგებლოდ კონსოლიდაციის მცდელობების ფონზე, ასეთ მოქმედებას აზრი ექნებოდა.[255] დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ არსებობისა და მოქმედებისგან მიღებული სხვადასხვა სარგებლის მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ არჩევანი უფრო მეტად დაქვემდებარებული „ხალხის ძალის“ სასარგებლოდ გააკეთა.

- *ბიძინა ივანიშვილის პირადი კონფლიქტი „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოსთან“ ან მათ ლიდერებთან.* ივანიშვილი ცნობილია ყველაზე მსუბუქი წყენების პირად შეურაცხყოფად მიღებით. 2024 წლის აპრილში გავრცელებულ ვიდეომიმართვაში ლევან ვასაძემ გაკვრით ახსენა ის შეცდომები, რომელთა დაშვებასაც ის რადიკალ მემარჯვენეებს ბიძინა ივანიშვილთან პირად ურთიერთობაში აბრალებდა და ამტკიცებდა, რომ მან იცოდა ივანიშვილის განრისხების მიზეზი.[256]

ის პოლიტიკური და სამართლებრივი პროტექცია, რომლითაც „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ სარგებლობდა 2019-2023 წლებში „ქართული ოცნების“ მიზანმიმართული მოქმედების შედეგად მიღებული პოლიტიკური გარემოს შედეგი იყო. თუმცა, როგორც კი მმართველმა პარტიამ ანალოგიური პოლიტიკური სარგებლის მიღების ალტერნატიული გზა გამონახა, ყოფილი „მოკავშირე“ სწრაფად და საიმედოდ გააქრო.

[254] “P’art’iebis reit’ingi – Edison Research-is k’vleva”, *Formula News*, 29 December (2023), https://formulanews.ge/News/103926.

[255] Kornely Kakachia, Nino Samkharadze, “People’s Power or Populist Pawns? Examining Georgia’s New Anti-Western Political Movement”, *The Georgian Institute of Politics*, 1 December (2022), https://gip.ge/publication-post/peoples-power-or-populist-pawns-examining-georgias-new-anti-western-political-party/.

[256] “Levan vasadze – sit’q’vieri #25: bidzina ivanishvilis sanktsiebi. 26.04.2024”, *Facebook*, 26 April (2024), https://www.facebook.com/erimediagroup/videos/3292864467685407. I am grateful to Tamar Kintsurashvili for referring me to Vasadze’s video.

5. დასკვნა

ნაციონალიზმის მამოძრავებელი ძალა რწმენაა, რომლის თანახმად ეთნო-კულტურული ერთობის გადარჩენისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საუკეთესო გზა ეროვნული თვითგამორკვევით სუვერენული სახელმწიფოს შექმნა ან ასეთი სახელმწიფოს დაცვა და შენარჩუნებაა, თუ ის უკვე არსებობს. ეს ხედვა და რწმენა გამომდინარეობს მსოფლმხედველობიდან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინდივიდის ეთნო-კულტურულ კუთვნილებას, თემს, რომელიც, თავის მხრივ სიკვდილისა და გადაშენების შიშის წინააღმდეგ გამოყენებადი ფარია: ინდივიდის თემთან იდენტიფიკაცია და ამ სიმბოლური უკვდავების განმტკიცებაში საკუთარი წვლილის შეტანა მისი ფიზიკური არსებობის მისი ერის არსებობასთან ერთად გაგრძელებაა.

ამგვარად, ნაციონალიზმი ის ძალაა, რომელიც ძნელბედობის ჟამს საკუთარი ერის გადასარჩენად სიცოცხლის გაწირვის სტიმულად იქცევა ხოლმე. როცა ინდივიდები საკუთარი ერის გადასარჩენად სიცოცხლეს თმობენ, მათ სჯერათ, რომ ისინი საკუთარ ფიზიკურ არსებობას მათი ერის არსებობის გზით გაიგრძელებენ. ანალოგიური მოტივებით იხსნება ხალხის თავგანწირვა თავისუფლებისთვის, სოციალური სამართლიანობისთვის, რელიგიური რწმენისთვის, სამეცნიერო პროგრესისთვის და ა.შ. - ყველა ამ შემთხვევაში ინდივიდუალურ სიკვდილზე მნიშვნელოვანი დიადი მიზანია: ამ მიზნის მიღწევა ამართლებს ინდივიდის სიკვდილს, ამარცხებს მას.

ამავე დროს, ნაციონალიზმი ფსიქოლოგიურად ბრმაა. ის ფსიქოლოგიური ძალისხმევა, რომელიც ერის საკეთილდღეოდ სიკვდილის შიშის დასათრგუნადაა აუცილებელი, შესაძლოა გამოვლინდეს ეროვნული-განმათავისუფლებელი ბრძოლის, ერის იმპერიული ამბიციების, ერ-სახელმწიფოში ეთნო-კულტურული უმცირესობების ჩაგვრის, ან პირიქით, უმცირესობათა ტრადიციების გაცოცხლების სახით მულტიეთნიკურ საზოგადოებაში.

ნაციონალიზმის სწორედ ეს ძალა და ფსიქოლოგიური სიბრმავე ხდის მას პოლიტიკური იდეოლოგიების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კომპონენტად - როგორც მაიკლ ფრიდენი ამტკიცებდა, ნაციონალიზმები „მათ მიმღებ იდეოლოგიებში გამაპატიოსნებელ, გამაძლიერებელ და განმამტკიცებელ ფუნქციებს ასრულებენ“[257], იქნება ეს კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი, სოციალიზმი, ფაშიზმი თუ ნებისმიერი სხვა სრულფასოვანი იდეოლოგია. როცა საქმე სხვადასხვა სახის ულტრა-მემარჯვენე იდეოლოგიას ეხება, ნაციონალიზმი მათ საძირკველშია, რადგან ეთნიკურად და კულტურულად ჰომოგენური ერი მათი ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტია.

გადაშენების შიშების საწინააღმდეგო აბჯრის ფუნქციის შესრულებისას ნაციონალიზმებმა შეიძლება რამდენიმე დამატებითი „დამცავი ფენა“ დაიმატონ. ქართული ნაციონალიზმი იშვიათად იყო მხოლოდ ქართული: ქვეყნის ისტორიის განმავლობაში ქართული ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმა სხვადასხვა “სახლს“ ირჩევდა თავშესაფრად. პრეზიდენტი გამსახურდია „საერთო კავკასიურ სახლზე“ საუბრობდა (თუმცა არ მიეცა დრო

[257] Michael Freeden, “Is Nationalism a Distinct Ideology?”, *Political Studies*, Vol. 46, No. 4 (1998), pp. 748-765 (748).

ამ იდეის განსახორციელებლად); ქართველი ეთნო-რელიგიური ნაციონალისტები ქართველი ერის მართლმადიდებელ ხასიათს აძლიერებენ; პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს ევროპული იდენტობა გააღვიძა და ქართულ საზოგადოებაში „ვესტერნიზაციისა“ და ევროპეიზაციის პროექტს დაუმკვიდრა ადგილი. დასავლელი მოკავშირეების მიერ მხარდაჭერილი საქართველოს ევროპული პროექტი ქართველთა შორის იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ რადიკალი მემარჯვენეებიც კი იძულებულნი არიან ქვეყნის ევროატლანტიკური მომავლის წინასწარ დათქმით ესაუბრონ მოქალაქეებს თუნდაც „მართლმადიდებელ რუსეთთან“ დაახლოებაზე.

ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის მიმდევარი ულტრა-მემარჯვენეები საქართველოში უმცირესობად რჩებიან. მიუხედავად ქართველთა შორის გადაშენების შიშის დათესვისთვის გაწეული ძალისხმევისა – საქართველოს დემოგრაფიული უკუსვლის კამპანია; ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების რაოდენობით მანიპულირება; დასავლეთის მომხრე დემოკრატიული ძალებისთვის ქართველების უცხოელებით ჩანაცვლების შეთქმულების დაბრალება – მათ ვერასდროს მიაღწიეს ნიშანდობლივ საარჩევნო წარმატებას. ულტრა-მემარჯვენეების გავლენამ მაქსიმუმს 2016 წელს მიაღწია, როცა „პატრიოტთა ალიანსმა“ 5.01% მოიპოვა საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ მას შემდეგ ეს საარჩევნო “რეკორდი“ ვერავინ მოხსნა.

არ იქნება გამართლებული ქართული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის, როგორც იდენტობის ძიების ფართო და მრავალფეროვანი სპექტრის ელემენტის, ავთენტურობაში ეჭვის შეტანა. ამავე დროს, მტკიცებულებები მიგვითითებენ, რომ ულტრა-მემარჯვენეთა სოციალური ხილვადობა – ხილვადობა, რომელიც დისპროპორციულად ძლიერია მათ ნამდვილ სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაზე – სხვა, ბევრად გავლენიანი პოლიტიკური ძალების მანიპულაციების შედეგია.

ერთ-ერთი ასეთი ძალა რუსეთია – ქვეყანა, რომელიც საქართველოს სუვერენული ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ოკუპანტია. რუსეთის მემარჯვენე რადიკალებთან თანამშრომლობა (არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც) კრემლის მიერ ლიბერალურ-დემოკრატიული დასავლეთის წინააღმდეგ გაჩაღებული პოლიტიკური ომის ნაწილია. ამ პოლიტიკურ ომს შეტევითი და თავდაცვითი ფაქტორები უდევს საფუძვლად. თავდაცვის მხარეს, პუტინის რეჟიმი რუსეთის მოსახლეობის მისი პოლიტიკური ჰეგემონიისთვის საფრთხედ აღქმული დასავლური გავლენებისგან იზოლაციას ცდილობს. შეტევის ნაწილში კრემლი აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო გარემოს პუტინის რუსეთთან მიმსგავსების მრავალგანზომილებიან კამპანიაში, რომლის ერთ-ერთი ნაწილი რუსეთის მიერ საკუთარი “გავლენის სფეროდ“ აღქმულ გეოგრაფიულ არეალში დემოკრატიული კონსოლიდაციის პრევენცია და ამგვარად, ამ ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირის მსგავს დასავლურ პოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის არდაშვებაა.

ევროპელი ულტრა-მემარჯვენეები კრემლის მიერ დასავლეთის წინააღმდეგ წარმოებულ პოლიტიკურ ომში გამოყენებული ერთადერთი პოლიტიკური ძალაა არ არის, თუმცა რადიკალი მემარჯვენეები და მათი პარტიები რუსეთისთვის განსაკუთრებით სასარგებლოები არიან. ეს მათი პრორუსული შეხედულებების გარდა, განპირობებულია მათი უნარით ერთმანეთთან დააპირისპირონ სხვადასხვა ევროპული ქვეყანა, გააღვივონ სოციალური კონფლიქტები და საფუძველი გამოუთხარონ ევროპულ ღირებულებებს. როგორც ჩანს, მოსკოვის მიერ მათი გამოყენება ემყარება პუტინის რეჟიმის მიერ ასეთი დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების რუსეთის შიგნით გამოყენების გამოცდილებას. ამ შემთხვევაში მიზანი პუტინის პოლიტიკური ოპოზიციის ჩამოყალიბების არდაშვება და რუსეთის დემოკრატიული ინსტიტუტების სრული დემონტაჟი იყო.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია ერთმანე-

თისგან განვასხვავოთ რუსეთსა და ევროპელ რადიკალ მემარჯვენეებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა დონე. ეს დონეები დამოკიდებულია დასავლეთის ამა თუ იმ ქვეყნის პუტინის რეჟიმისა და რუსეთის მიმართ დამოკიდებულების აღქმაზე. თუ კრემლი კმაყოფილია მოცემულ დასავლურ ქვეყანასთან ურთიერთობით, რუსი ოფიციალური პირები და პოლიტიკურ ომში ჩართული ძალები ამ ქვეყნის რადიკალებთან ურთიერთობას შემოსაზღვრავენ მცირე და საშუალო მასშტაბის თანამშრომლობით: მათ შორისაა პრორუსული აქციების ორგანიზაცია ან კრემლის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისთვის სასარგებლო განცხადებების გაკეთება. პუტინის რეჟიმი თანამშრომლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში გააღრმავებს, როცა ამ ქვეყნის შიდა საქმეებში უფრო აქტიური ჩარევის საჭიროებას დაინახავს და შესაბამისი რესურსები ექნება. ამ შემთხვევაში პრორუსული პოლიტიკის გამტარებელი ძალები გაცილებით მნიშვნელოვან დახმარებას მიიღებენ.

წლების განმავლობაში ქართველ ულტრა-მემარჯვენეებთან – „პატრიოტთა ალიანსთან“, „ქართულ მარშთან“, „კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოსთან“ და სხვებთან – რუსეთის მხრიდან სხვადასხვა ძალები მათი პრორუსული დღის წესრიგის გამო თანამშრომლობდნენ, თუმცა დღეს არ გვაქვს იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ მოსკოვი ამ პარტიების მიერ საქართველოში ძალაუფლების მოპოვებას ისახავდა მიზნად. პირველ რიგში, ეს მათი არაპოპულარობის გამო იყო. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ასეთი მიზანი წინააღმდეგობაში მოვიდოდა რუსეთის მთავარ ინტერესებთან საქართველოში, რომლებიც „ქართული ოცნების“ მმართველობასთანაა დაკავშირებული. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ეს პოლიტიკური ძალაა პასუხისმგებელი ქართველი ულტრა-მემარჯვენეების ჭარბ და ზედმეტ სოციალურ ხილვადობაზე.

2012 წელს დაფუძნების შემდეგ, „ქართული ოცნება“ პროევროპული და კრემლთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების, „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი მოკავშირეების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ანგარიშსწორების შესაძლებლობები შეზღუდული იყო. ბიძინა ივანიშვილის პარტია საკუთარ თავს წარადგენდა - როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ასპარეზზე – როგორც ზომიერ პროევროპულ პოლიტიკურ ძალას, რომლის მიზანი სააკაშვილის მთავრობის მსგავსი გადაცდენების თავიდან არიდება და გამოსწორება იყო. ამგვარად, წლების განმავლობაში, „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შეუთავსებელ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეს ამკვიდრებდა, რომელიც უპირისპირდებოდა ამ პარტიის პოლიტიკის ყველა ასპექტს და შორს იჭერდა თავს ამ ელემენტებისგან საჯაროდ, იმის მიუხედავად, რომ თავად უწყობდა ხელს მათი არსებობის გახანგრძლივებას. ივანიშვილის პარტია პროდასავლური ძალების წინააღმდეგ წესების გარეშე ბრძოლას ულტრა-მემარჯვენეებს უთმობდა და ამგვარად ერიდებოდა იმ პოზიციების დაკავებას, რომლებთანაც ასოცირებას თავს არიდებდა მისი არსებობის ათწლეულის განმავლობაში:

- პროევროპული რეპუტაციის გამო „ქართული ოცნებას“ არ შეეძლო ეთნო-რელიგიური ნაციონალისტების მხარე ღიად დაეჭირა. ამავე დროს, მათი ლიდერები არ ერიდებოდნენ ულტრა-მემარჯვენეების პროგრამული და იდეოლოგიური ელემენტების გამოყენებას, მაგალითად, აჭარის თურქული ოკუპაციის, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ეკლესიის დაკნინების ან უცხოელების მიერ ქართველთა დისკრიმინაციის შესახებ, რითიც აძლიერებდნენ ულტრა-მემარჯვენეებსა და მათ შეტევებს „ნაციონალურ მოძრაობაზე“;
- მისი მმართველობის გვიან პერიოდში სააკაშვილის ადმინისტრაცია მათი საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების ძალადობრივ დარბევებთან ასოცირდებოდა. პოლიციის გადამეტებული ძალადობა

„ნაციონალური მოძრაობის“ 2012 წლის მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იყო. „ქართულმა ოცნებამ“ ძალადობის ბერკეტები სახელმწიფოს გარეთ გაიტანა და ისინი ულტრა-მემარჯვენე და სხვა რადიკალურ დაჯგუფებებს გადასცა, რითიც დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ სიძულვილი გააღვივა, ხოლო ფიზიკური ძალადობის ჩამდენთა დიდ ნაწილს დაუსჯელობა აღუთქვა.

- ბოლო დრომდე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის მიერ ოკუპაციის გამო, ღიად პრორუსული რიტორიკა საქართველოში მიუღებელი იყო. ულტრა-მემარჯვენეთა თვალსაჩინოდ პრორუსული და ანტი-დასავლური გადახრა „ქართულ ოცნებას“ რუსეთისადმი მეგობრული და დასავლეთის მიმართ სკეპტიკური პოლიტიკით გამოწვეული კრიტიკის მოგერიების საშუალებას აძლევდა და ყურადღება რადიკალებზე გადაჰქონდა. გარდა ამისა, ეს ვითარება მათ რუსოფილიისა და დასავლეთისადმი მტრული დამოკიდებულების საზოგადოებისთვის მისაღები რაოდენობის გაზომვის საშუალებას აძლევდა, რაც მასობრივი საპროტესტო აქციების დაწყებას აცილებდა მათ თავიდან.

„ქართული ოცნების“ ულტრა-მემარჯვენეებთან ურთიერთობას პოლიტტექნოლოგიის პრინციპები განაგებდა, რომელთა თანახმად რადიკალები „ქართული ოცნების“ პოლიტიკის ნაკლებად პროევროპული და საზოგადოებისთვის მისაღები ასპექტების დასამალად გამოიყენებოდნენ. როცა რუსული ძალები ქართველ ულტრა-მემარჯვენეებს როგორც *პოლიტიკურ ძალას* ისე ეხმარებოდნენ, რაც მათ კულტურული დიპლომატიის, ბიზნესის ან სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი ინიციატივებისთვის *შემთხვევით დამხმარეებად* გამოყენებას სცდებოდა, ისინი „ქართული ოცნების“ *პოლიტტექნოლოგიას* აძლიერებდნენ. კრემლი ივანიშვილის პარტიასთან პარტნიორობდა და მათი დესტაბილიზაციის აზრს ვერ ხედავდა.

გარდა ამისა, 2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული სრულმასშტაბიანი რუსული აგრესიის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ მოუხშირა მოსკოვისადმი მეგობრული პოზიციებისა და პოლიტიკის გამომჟღავნებას და თითქოს დაივიწყა საკუთარ რეპუტაციაზე ზრუნვა ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ. მათთვის რუსეთი უკრაინასთან ომში იმარჯვებს, ეს გამარჯვება დასავლეთს დაასუსტებს და გააძლიერებს მოსკოვის ილიბერალურ გავლენას ევროპაში. ივანიშვილმა იმ გეოპოლიტიკური ვითარებისთვის მზადება დაიწყო, რომელიც მის წარმოსახვაში ჩამოყალიბდა.

2022 წლის თებერვლის შემდეგ „ქართული ოცნების“ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ასე გამოიყურება:

- მიუხედავად საქართველოს მიერ ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულებაში მკაფიოდ განმარტებული „საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში საჭირო თანდათანობითი თანხვედრის“ მიღწევის ვალდებულების, „ქართული ოცნების“ მთავრობამ უარი განაცხადა ევროკავშირის მიერ რუსეთზე დაკისრებული სანქციებისადმი შეერთებაზე;[258]
- 2023 წლის თებერვალში „ქართული ოცნების“ სატელიტმა „ხალხის ძალამ“ „საგარეო გავლენის გამჭირვალეობის“ საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგინა.[259] მისი რუსეთში მიღებულ კანონთან მსგა-

[258] “Consolidated Text: Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and Their Member States, of the One Part, and Georgia, of the Other Part”, *EUR-Lex*, 15 November (2023), http://data.europa.eu/eli/agree_internation/2014/494/2023-03-06.

[259] “People’s Power Tables Draft Law on Foreign Agents”, *Civil Georgia,* 15 February (2023), https://civil.ge/archives/525575. The Georgian far right voiced the idea of putting pressure on civil society organisations receiving foreign funding as early as, at least, 2017: adopting “a law prohibiting foreign funding of non-governmental organisations” was one of the demands of the “March of Georgians” in July that year, see above.

ვსების გამო კრიტიკოსებმა ის მალევე „რუსული კანონად“ მონათლეს. 2012 წელს მოსკოვში მიღებული კანონმდებლობა დასავლურ მხარდაჭერაზე დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის სტიგმატიზაციას და დასუსტებას ისახავს მიზნად. მთავრობისა და რუსეთის საწინააღმდეგო მასობრივმა საპროტესტო აქციებმა, რომელთა „დისკრედიტაცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა სცადეს [...] ანტი-დასავლური და კრემლის პროპაგანდის მსგავსი გზავნილებით“,[260] „ქართული ოცნება“ აიძულეს კანონპროექტი გაეტანა, მაგრამ ივანიშვილის პარტიამ დადებული პირობა დაარღვია და 2024 წელს ის თავიდან წამოაყენა და მიიღო კიდეც;

- ევროკავშირისგან განსხვავებით, რომელმაც 2022 წლის თებერვალში საკუთარი საჰაერო სივრცე რუსეთში რეგისტრირებული ან იქ მფლობელობაში მყოფი ნებისმიერი თვითმფრინავის მიმართ ჩაკეტა, „ქართულმა ოცნებამ“ 2023 წლის მაისში გადაწყვიტა განეახლებინა ფრენები რუსეთში და რუსეთიდან. ეს ფრენები „გავრილოვის ღამის“ საპროტესტო აქციების შემდეგ პუტინის მიერ იყო აკრძალული 2019 წელს;
- „ქართულმა ოცნებამ“ აქტიურად დაიწყო შეთქმულების თეორიების პროპაგანდისტული გამოყენება და გავრცელება, რომელთა თანახმად დასავლეთი საქართველოს რუსეთთან ომში ჩათრევას ცდილობს. 2024 წლის აპრილში ივანიშვილმა პირადად ისაუბრა მითიურ „გლობალურ ომის პარტიაზე“, უსახელო, მაგრამ გავლენიან ძალაზე, რომელსაც „გადამწყვეტი ზეგავლენა აქვს ნატოზე და ევროკავშირზე, ხოლო საქართველო და უკრაინა მისთვის საზარბაზნე ხორცია“.[261]

„ქართული ოცნების“ ოლიგარქიული პარტიიდან, რომელიც ითვალისწინებს ქართულ საზოგადოებაში არსებულ პროევროპულ კონსენსუსს და მალავს პრორუსულ ორიენტაციას, ანტი-დასავლურ და პრორუსულ პარტიად გარდაქმნა აისახა პარტიის საერთაშორისო დღის წესრიგში. 2023 წლამდე „ქართული ოცნება“ „ევროპელი სოციალისტების პარტიის“ დამკვირვებელი წევრი იყო, თუმცა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, 2023 წლის მაისში უნგრეთში გამართულ „კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაში“ მონაწილეობის შემდეგ,[262] „ევროპელმა სოციალისტებმა“ გადაწყვიტეს „ქართული ოცნების“ წევრობისთვის გადაეხედათ[263], რის შემდეგაც ივანიშვილის პარტიამ წევრობა თავად შეიწყვიტა,[264] სანამ მასთან ურთიერთობას „ევროპელი სოციალისტების პარტია“ საბოლოოდ დაასრულებდა.[265]

2022-2024 წლებში „ქართული ოცნება“ მემარჯვენე პოპულისტურ პარტიად ჩამოყალიბდა. შესაბამისად, სხვა ქართული ულტრა-მემარჯვენეების საჭიროების დასრულება მათთვის სრულიად ბუნებრივია. საქართველოს დასავლეთთან დაახლოების შემაფერხებელი ეთნო-რელიგიური, ილიბერალური და პრორუსული “ნარატივების“ გავრცელება ახლა მათ თავად შეეძლოთ. 2024

[260] Eto Buziashvili, Sopo Gelava, “The Kremlin and Georgian Dream Spread Similar Narratives about Protests in Georgia”, *Digital Forensic Research Lab* (*DFRLab*), 10 March (2023), https://dfrlab.org/2023/03/10/the-kremlin-and-georgian-dream-spread-similar-narratives-about-protests-in-georgia/.

[261] “Bidzina Ivanishvili Backs Anti-Western Policies, Threatens Repressions”, *Civil Georgia,* 29 April (2024), https://civil.ge/archives/602348.

[262] “Agenda”, *CPAC Hungary*, https://web.archive.org/web/20230621084330/https://www.cpachungary.com/en/agenda.

[263] “Garibashvili CPAC Intervention Contravenes European and Progressive Values”, *The Party of European Socialists*, 4 May (2023), https://pes.eu/pes/garibashvili-cpac-contravenes-european-progressive-values/.

[264] “GD Says It Departs PES Due to Ideological Differences”, *Civil Georgia,* 11 May (2023), https://civil.ge/archives/541814.

[265] “PES Presidency Strips Georgian Dream of Observer Membership”, *The Party of European Socialists*, 29 June (2023), https://pes.eu/pes/pes-presidency-strips-georgian-dream-of-observer-membership/.

წლის გაზაფხულზე და ზაფხულში „უცხოეთის გავლენის აგენტების კანონის“ მიღებით გამოწვეული საპროტესტო აქციების დარბევამ აჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობამ შეწყვიტა ძალადობის დელეგირება ულტრა-მემარჯვენე კრიმინალებისა და რადიკალი სამღვდელოებისთვის. ამის ნაცვლად „ქართული ოცნება“ დემონსტრაციულად ჩაერთო პოლიტიკური ოპოზიციის, დამოუკიდებელი მედიის და სამოქალაქო საზოგადოების დაშინების კამპანიაში.[266] განსაკუთრებით მწვავე ანტი-დასავლური პროპაგანდისა და ინიციატივებისთვის „ქართული ოცნება“ სატელიტ პარტიას, „ხალხის ძალას“, იყენებს, მაგრამ მათი დომინანტ მემარჯვენე პოპულისტურ ძალად გარდაქმნა, რომელიც ყველა სხვა ტრადიციულ ულტრა-მემარჯვენე პარტიებზე ძლიერია საქართველოში, დღეს შემდგარი ფაქტია.

[266] “Intimidation Campaign against Opposition, Civil Society, Gov’t Critics as Repressions Announced by GD MPs”, *Civil Georgia,* 1 June (2024), https://civil.ge/archives/610802.